

⑥

## „ი ვ ე რ ი ი ს ბ ი ბ ლ ი თ თ ე ბ ა“

⑥

ნაზევარი-წიწილა. პოემა ვაჟა-ფშა-  
ველასი.

მკვდრები ჩუმად არიან. მოთხოვა  
ა. ზნიცლერისა.

„მომხიბლავი ბლაბარი“. პიესა ი.  
პოტაპენკოსი.

۳ ۶ ۹ ۹ ۰ ۵

№ 6

1905  
ტფილისი



*2020*

„ი გ ე რ ი ი ს ბ ი ბ ლ ი თ ე გ ა“

35111

ნახევარი-წიწილა. პოემა ვაჟა-ფშა-  
ველასი.  
მეცდრები ჩუმად არიან. მოთხოვბა  
ა. ზნიცლერისა.  
„მომხიბლავი ზღაპარი“. პიესა ი.  
პოტაპენკოსი.



3 6 0 8 0 5

№ 6

1905  
ცვილისი

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 2 августа 1905 года.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

გაერდი

- ნახევარი-ჭიჭილა, ხალხური. ზღაპარი, პოემა,  
გაუს-ფშაველასი . . . . . 1.
- მკვდრები ჩუმად არიან, მოთხრობა. შიცლერისა,  
თარგმანი დიზა. მესხიშვილისა . . . . . 33
- „მომხიბლავი ზღაპარი“, 4-მოქმედებიანი პიესა  
o. 6. პოტაპენჯოსი, თარგმანი შიო დავითის  
შვილისა. . . . . 61

# ნახევარი-წიწილა

(ხალხური ზღაპარი)

## I

დიდი ოჯახი მამლისა  
გაატიალეს ქორებმა,  
ძვალები ძალლებმა კვნიტეს,  
ბუმბული წეწეს ლორებმა.  
მამა-ჰაპათა კერაზე  
დარჩა ნახევარ-წიწილა,  
მის სამემკვიდრო რაც იყო.  
ქვეყანამ გაიწინწილა.  
ალარსად პური გოდორში,  
ალარც ჩანახჩი ლობიო.  
ალარსად ადამიანი  
წიწილის ყოფნის მცნობიო!  
ვინ ეტყვის ობოლ-ოხერსა?  
ჩემთან საღილად მოდიო!..  
მაინც წიწილა არ ჰქონობა,  
შავს ბედს უტყდება როდიო!  
დრონი წავლენ და წამოვლენ,  
ფერს იცვლის ყველაფერია,  
საწყალს იკმავებს უფალი,  
ტანჯვა მდიდრების ჯერია.

ძველების კარაბადინში  
სწორედ ეს ასე სწერია:  
მტრობისა ნაყოფს ის გემობს.  
ვინაც სიმართლის მტერია.  
თუ არა უფლის წყალობით,  
„არ ცხვება ობლის კვერია“.  
დაობლებულსა წიწილას  
ემტერებოდა ძერია.  
ამაოდ. ჩვენმა წიწილამ  
მტერი, მოკეთე გაიგო  
საცა ტყეა და შამბია  
ყველგან სახ-კარი აიგო.  
ქექვა ისწავლა მიშისა,  
ჭია-ლუებსა შოვობდა.  
აღარ აწუხებს სიმშილი  
საკმაოდ სარდოს პოვობდა.  
ობლობაშ ცოტა დაჩაგრა,  
დაუცოტავა ტანია  
(ობლობას, ბეჩაობასა  
მუდამ მჭლეობა სტანია).  
კისერი ჰქონდა ტიტველი,  
ბეწვი არ ეკრა ფაშვზედა,  
ორი თუ სამი ბუსუსი  
ამოსჩენია თავზედა..  
თვალს ავლებს აქეთ-იქითა,  
როცა გამოვა კარზედა.  
მხრებზედა თხელი ბუმბული,  
ბოლოდ კი — ერთი ლერია,

პაიჭიანი ფეხები  
მის შესაფერად მჭრელია.  
დიდს აურ-ზაურს ასტეხავს,  
თუ ვინმე ახლო ხელია.  
არა კადრულობს ბრიყვს ქცევას,  
ჭია-ღუების მტერია.  
ნისკარტი კოდალას უგავ,  
მოშავფრო, გიშრის ფერია.  
ქვასაც კი ჩაჰკრავს ზოგჯერა,  
სცდის, იქნებ, გემრიელია.  
კუჭი წინ გადმოგდებული  
დარბაისელის შნოს სდებდა  
და მუდამ იმას ფიქრობდა,  
რითაც თავს პატივსა სცემდა.  
თავი აქვს კარგა მოზრდილი,  
არც მაგრე ცარიელია;  
მომავალზედაც ფიქრობდა  
ეს ჩვენი ტარიელია!  
უადვილებდა ცხოვრებას.  
ზაფხულის სითბო, ქველობა,—  
არ რჩება უნაყოფოდა  
ობლის წიწილის ხელობა.  
თვალი ყოველ მხრივ ეჭირა  
სარდოს მძებნელი ფხიზლადა,  
ცისკენაც იცქირებოდა,  
იყო მუდამ უამს ფრთხილადა,  
შიშობდა, არ გამხდარიყო  
ქორის ან ორბის წილადა:

რა შეპნიშნავდა თავის მტერს  
დაბლა, ან მაღლა ცაშია,  
წიწილა დაუყონებლივ  
შეიჭრებოდა შამბშია.  
სიცოცხლე ძალიან უყვარს,  
მუდამ მისი აქვს შიშია:  
არ გაწყდეს, არ დიილიოს  
ქვეყნად ქათმების ჯიშია.  
გადივლის ავი ლრუბელი,  
გამოდის შრომას დაიწყებს;  
რაც შიშით ლეში მოადნა,  
ლალის ცხოვრებით შაივსებს.—  
ჩხიკვი სტანჯავდა ძალიან.—  
ეზოში შემოჩვეული,  
ხან ქორად მოეჩვენება  
ხან შავარდენად, წყეული.  
მუდამ დღე ხიფათს უგდებდა  
იმისთვის გამოსეული.  
უთვალთვალებდა წიწილას  
ბუჩქარიანის ტყიდანა,  
როცა ჰნახავდა, რომ იმას  
ჭია მიჰქონდა პირთანა,  
ჩამოუტევდა ქორივით.  
წიწილა შამბში ძერებოდა  
ჩხიკვი კი იმის სუფრაზე  
არხეინადა. ძლებოდა.

II

ერთხელ ნაგავსა ჰქექავდა  
ჩვეულებრივად წიწილა,  
იპოვნა ფეტვის მარცვალი,  
უბჟყვრიალებდა ცხვირ-წინა,  
იამა ფრიად წიწილას,  
ცას დაეწია ლხენითა,  
აგორებს, აკოტრიალებს  
მარცვალს ნისკარტით, ფეხითა.  
საჭმელად ვერ გაიმეტა,  
სთქვა: „ეს, იქნება, ბელია,  
რა გამიხდება შევჭამო,  
მოლი დავთესო ერთია!“  
თაგვებს შეაბამს გუთანში,  
გადააშავა ველები!  
ხნულისა მოსავალისა  
თაგვებივეა მცველები!  
უხარის: ფეტვი მოვიდა,  
ლამაზი მეტის-მეტია,  
მნახველს წიწილის ფეტვისას  
ესხმის თავ-ბრუ და რეტია.  
„ჩაიქცა ეგ ოჯახ-ქორი!“  
მნახველნი ამას ამბობენ;  
ნაღალურს ერთის მარცვლისას  
ას კოდზე მეტსა საზრობენ.  
გახარებული წიწილა,  
იჭიმებოდა წელშია,

ალარ კადრულობს წივწივსა,  
ბოხვად ყიჭყიჭებს ყელშია.  
ღლეს სხვაზე მეტობას ჩემობს  
გუშინ სათვლელი მკვდრებშია.  
მედიდურობა დედაო  
სწორედ მეფური ფეხშია.  
მაგრამა ბედი მუხთალი  
მას დიდხანს როდი სწყალობდა,  
ისევ ტანჯვაში ჩავარდა,  
როგორც აქამდე წვალობდა.  
ბედი, ერთბაშად ნაპოვნი,  
გაქრა, როგორაც ეწვია,  
ქურდულად ხელით გაუსხლტა  
და არც კი შაიხვეწია:  
ერთს დღესა ბატონის ჯოგმა  
გაუტიალა ფეტვია,  
დალია, კალოდ გაიღო,  
ალარ დასტოვა ბეწვია.  
ტირის ნახევარ-წიწილა  
ცრემლი ჩამოსდის ღვარადა,  
ჰფიქრობს წაეიდეს, შასჩივლოს,  
ბატონს შიუხდეს კარადა.  
ლამფასებლები წაასხა,  
შეადგენინა ოქმია.  
უნდა ედაოს ბატონსა,  
გამოუცხადოს ომია.  
ყველას შასჩივის თავის დარდს,  
ვისაც კი გზაში შაჰედება,

თან დაუმატებს: „წიწილა,  
პნახავთ, მტერს როგორ დაჭხვდება!“  
ის როდი იცის წიწილამ,  
ნანატრი როგორ ახდება.  
ამბობს: „მაშ მოკვდეს წიწილა,  
ცოცხალმა ნულარ იაროს,  
თუ ზარალისთვის ბატონი,  
მანაც არ დააზიანოს.  
არცა ჰსურს, შურის-ძიება  
რომ დიდხანს დააგვიანოს...“

### III

ჯავრისა ამოსაყრელად  
ათასს ღონესა ღონობდა,  
რით დაელონა ბატონი,  
დღე მუდამ იმას გონობდა.  
ერთხელ იფიქრა წიწილამ —  
დაეწვა ავი ბატონი.  
საწყალმა ამის გულისთვის  
შრომა გასწია რამტონი.  
ნაღვერდლებს ჰზიდავს ნისკარტით  
ბატონის დასაწველადა,  
მოასწრობს წვიმა გზაშია  
და ცეცხლს ჩაუქრობს ხელადა.  
მტერს ვერაფერს ჰვნებს, თავის თავს  
იგი უხდება მტერადა.  
ტყუილად იწვამს ნისკარტსა

საქმე შიუდის ცერადა.  
ბოლოს ხვეწნაზე დამყარდა  
ბატონთან მიღის არზითა:  
თუ სრულად არა, ცოტას ხომ  
მიიღებს, თავის აზრითა.  
მივიდა. დადგა ეზოში  
დაყრდნობილია ჯოხზედა,  
უცდის ბატონის გამოსვლას—  
სამართალს თავის დროზედა.  
მოდის როდისა ბატონიც,  
გამოჩნდა თვალთა ბრიალით:  
„რას დაწანწალებ, წიწილავ,  
რისთვის მაწუხებ ღრიალით“.  
— რისთვის? რად გიკირს, ბატონო  
ამ წუთისოფლის წესია:  
ყველა თხოულობს იმასა,  
საცა რამ დაუთესია.  
მე. დღეს რად უნდა ვიტანჯო,  
თქვენგამო რისთვის ვკვნესია?!  
დამღუპე, ათის წლის სარდო  
წამიხდენინე ჯორებსა,  
დღეს ჩემს საჩივარს უწოდებ  
სიცრუეს, მონაჭორებსა?  
ულუკმა-პუროდ გამიშვი,  
უნდა ვიარო საწყლადა.  
რომ დანალევი მოგოთხვე.  
მიტომ მცნობ დასაძრახადა?  
შეჰედე ლმერთსა, ნუ მტანჯავ,

ტანჯულს, ობლობით გვემულსა.  
სრულად არა გთხოვ, ვჯერივარ  
ცოტას თქვენს გამოცემულსა.  
ნუ თუ ღმერთს არ აწყენინებ,  
ჰყურობ ჩემს საწყალს სხეულსა.  
ვინ სტანჯავს პირ-ჯვრის მწერელი  
დატანჯულსა და სნეულსა! —  
ძალიან გაწყრა ბატონი,  
პირიდანა ჰყრის ცეცხლსაო.  
იმის ბრძანებას ელიან,  
ბიჭები უდგა გვერდსაო.  
უბრძანა კიდეც ბატონშა,  
გამოპანდურეს წიწილა,  
ძვირად დაუჯდა ძალიან,  
რაც მან ბატონთან იჩივლა.  
არავინ არ შეიბრალა,  
თუმც ბევრი იტირ-იკივლა.  
მოდის მტირალი წიწილა...  
უკერეთ ერთი-ბეწოსა!  
მოდის, მოკოჭლობს საწყალი,  
მოიქნევს მტკივანს თეძოსა.

#### IV

მიდის წიწილა თავისთვის,  
ნაღვლობს, გულ-დაკოდილია:  
„ვისთანლა უნდა ვიჩივლო,  
„დღე გამიმწარდა ტკბილია,  
„მე ვინ რა სამართალს მომცემს,

„ყველა მის წურის ძირია.  
„ღმერთმა დამბადა საწყლადა,  
„და მეც საწყალად ვივლია.  
ერთგან დიდს ტყეში შევიდა,  
ხეობა ნახა დიდია.  
მზე ჩაესვენა გორს იქით,  
სალამო დგება ბინდია.  
ჰედავს, რომ ხევში დევები  
დაჯარებულან ცეცხლთანა.  
ირმის თავები აწყვია,  
ლეში და ტყავი ერთგანა;  
დიდი ჭანდრები ურთია  
გაჩალებულს ცეცხლს შეშადა,  
დიდრონს ხეებზე მწვალები —  
დევების გასალეშადა —  
იწვის, თან სჭამენ დევები,  
გარდაქმნილები ხვნეშადა.  
მიუახლოვდა, არ შეკრთა,  
არ შეუშინდა გმირებსა  
და შეუძახა: „ჩემსკენაც  
რატომ არ იზამთ პირებსა?!”  
დევთ განცვიფრებით შეპხედეს  
მათ სტუმარს გასაკვირებსა.  
ეტყვის: „დევებო, დევებო,  
ძალა და ღონე თქვენშია;  
რაც გინდათ, იზამთ იმასა,  
ქვეყანა გიპყრავთ ხელშია!  
მიშველეთ, ჯავრისაგანა

სისხლდ ამომდის ყელშია!“  
— რა დაგემართა ისეთი,  
რო მაგრე გული დაგჭრია?  
გიშველით ნუ გეწუხება,  
ჩვენი მახვილი ბასრია  
— გვითხარი, ჰკითხეს დევებმა;  
რა აგეკიდა ნავსია?  
„ჩემის ცრემლითა, გმირებო,  
მთელი ქვეყანა სავსეა!“  
უამბო ფეტვის ამბავი,  
იმავ თავიდან დაიწყო  
და ისიც უთხრა, მის ფეტვსა,  
ბატონის ჯოგმა. რაც უყო;  
დევთა ტკბილ-საუბარითა  
თავი ფიქრებში ჩაუყო.  
სთქვა „ბატონს: სარჩო ბევრი აქვს,  
მეომრები ჰყავს! ცოტანი,  
მინდა დაპლაშქროთ, აიკლოთ  
მისი სრა, მისი ბოსტანი.  
მე რო მასხარად ამიგდო,  
არ მიზლო დანალევია,  
იწვნიოს, გემო ტანჯვისა  
როგორი მისაჩნევია.?!”  
ცრემლი წიწილას მათ წინა  
მრავალი დაუფრქვევეია.

V

დევებმა შველა აღუთქვეს,

აბჯარ-აბგარში სხდებიან,  
წიწილის დამღონებელსა  
დატანჯვას ექადებიან.  
ლახტები ხელში უპყრიათ,  
ვით მთა-გორები, დგებიან.  
წინ გამოუძლვათ წიწილა,  
უკან თითონა ჰყვებიან.  
„უნდა წიწილას ვუშველოთ—  
დევები ამას მღეროდენ—  
„მის მტერი დავანიაოთ,  
ლეშით ფრინველნი ძლებოდენ.“  
გზაზე ჭაობი დაუხვდათ.  
ბაყაყთა საბუდარია.  
მოსხდნენ ბაყაყნი წიწილას,  
გაუბეს საუბარია.  
უფროსი ბაყაყი ეტყვის,  
გულს გრძნობა ნაგუბარია:  
„გამაჯვებული მენახო,  
„ბატონთან ნაჩხუბარია.  
„ყოჩაღ, რომ სცდილობ თავის მტერს  
„არ შეარჩინო ვალია.  
„ვის შენთვის კარგი არ უნდა,  
„გამოეთხაროს თვალია!“  
„ამინო!“ — უფროსის სიტყვა,  
სხვებმაც შემოწმეს ყიყინით.  
მოდგნენ უფროსის გვერდზედა  
ასი — ათასი ბიბინით.  
„ვურჩევ ამ ბრიყვებს,“ - განაგრძო,

„თავი მეტკინა ჩიჩინით,  
„რომ თავის მტერსა ეურჩნენ  
„კბილით, ბჯლალით. ან ღიტინით.  
„ვერ შევასმინე ვერა-რა,  
„მაინც ჰმონებენ წეროსა.  
„არ იქნა, ერთმა მათგანმა.  
„პირ-ჯვარი დაიწეროსა.  
„მიტომ მიყვარხარ, არ სდრკები,  
„მხნედ ებრძვი თავის ლელოსა.  
„ლმერთსა ვსთხოვ ცოდვილის პირით,  
„ყველა საქმეში გშველოსა!  
„მაგ შენს მეშვლებსაც უშველოს,  
„მაგათ ხმლებსა და ფარებსა,  
„თუ მართლა გექმნენ მეშვლადა  
„და მტრისგან დაგიფარესა!“  
მაღლობა გადაუხადა  
დიდი წიწილამ ბაყაყსა.  
დევებს პირს მოსდით ლიმილი,  
სურათს რა პხედვენ ამასა.  
მაგრამ ზღილობის გულისთვის  
ბაყაყთ აძლევენ სალამსა.  
გზაზე რაც ცხოველი შეჰვდათ,  
წიწილის ლაშქარს ჰლოუავდა,  
ეგებებოდნენ ჭინჭველნი  
მათ წინ იწყებდნენ ცოცვასა.  
ბუზურეები ბზუოდნენ  
მრავალსა, განა ცოტასა.  
ჭივჭავის გუნდი მოფრინდა.

დევთ შეასხამდენ ხოტბასა.  
მოთრინდნენ გვრიტნი, ტრედები  
თავს დაბრუნავდნენ ფრინვითა.  
მიაბოტებენ დევები საომრად  
ხვნეშა-გვრგვინითა.  
ფერდობზე კაკაბი შეჰვდა,  
კაკანებს ფლატის ძირშია.  
რა დაინახა წიწილა,  
გვერდზე გაიხმო იგია.  
—რას დასდევ დევებს, საწყალო,  
არ იცი მაგათ ჯიშია?  
ეგენი სიამოვნებას  
შენსა ცდილობენ პირშია.  
წალილი, საკუთარი აქვთ,  
გილალატებენ, დაია.  
გახსოვდეს ჩემი ნათქვამი,  
იქნებ, გაძახონ ვაია.

VI

ბატონის სახლიც გამოჩნდა,  
ვარსკვლავივითა ბრჭინავდა.  
რა ნახა დევის ლაშქრი  
შიშით და ძრწოლით ჰყინავდა.  
ხერხს-ლა მიჰმართა, რა იგრძნო,  
ძალით რო ვერას იზამდა,  
წინ მიაგება მსახურნი  
და, მორჩილების ნიშნადა,  
მემუსიკენი საყვირებს,

დალბბანდოს უკვრენ ტკბილადა.  
ზოგებს უბრძანა: „დახოცეთ  
,,ცხრა ხარი, ასი ცხვარია.  
,,ღვინო მოუგდეთ მალითა  
,,მოსჩქეფდეს, როგორც მტკვარია.  
,,გაუმასპინძლდეთ დევებსა,  
,,სიტყვები უთხრათ მტკბარია,  
,,გავგზავნოთ წელ-მოწყვეტილი  
,,რაღაც წიწილა არია“.  
მიიპატიუა დევები,  
ეზოში დასხა ჯარია:  
,,რასაც მთხოვთ, ყველა იქმნება“ —  
ამისი მოუბარია.  
— მე ჩემს ფეტვსა გთხოვ, სხვას არა,  
მე ამის პასუხს ველია.  
რამდენი დამწვი, დამდაგე,  
ხმელეთი შავხარ მთელია.  
თუ არა, შენს ქონებაზე  
უნდა აიღო ხელია!..  
ამას იძახის წიწილა,  
ბრუნავდა, როგორც მგელია.  
,,მოგაროთმევ, რა გეჩქარება,  
ჯერ პური ვსჭამოთ ხმელია —  
წიწილის დასათირებლად  
ბატონიც ამის მთქმელია.  
თან თვალით დევებს ანიშნა:  
თქვენს შემწეობას ველია.  
„მე პურის ჭამა არ მინდა,

ისეც ჭირით ვარ მაძლარი,  
გთხოვ ჩამაბარო ამ თავით,  
ჩემი საკუთნო რაც არი.“  
— კარგი, შენც ნუ გაინიუებ,  
ცუდს არას ამბობს ბატონი.  
ვითომ ურჯულო არა ხარ,  
ქათმის ძუძუ გაქვს ნაწოვი, —  
ეტყოდენ დევნი წიწილას  
საჭმელ-სასმლისა მყნოსველნი.  
არ ეჭაშნიკა დევები.  
ამ დარიგების მთხრობელნი,  
წიწილას, მაგრამ რას იზიამს?  
ჰვირძნობს, საჭმის ბოლო ცუდია,  
და საცოდავად ისიცა  
სუფრის ბოლოში ჰყუნტია.  
ფიქრობს, რომ ღალატი მოხდეს,  
რით გაასწოროს მრუდია?  
ღვინოსა ჰსვამენ დევები,  
თან ლეშსა სჭამენ ფუთობით:  
რო შეზაროხოშდნენ კარგადა,  
სიტყვებს ჰხარჯავდენ მრუდობით:  
და ნახევარი-წიწილა  
მოიხსენიეს, ცუდობით:  
„რად გინდა ფეტვი, საწყალო,  
„ერთი კაცი ხარ, ლიტონი.  
„თავისი სული დაიცვა  
„არ შაგიძლიან იმტონი?  
„ბატონს კი ბევრი ხარჯი აქვს.

”დიდი ალება-დალება.

”რო მოგცეს, რასაც სთხოულობ,

”არ შაგიძლიან წალება.

”იყავი თავის ქერქშია,

”ეს არის ჩვენი ბრძანება!“

ბატონმაც მოიწადინა

ამ დროსა ხახის გალება:

— ”ლვინო მიირთვით, სტუმრებო,

”დრო გაატარეთ კარგის,

”მაგრამ უმღერლად სმა-ჭამა

”როგორლაც არა ვარგია.“

მრატანინა ჯიხვები,

თითო ვირისა ბარგია

(ჯიხვი ძველადგან, ხომ ვიცით,

ქეიფის ერთი დარგია).

დალიეს ჯიხვით დევებმა,

დახდნენ, როგორაც რუმბები,

და ამოუშვეს დევური

გულს გრძნობა დანაგუბები.

დაიწყეს მღერა დიდის ხმით,

დიდი დააღეს ლაშები;

ხან მჭლდება, ხანა სივდება

მათი დიდრონი ფაშვები.

იძვრის სრა-სახლი ეზოთურ,

იძვრიან, ჰკრთიან ხეები.

ძაან ქეიფში არიან

ცხრა-თავიანის ძეები.

ხმა აიმაღლეს თანდათან

ჭეხა-ჭუხილის მსგავსია.  
შიშისგან შეკრთა მთა-ბარი,  
ცხოველ-ფრინველით სავსეა.  
ქარი ამოღგა ისეთი,  
ხეებსა სცვივა ხავსია.  
კლდეთ აეხეჩათ სიპები,  
დაბლა მოგორვენ ჩხრიალით.  
მთამ აიხვია თვალები,  
შეშინებულმა დგრიალით.  
ცეცხლი მოედვა სამყაროს  
იმათ თვალების ბრიალით.  
და მიანარცხეს მთას ბარი  
ჭეხა-გვრგვინვით და ზრიალით.  
საწყალს ნახევარ-წიწილას  
ცრემლი ჩამოსდის ჩქრიალით.

## VII

დევთაგან ნაღალატები  
წიწილა დადის მტირალი,  
ყველას შესჩივის თავის დარღს,  
საწყლურად გამომზირალი.  
მოკვდეს, ან ფიქრი ასრულოს,  
მისი წადილი ის არი.  
ქვეყანას თავის მტრად ჰსახავს  
ერთის კაცისგან ვნებული.  
მას ოდენ შიში არა აქვს,  
ვინც უნდა შეჭხვდეს ქებული;

წარბსა ვერ შეახრეინებს  
კაცობრიობის კრებული.  
ჩალად არ უჩანს სიკვდილი  
ისეა გაჯავრებული.  
„ლმერთი რად არ მშველს მართალსა?“  
ამას ამბობდა იგია:  
„ვნება მიმიცავ არ ვისთვის,  
თუ არავისთვის მირგია.  
წყლულის წამლისა მძებნელი  
წყალს ჩაჰსდევს ჩამდინარესა,  
ქარსაც კი შველას ენუკვის,  
თვალებს აწყალებს მთვარესა.  
ხე-ქვათაც ამასვე შესთხოვს,—  
ტყით მოსულს არე-მარესა.  
როდი ასვენებს წიწილას  
გულზედა წყლულის ტკივილი.  
დადის და წოწიალის დროს  
შაესმა მღერა — ყვირილი.  
ხმაურობაზე წავიდა,  
ნახა შემდეგი ტყეშია:  
დათვსა, მგელსა და მელის  
ყანწები ეპყრათ ხელშია —  
წინ სუფრა აყვავებული  
და ზედ მრავალი ლეშია.  
ერთს ყუნჭზე დაჯდა და მორთო  
მათ გასაგონად ტირილი.  
ყველაზე აღრე გაიგო  
მელამ მის მოთქმა — ჩივილი.

გაიქცა წიწილისაკენ,  
არ ეზარება სირბილი.  
„აქ რას უზიხარ? რას მოსთქვამ?  
რატომ არ მოხვალ ჩვენთანა?  
როგორ არ იცი, საწყალო,  
ჩვენ გვაბარია ქვეყანა?!...  
გავიგეთ ბატონისაგან  
შენი უღმერთოდ წამება,  
აქ რას აკეთებ? მაგ საქმის  
არ შაიძლება წაგება.  
უსტაბაშებიც აქა გვყავს,  
ნახუ ისინიც პირადა,  
გაიგებ შენს წვალებასა  
როგორ დაუსვამთ ძვირადა..  
ხომ კარგად მიცნობ, ვინცა ვარ,  
გაგეგონება მელია..  
მე თუ მომემხრო დათვიცა,  
მასთან პირ-მურა მგელია,  
შენს დამლონებელს ბატონსა  
დღე დაადგება ცხელია.“  
— მეც მაგის მეტი რა მინდა,  
დღე მუდამ მაგას ველია.  
აბა, თუ მიშველთ, თქვენ იცით! —  
წიწილაც ამის მთქმელია.  
„წამო, წამოდი, ჯერ ერთი  
შენც ჩაისველე ყელია.  
როცა კუჭია მაგრადა,  
კარგად მუშაობს წელია.—

და მერე საქმე დავიწყოთ.  
ჩვენია მთა და ველია.“  
გაჰყვა. დათვს და მგელს, ორივეს  
მან ჩამოართვა ხელია.  
იმათ წინაშეც ატირდა,  
ცრემლები ღვარა ცხელია.  
სისხლის ძიებას ქადაგობს,  
ვექილად დადგა მელია.  
და თანაც სადლეგრძელოსი  
წიწილის საქმის მსმელია.  
წიწილა მხოლოდ ერთს ამბობს:  
„თქვენს შემწეობას ველია!  
„თუ მე მიშველით, ქვეყანა  
თქვენ გადლეგრძელებსთ მთელია  
„მაღლია ბექავის შველა;  
„ჰერძნობ, საქმე გადგა ძნელია!“  
თქმულა ტკბილს საუბარზედა  
სოროსა სტოვებს გველია.  
დათვმა და მგელმა შეპხედეს,  
მაშინვე ცქვიტეს ყურები:  
„ვიცით, რაც გტანჯავს, საწყალო,  
საქმეა დასაშურები.  
შეატყობინე ყველასა  
არ დაივიწყო ტურები.  
აცნობე, ყველას აცნობე,  
რანიც ცხოველნი არიან,  
ეხლავე წალი, აჩქარდი,  
საჯდომლად არა გცალიან.

შეელმა და დათვმაც ეს უთხრეს,  
თან მიაჯახეს ჯიხვები:

— ჩვენ აქ ვართ მზადა მუდამა,  
არ გავიქცევით ბიჭები.

ვიცით ბატონის სრა — სახლი,  
ყოველგან მისი გომები.

ჩვენ დაგვანებე შევმუსროთ  
მისი ნახირი ჯოგები. —

, „საქათმო მე დამანებეთ,

„ბატ-ინდოურთა ოჯახი. —

შელია ამბობს: „ხომ უწყით,

„მაგ საქმეში ვარ ყოჩალი! ...

„და ვიდრე ხმითა წიწილა

„თვისთან მოუხმობს მხეცებსა,

„მე ვამცნობ იმათ ყველასა

„არ ვზოგავ თავს და ფეხებსა?“

— თქვენი ჭირიმე, ვაჟკაცნო,

სწორე მითხარით, მართალი.

თქვენაც — კი არ მიღალატოთ,

ქარ-წყალს არ მიმცეთ საწყალი.

ნუ მომატყუებთ, გეთაყვათ,

ნუ დამანატრებთ სოფელსა,

ნუ მავლევთ თვალ-ცრემლიანასა-

თავის სვე-ბედის მგმობელსა.

თქვენი შვილების სიცოცხლეს,

ღმერთი გიცხოვნებთ მშობელსა!

— გადვიდეთ სიტყვას, ნათლულო,

ჩვენს წიგნში არა სწერია. —

ეტყვის წიწილას დათუნა,  
მუცელი გაუბერია.

— ჩვენ გაძლევთ ვაჟკაცურ სიტყვას —  
შენ-კი არ დაიჯერია.

გასწი, შენ იმას ეცადე,  
მომხრე იშოვო ბევრია. —

თავი დაუკრა ზავადა,  
პირ-ჯვარი დაუწერია.

### VIII

თვალ-გადუწვდენელს მინდორზე  
მოსჩანს ყანები ხშირია,

ზლვა არი გადმოვარდნილი,  
ყველასთვის გასაკვირია.

მთაში ნახირი-ჯოგები  
და ზედაც ფარა ცხვრისია —

ყველა ეს, უნდა ვიცოდეთ  
ამ თავით — ბატონისია.

ჰქედავს წიწილა ამასა,  
გული ევსება ბრაზითა,

ამბობს: „დაიცა, დამაცა,  
„კბილებს დაგაძრობ გაზითა!

„ზვრებსაც კი გაგიტიალებ,  
„სავსეებია ვაზითა.

„შხამისას გაჭმევ სადილსა  
„თლილის თითებით ნაზითა!“

ღამეა. შედგა მთაზედა,  
ტიდი ასტეხა განგაში.

მოსქდა ყოველ მხრით ნაღირი  
რაც იყო ტყეს, თუ ჭალაში.  
მაგრა უბერავს საყვირსა,  
ხმა სწვდება ქვეყნის კიდესა,  
გაიგეს მხეცთა კარგადა  
საით რომელი ვლიდესა,  
ზოგი ყანისკე მიიწევს.  
სხვათ მთისკე აიზიდესა,  
საცა ცხვარი და ძროხაა,  
არაფერს დაერიდესა.  
ხრო და ხრო მოდგა ირმისა,  
ერთმანეთზედა დგებოდა,  
რქებსა აქვს ჩქამი ზარისა  
რა ერთის სხვისას ჰხვდებოდა  
ბოლქვი შვლების და არჩვების,  
ირმებს კვალდაკვალ ჰყვებოდა  
მოვიდა ფარა ღორისა,  
კბილიდან ცეცხლი ჰკრთებოდა.  
ბატონის დასარბევლადა  
მაჩვებიც იმათ ჰხლებოდა.  
ურიცხვი ნაღირის ჯოგი  
მედგრად დაეცა ყანებსა.  
გალეწეს, გაანადგურეს,  
არა ჰზოგავენ თავებსა.  
ღორები მარჩვებთან ერთად  
სთხრიან და ჰკაფენ ვაზებსა.  
დათვები მობაჯბაჯებენ  
ვეფხვნი მოხტიან კამარით

მელია საქათმეს ეცა—  
გმირი, ჩვეულის ამალით.  
დათვთა, მგელთა და ვეფხვებთა  
მთაში საქონი დალიეს.  
უწყალოდ გაატიალეს,  
უწყალოდ ხელი დაპრიეს.  
ბატონის მთელი ქონება  
ერთს ლამეს მორჩა; გათავდა.  
რა ეს გაიგო ბატონმა,  
თავს ცოცხალ-მკვდარად ჰსახავდა.  
გულ—ზვიალს, ელდა ნაცემსა  
პირს ნაცრის ფერი სდებოდა.  
არ იცის, რა ქნას, ბობოქრობს,  
ჯავრისაგანა კვდებოდა.  
ძალიან უკვირს ბატონსა:  
რა მოხდა, საით რა, იყო.  
მისი სწეული გონება  
ათას ნაწილად გაიყო.  
კაკალზე ყვავი შემოჯდა,  
თავს აქნევს, იწყო ჩხავილი:  
„ვინაც სხვის ცრემლის ფასითა  
• თითონ იკეთა საღილი,  
„ბოლო ჟამს გაუმწარდება  
„იმასაც გულის წილილი.  
„შენ რომ არაფრად ჩააგდე,  
„ეგ სულ წიწილის ბრალია,  
„იმან დაგლუპა, ბატონო,—  
„შენი ცხვარ—ძროხა დალია!“

წიწილა ამას არ კმარობს,  
ამბობს: „მარგუნა რაც წყენა,  
ას კოდში უნამუსომა  
ერთიც კი აღარ მაჩვენა.  
ქვესკნელში ჩავა? — ჩავყვები  
მაღლა? — ავყვები ცამდინა  
რაკი საწყლობა დამატყო,  
უფრო მასხარად ამიგდო.  
მაწამოს მასაც არ ირცხვნის,  
რა ერთხელ ხელში ჩამიგდო.  
უფალი მწყალობელი მყავს,  
კარგად ვეცადო ერთია,  
უნდა ძალიან ვაწვალო,  
გაუნაწყრომო ღმერთია!“  
ამას იქადის წიწილა,  
სტკივა მარჯვენა გვერდია.

## IX

გამწარებული ბატონი  
ადგა, გაიჭრა ველადა.  
ეძებს ნახევარ-წიწილას,  
უნდა ჩაიგდოს ხელადა.  
სტანჯოს, აწვალოს ძალიან,  
სულ ასო-ასოდ დაგლიჯოს,  
ზედ შედგეს უღიერადა.  
წალმა-უკუღმა აბიჯოს.  
დალლილ-დაქანცულს ბატონსა

დასძინებოდა ჩრდილშია.  
თვალი შეასწრო წიწილამ  
იქვე ფერდობის ძირშია.  
მივიდა ცოცვით, ფრთხილადა  
ბატონს ჩაუძვრა პირშია.  
წიწილის უდიერობა  
მან ვერც-კი იგრძნო ძილშია,  
გამოეღვიძა, ხმა ესმის,  
ამოდის იმის პირათა.  
გაცოფდა, რა ქნას, არ იცის,  
ახლად შაყრილის ჭირითა.  
ხელში ვერსაით ჩაიგდებს,  
შუა გაგლიჯოს კბილითა.  
ხმა თუმც მოესმის გარკვევით,  
როგორც ქამანჩა-სტვირისა,  
და თავის საგალობელსა  
გაბედულადა ჰყვირისა:  
„მე ვარ, სხვა ნუ გეგონები,  
„ის ნახევარი-წიწილა!  
„მე ჩემი ფეტვი მოვთხოვე,  
„ბატონმა რისთვინ იწყინა?  
„მცემა კიდეცა და მგვემა,  
„თითონ კი ტკბილად იცინა!“  
რა ქნას, რა უყვას ბატონშა,  
ძალა თუმცა აქვს გმირისა?  
სხვა რომ ველარა ილონა  
დაჯდა და ისე ტირისა.  
მოუხმო ერთგულს მსახურსა.

და დაიყენა გვერდზედა,

თან უთხრა კარგად მოიჭეც,

მე დაგარიგებ ერთზედა.

ხახას გავალებ, რაც ძალმის,

წიწილას იცნობ ფეხზედა,

ეგება თავი ამოყოს

ხელ-ალებულმა ღმერთზედა.

შენ ამ დროს ხმალი უმარჯვე,

მოაგდებინე თავიო!..

პირი დაალო ბატონშა,

ჰსურს გაათეთროს შავიო.

ბატონის ენა რო ნახა,

მსახურს ეგონა წიწილა,

ისე შაესმა ყურებში

რომ თითქოს დაიწიწინა.

დაუსვა ხმალი მონამა,

ცხვირ-პირი ჩაათლეინა.

კისერიც თან მიაყოლა

და სულიც დაალეინა.

თავ-ზარ ცემული მსახური

იქვე მიწაზე წაიქცა:

წიწილამ თავსა უშველა,

აჩქარებული გაიქცა.

არავინ არი მათ ახლო,

რომ დაუძახოს: დაიცა!

წიწილამ ამცნო ყველასა,

მოიმოქმედა რაიცა.

„ბოროტი კაცი დამარცხდა!“

მთასა და ბარად გაისმა.  
მკათათვემ ეს მოგვიტანა,  
რით გვანუგეშოს მაისმა?!.

X

შეგროვილიყვნენ ნადირნი,  
ერთი მეორეს სწვევიყვნენ,  
ფრინველნი ოთხფეხ ცხოველთა  
მხარ-და-მხარ გადჰახვევიყვნენ.  
ერთი რამ ფიქრი აწუხებსთ  
ორნივ ერთს მეფეს ირჩევდნენ.  
ყველა ამაზე მსჯელობდა,  
აზრს ძირეულად ირკვევდენ.  
ფრინველნთ უნდოდათ გულითა  
ნადირთაგანი მეფედა.  
ხოლო ნადირთა—ფრინველი  
ყველაზე ხარჯის მკრეფედა.  
ესა სცნეს სამჯობანოდა  
დათვთა, მგელთა და მელათა,  
ყველამ, რაც ფრინველ-ნადირი  
ბუღლაბს ტყეში და ველადა.  
ამოსარჩევლად მეფისა  
შეგროვილებმა მთელადა—  
„აბა, რომელი ფრინველი?“  
ეს დაიძახეს ყველათა:  
„რაღა რომელი?—წიწილა!“  
დაიგუგუნეს ერთადა.

ბატონის სახლი სრად მისცეს.

ვეფხვი და ლომი მცველადა.

ნაზირ-ვეზირად დათვები,

მელა და ტურა მრჩევლადა.

შიკრიკად — ქორ-შავარდენი,

მგლები — ავაზაკთ მრბევლადა.

ხოხობნი, შურთხნი, კაკაბნი —

ტანისამოსის მკერვლადა.

ბულბული საგალობელად,

ტკბილ სიმღერების მოქმედადა.

მედალაბანდედ კოდალა —

გათქმული არი ძველადა

მეჭიანურედ — კრიჭინა,

ეს მას მოუდის ხელადა.

მეწისქვილედა — ბატები,

პურისა დასაფქველადა.

ღორები — ქუჩის დარაჯად

წყალ-საყვან არხთა მთხრელადა

კაჭკაჭი — ექიმბაშებად,

გაღამდებ სენთა მცრელადა.

წერონი — დესპან-ელჩებად.

საქმეთა გასარჩევლადა

უცხოველებთან დავისა

ასაწონ, გასარკვევლადა.

ხარი, ირმები — საგუთნედ

დედამიწისა მხვნელადა.

ჩხიკვები — ჯაშუშებადა

აქა-იქ საძრომელადა. ...

ზოხბის ბუმბული ასხია,  
კოხტა ჯიჯლიბო მამლისა.  
ყველას ხათრი და შიში აქვს  
როგორც მშობელი მამისა.  
ერთს სხვისგან არ აბატონებს,  
ვინც მისი ქვეშევრდომია.  
არც ვისთან ლხინი აშინებს  
და აღარც ვისთან ომია.  
ის აღარ არი წიწილა,  
რაც წინად გაგიგონია.  
უზარ-მაზარის ტანისა  
ათის არწივის ტოლია.  
ტახტზე თავ-გვირგვინიანი  
დაბძანებულა დინჯადა.  
ლაჩაგრულებსა ჰპატრონობს,  
მჩაგვრელებს უდგა კრიჭადა.  
მოდი და ნუ მოვიხსენებო  
კურთხეულს კაი ბიჭადა!

ვაჟა ფშაველა.

# მკვდრები ჩუმად არიან.

ა. შნიცლერისა.

კაცმა ვეღარ შესძლო ეტლში ჯდომა, გადმოხტა  
და წრნ და უკან სიარული, დაიწყო. ბნელობა. ამ ჩუმ-  
სა, წყნარსა და გადაკარგულ ქუჩაზე ფანრები შორის  
შორს იდგნენ ერთი მეორისაგან და მათი ალი ქარის  
ბერვით ერთთავად ციაგდებოდა. წვიმამ გადაილო და  
ქუჩის ბილიკები თითქმის კიდეც აშრნენ, მაგრამ შო-  
უკირწყლავი ქუჩები-კი ისევ ნოტიო იყვნენ და ადგილ-  
ადგილ გუბეებიც იდგა.

— უცნაურია, — ფიქრობდა ფრანცი, — პრატერის  
ქუჩაზე, რაღაც ასი ნაბიჯის მოშორებით, შენს თავს,  
როგორც პუნგრეთის პატარა ქალაქში, გრძნობუში-  
შრად... აქ-კი ის თავის ნაცნობთაგანს, უეჭველია, არა-  
ვის შეხვდება.

საათს დახედა... ჯერ სულ შვიდი საათია, და შუა-  
ღამესავით-კი ბნელა. შემოღომა წელს აღრე დაგვიდ-  
გა... წყეული ქარი... .

პალტოს საყელო აიწია და ნაბიჯსაც უმატა. ფან-  
რების შუშები ზრიალებდნენ.

— ნახევარი საათიც, — გაიფიქრა, — და შეიძლება  
წავიდეს მართალი რომ ვთქვა, ამის წინაამდეგ არა ვარ.

ერთ კუთხესთან შედგა. აქედან ხედავდა ორივე ქუჩას, რომლებიდანაც ქალი უნდა მოსულიყო.

— დღეს-კი მოვა,—გაიფიქრა და შუბლზე ქუდი, ჩამოიწია. დღეს პარასკევია, საარჩევნო სხდომაა პრო-ფესორებისა; მაშასადამე, შეუძლიან სახლიდან გამოვი-დეს და გვიანობამდეს არ დაბრუნდეს...

გაისმა ტრამვაის ზარის წყარუნი; შემდეგ დაჰკრეს მახლობელ ეკულესის ზარებმაც ქუჩას ცოტა სიცოც-ხლის ფერი დაედო, მოსიარულე ხალხი მიდი-მოდიოდა, ეტყობოდა, მეტი წილი ამ ხალხისა იმ მაღაზიების ნო-კრები იყვნენ, რომლებიც შვიდ საათზე იკეტებოდნენ. ფრანც ყურადღებას არავინ აქცევდა, მხოლოდ რამ-დენიმე მოვაჭრე ქალმა ცნობის-მოყვარეობით სახეში შეხედა. ფრანცმა უეცრად მისკენ ჩქარის ნაბიჯით მი-მავალი ქალი დაინახა და თითონაც ფეხი ააჩქარა.— ფეხით მოდის... იქმნება, ეს ის არ იყოს...

მაგრამ ის იყო, ის. ქალმაც დაინახა იგი. და მია-შურა.

— ფეხით მოდიხარ? — ჰკითხა კაცმა.

— ეტლი, კარლ, თეატრთან გავისტუმრე. მგონი; წინადაც იმ ეტლით ვიყავი.

ვილაც ბატონმა გვერდით გაუარა და ახალგაზდა ქალს გადახედა. ქალის თანამგზავრმა სასტიკად გადაუბ-ლვირა მას, თითქმის მუქარითაც. ბატონი საჩქაროდ მო-შორდა.

— ვინ არის? — შიშით დაეკითხა.

— პირველად ვხედავ. დამშვიდდი, აქ ნაცნობს არ შეხვდები. აბა, წავიდეთ ჩქარა, ეტლში. ჩაესხდეთ..

— ეს ეტლი შენია?

— ჰო..

— ერთ საათის წინად ჩინებული დარი იყო.

მივიღნენ ეტლთან. ახლგაზდა ქალი ჩაჯდა.

— მეტლე! — დაიძახა ახალგაზგა კაცმა.

— სად არის? დაეკითხა ქალი.

ფრანცმა მიიხედ-მოიხედა.

— არ მესმის, არსად არის.

— ეს რას ნიშნავს? — დაბალის ხმით შეეკითხა ქალი.

— მოიცადეთ ერთ წუთს, უთუოდ აქ არის.

ახალგაზდა კაცმა შეაღო კარი პატარა რესტორანისა. ერთ მაგიდასთან სხვა სტუამრთა შორის იჯდა მეტლეც. შეამჩნია თუ არა ფრანცი, სწრაფათ წამოხტა.

— ამ წუთას? — სთქვა და დადგომილმა ჭიქით ლვინო გადაჭრა.

— რა დაგემართათ?

— უკაცრავად... აი, მეც მზათ გახლავარ.

ცოტა ბარბაცით მეტლემ ცხენებისკენ გასწია.

— სად მიბრძანებთ წასვლას?

— „პრატერში.“

ახალგაზდა კაცი ჩაჯდა. მისი თანამგზავრი ქალი ფტლის სილრმეში მიიმალა. სახურავი ეტლს ახდილი ჰქონდა. ფრანცი შეეხო ქალის ხელებს. ქალი არ შეინძრა.

— შენ ჩემთან მოსალმებაც-კი არ გინდა?

— თუ ლმერთი გწამს, მოიცადე, მე აქამდის გონს ვერ მოვსულვარ.

ახალგაზდა კაციც მიწვა ეტლის სავარძელზე. რა-

შოდენიმე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. შეუხვიეს პრატერის ქუჩაზე, გვერდით გაურბინეს ტეგეტგოფსკის ძეგლს და გავიღნენ პრატერის, ბნელს, განიერს ხეივანში. ემა ალ-ფრთოვანებულის მოძრაობით მოეხვია ახალგაზდა კაცს. კაცმა ფრთხილად პირბადე აუწია და აკოცა.

— ძლიერ მე შენთან ვარ, — წარმოსთვევა ქალმა. — გახსოვს, როდის ვნახეთ ჩვენ ერთმანეთი.

— კვირას, უკანასკნელად?

— ჰო, და ისიც შორიდან.

— როგორ თუ შორიდან? შენ აკი იყავი ჩვენსას.

— ჰო... თქვენსას! ასე აღარ შეიძლება... მე თქვენსას ვეღარ მოვალ... რა გემართება?

— რაღაცა ეტლმა გაიარა!

— მერწმუნე, ჩემო კარგო, ვინც ეხლა აქ დასეირნობს, იმას სხვის ჯავრი აღარა აქვს.

— მრწამს, მაგრამ შემთხვევით შეუძლიანთ დამინახონ...

— ვინაობის გაგება ეხლა, სულ ერთია, მაინც არ შეიძლება.

— შენი კრიმე, სხვაგან სადმე წავიდეთ!

— როგორც გინდა.

დაუძახა მეეტლეს, მაგრამ ვერ გააგონა. მაშინ გადიწია და ხელით მოსწია. მეეტლე მობრუნდა.

— მოაბრუნეთ ეტლი... და ეგრე ძალიან ნუ ერე-კებით? გესმით, ჩვენ არსად გვეშურება. გასწით ხეივა-ნით, რომელიც სახელმწიფო ხილისკენ მიდის.

— სახელმწიფო გზა-ტკეცილით?

— ჰო, მხოლოდ ცხენებს ნუ ერეკებით.

— ქარისა ეშინიათ ცხენებს...

ფრანგუი თავის ადგილზე დაეშვა. მეეტლემ ცხენები მოატრიალა.

— გუშინ რატომ არ მოხვედი? — ჰკითხა ქალმა.

— აბა, როგორ შემეძლო?

— დამ აკი მოგიწვია.

— ღიას.

— მაშ რატომ არ მოხვედი?

— იმიტომ, რომ უცხო პირებთან... მე შენი ნახვა არ შემიძლია, არა.

ქალმა მხრები აიწია.

— ეს სადა ვართ? — ცოტა ხნის შემდეგ იკითხა ქალმა.

ამათ გაიარეს რკინის გზის ხიდის ქვეშ და გავიდენ სახელმწიფო ქუჩაზე.

— დუნაისთან გავალთ, არხთან კი არა, ნამდვილ დუნაისთან! — უთხრა ფრანგუმა.

— სახელმწიფო ხიდისკენ მივდივართ. აქ ნაცნობებს არ შევხვდებით! — დაუმატა მან დაცინვით.

— „ეტლი“ საშინლად ირყევა!

— კიდევ ქვაფენილზე გავედით!

— ეს რატომ ესე უვლის ერთი მხრიდან მეორე შხარეს?

— შენ ეგრე გეჩვენება.

თითონაც გრძნობდა ფრანგუი, რომ ეტლი რაღაც უცნაურათ ეხეოქებოდა აქეთ-იქით, მაგრამ არას ეუბნებოდა, უნდოდა ქალს უფრო მეტათ არ შეშინებოდა.

ემა! მე და შენ გულდასმით უნდა მოვილაპარაკოთ.

— მაშ სთქვი ჩქარა, ცხრა საათისათვის შინ უნდა ვიყო.

— ერთი სიტყვით, შეიძლება ყველაფერი გადაწყვდეს.

— ღმერთო ჩემო... ეს რა არის? — შეკვივლა ქალმა. ამ დროს ეტლის თვლები ცხენის რკინისგზის ლიან-ლაგში ჩაცვივდნენ, მეეტლეს უნდოდა ცხენები მოეტრიალებინა და ეტლმა ისე გადიშია, რომ კინალამ გა-დაბრუნდა. ფრანცუა სტაცია მეეტლეს პალტოში ხელი!

— გააჩერეთ!.. მოვრალი ხართ!

მეეტლემ ძლივ-ძლიობით შეაყენა ცხენები..

— გადვიდეთ, ემა!

— სადა ვართ?

— ხილთან. ცოტა ფეხით გავიაროთ. აქ არც საიმისო ქარია! თორემ ეტლით სიარულის დროს ისეთი ხმაურობაა, რომ ლაპარაკი შეუძლებელია!

ემამ პირბადე ჩამოიწია და წავიდნენ.

— შენი აზრით, ეს ქარი არ არის? — უთხრა ქალმა, როცა პირველსავე ნაბიჯზე ქარმა ძალზე შემოუბერა.

ფრინცმა. ქალს მკლავში ხელი გაუყარა.

— ჩვენ შოგვყევით უკან! — დაუყვირა მეეტლეს.

ხილის დასაწყისში აღმართი იყო, და ჩუმათ მიღიოდნენ. წყლის ხმაურობის გაგონებაზე, შედგნენ. უკუნეთ სიბნელეში გაეხვივნენ. განიერი მდინარე ლურჯად მიღუდუნებდა შორს, უსამზღვრო სივრცეში. შორიდან მოსჩანდა წითელი ცეცხლები და ისე ანატებდა თითქოს მდინარეზე მისცურავენო. ნაპირიდან, რომელზედაც ეს არის ეხლა იყვნენ, წყალს თრთოლით მიჭ-

დევდენ სინათლის ზოლები. მოპირდაპირე ნაპირი წყვდიადში იკარგებოდა. შორს ჭუხილის მსგავსი ხმა-ურობა გაისმა და ყოველ წუთს მათ უახლოვდებოდა. ორივემ უნებლიერ იმ მხარეს მიიხედეს, სადაც წითლათ ბჟუტავდენ ცეცხლები. ხიდზე, რკინის მოაჯირებს შუა განათებულ ფანჯრებიანმა ვაგონებმა გაირბინეს. ეს მოაჯირები ანაზღეულად აიმართნენ სიბნელეში და ანაზღეულადვე გაჰქრნენ. ნელ-ნელა ჭუხილიც მისწყდა. ჩამოვარდა სიჩუმე, მხოლოდ გრიგალი ქარი აქეთ-იქით შეუპოვრად აწყდებოდა.

სიჩუმე პირველათ ფრანცმა დაარღვია.

— აქედან უნდა წავიდეთ!

— ჰოო, — წყნარათ წარმოსთქვა ემამ.

— წასვლა საჭიროა! — მღელვარებით სთქვა ფრანცმა. — სრულიად წასვლა... გესმის?

— ეს შეუძლებელია!

— იმიტომ რომ მშიშარები ვართ, ემა! და მხოლოთ ამიტომ არის ეს შეუძლებელი!

— ბალლი მერე?

— ბალლს შენ მოგცემს იგი!.. მე ამაში ეჭვი არა მაქვს.

— როგორ მერე?.. — დაბლა ჰქითხა ქალმა. გავიჭ-ცეთ მოპარვით?..

— რასაკვირველია, არა... შენ სულ უბრალოთ, მოურიდებლათ ეტყვი, რომ მეტი აღარ შეგიძლიან მასთან ცხოვრება, იმიტომ რომ სხვას ეკუთვნი:

— შენ არ გესმის, რასაც აშბობ; ფრანც!

— თუ გინდა, ჟქვედანაც მე დაგიხსნი, — ამას მე თითონ ვეტყვი.

— შენ ამას ვერ იზამ, ფრანც!

ფრანცმა შეხედა ქალს, მაგრამ სიბნელეში შენიშნა მხოლოთ, რომ ამ სიტყვებზე ქალი მისკენ მიბრუნდა.

რამდენსამე წუთს ჩუმათ იყო და შემდეგ მშვიდად წარმოსთქვა:

— ნუ გეშინიან... მე ამას არ ვიზამ.

ესენი უკვე უახლოვდებოდნენ პირდაპირ მდებარე წყლის ნაპირს.

— გესმის? ეს რა ამბავია?

— ეს იქით მხარეს არის.

სიბნელეში ყრუ ხმაურობა მოისმოდა. წინ ეგებებოდა პატარა წითელი შუქი. ეს იყო პაწია ფანარი, ეტლის ხელნაზე მიკრული... დატვირთული იყო რამით, თუ იჯდა ვინმე შიგ, ამის გარჩევა შეუძლებელი იყო. მათ გვერდზე ჩაურბინა კიდევ ორმა ამისთანავე ეტლმა. უკანასკნელში მამაკაცი იჯდა გლეხურის-ტანსაცმელით. ეს მათ შეამჩნიეს იმიტომ, რომ მათ ახლო გავლის ღროს ეტლში მჯდომარეობის მოუკიდა. ეტლებმა გაიარეს და ხელ-ახლა მხოლოდ თავიანთ ეტლის თვლების ხმაურობა-ლა ესმოდათ. ეს ეტლი ოცი ნაბიჯის მოშორებით მისდევდათ. ხიდის პაწია თავდალმართი ჩადიოდა წყლის ნაპირისკენ. ეხლა-კი ამათ დაინახეს ქუჩა ჩარიგებულ ხეებ შეა. ის სიბნელეში იკარგებოდა მათ მარჯვნივ. მარცხნივ ღრმა არხები იყო გაყვანილი, რომელნიც უძირო უფსკრულებათ ეჩვენებოდათ.

ხანგრძლივის სიჩუმის შემდეგ უეცრად გაისმა  
ფრანცის სიტყვები:

— მაშ, ეს უკანასკნელადა ვართ...

— რაო? — შეშფოთებულის ხმით ჰკითხა ემამ.

— უკანაკსკნელადა ვართ ჩვენ ერთად. დარჩი  
იმასთან... მე მივდივარ...

— მართლა ამბობ?

— სრულიად მართალია.

— აჲ, აი, ნახე... შენ სამუდამოდ მოშხამავ იმ მო-  
კლე სიამოვნებასაც, რომელსაც ჩვენ ერთად ვგრძნობთ  
ჭოლმე. შენ ყოველთვის...

— ჰო, ჰო, შენ მართალი ხარ! წავიდეთ სახლში!  
ქალი ფრანცის მიეკრა.

— არა, — სთქვა ქალმა ნაზად, — მე არ მინდა...  
და არც ნებას მოგცემ, რომ გამავდო.

ქალმა მიიზიდა თავისკენ იგი და გრძნობით აკოცა.

— სად მივალთ? — ჰკითხა ქალმა, — ამ გზით რომ  
წავიდეთ?..

— პირდაპირ პრაგაში.

— არა, ეს მეტათ შორს იქნება, — სთქვა ქალმა  
ლიმილით, — მაგრამ, თუ გინდა, ეტლით ცოტა კიდევ  
გავისეირნოთ!

— მეეტლე! — შესძახა ფრანცის. მეეტლემ არ უპა-  
სუხა.

— დააყენეთ ეტლი! — დაუყვირა კიდევ. მაგრამ  
მეეტლე ხმას არა სცემდა.

ფრანცის ეტლთან მორბინა და დაინახა, რომ  
მეეტლნეს დასძინებოდა. ბოლოს ხმამაღლა დაუყვირა;

— ჩავიაროთ ცოტა ქვეით ამ ქუჩაზედ!.. გე-  
ყურება?

— მეყურება...

ემა ჩაჯდა, ფრანციც მას მიჰყვა. მეტლემ ცხენებს  
შოლტი გადაჭრა და, როგორც შმაგები, გაექანენ წა-  
ლეკილს გზაზედ.

ეტლი ერთის მხრიდამ მეორეზე გადადიოდა, მაგრამ  
შიგ მსხდომნი გადახვეულნი ერთმანეთს ეკვროდენ.

— აბა, განა ასეც კარგა არა ვართ? — ჩურჩულებდა  
ემა.

ამ წუთში ქალს მოეჩვენა, ვითომ ეტლი უეცრად  
ჰაერში ავარდა და ძირს დაცემას აპირობდა. უნდო-  
და რამეს მოსჭიდებოდა, მაგრამ მის სიახლოვეს  
არაფერი აღმოჩნდა. ქალს ჰერცია, რომ თავბრუ დამ-  
სხმელის სისწრაფით ტრიალებს რაღაც წრეში. მან  
უნებლიერ თვალები დახუჭა და უეცრათ იგრძნო.  
რომ დედამიწაზედ წევს... მის გარშემო საშინელი მრი-  
სხანე სიჩუმე გამეფებულიყო. მალე მის სმენამდის მოა-  
ღწია ერთმანეთში არეულმა სხვადასხვა ხმებმა: ბაკუ-  
ნი ცხენის ჩლიქებისა, სადღაც სულ ახლოს მასთან...  
სუბუქი კვნესა... მაგრამ ვერაფერს კი ვერ ხედავდა-  
შეჰკივლა... მაგრამ თავისი კივილი ვერ გაიგონა. უეც-  
რად, აშკარად, სრულიად ნათლად შეიტყო ყველაფერი,  
რაც მოხდა: უთუოდ ეტლმა გადაუარა, რომელსამე ქვის  
ბურჯს, გადაბრუნდა და გადმოაგდო. — ის სადღაა? —  
გაუელვა თავში. ქალმა ხმამალლა დაუძახა მას სახელი,  
ეხლა-კი მხოლოთ თავისივე ხმა გაიგონა, მაგრამ იგი  
სულ ნელა მოესმა. პასუხი არ იყო ქალს აღგომა უნ-

დოდა, წვალებით წამოჯდა მიწაზე და დაიწყო თავის  
გარშემო ხელებით ძებნა. მის გვერდით ვიღაც უძრავად  
იწვა. ეს იყო ფრანცი. ქალმა სახეზედ ხელი მოუსვა.  
რაღაც თბილი წყალივით გადმოსდიოდა სახეზე. ქალს  
სუნთქვა შეეკრა. სისხლი?.. რა მოხდა? ფრანცი დაჭრი-  
ლია და გულშემოყრილი წევს?.. მეტლე... ის სადღაა?  
დაუძახა. პასუხი არ იყო... ქალი ჯერ კიდევ მიწაზედ  
იჯდა.—მე საშიშარი არა დამმართნია-რა, — გაიფიქრა,  
თუმცა-კი სხეულის დიდ ტკივილებსა გრძნობდა. — რა  
ვქნა?.. შეუძლებელია, რომ მე არა დამმართნოდეს-  
რა.. ფრანც! — დაუძახა კიდევ. სადღაც სულ ახლო  
მოისმა ხმა: „სადა ხართ, ქალბატონო?.. ბატონი სადღა  
არის? ხომ არა გეტკინათ-რა? მოითმინეთ, ქალბატონო  
ფანარს ავანთებ, თორემ არაფერი სჩანს... არ მესმის,  
რა მოუვიდათ დღეს ამ ცხენებს... მე დამნაშავე არა  
ვარ... ქვის ხროვაზედ გადავიარეთ, დასწყევლოს ღმერ-  
თმა!“

როგორც იყო, მიუხედავათ მთელის სხეულის  
ძლიერის ტკივილისა, ემა ფეხზედ წამოდგა და დაინახა  
რომ მეტლე ჯანმრთელათ და უვნებელად არის. რამ-  
დენადმე დამშვიდდა ქალი. ეყურება, როგორც გააღო  
მეტლემ ფანრის კარები და სცდილობდა ასანთის მო-  
კიდებას. გულის კანკალით მოელოდა სინათლეს... გამ-  
ბედაობა არა ჰყოფნიდა.

როდესაც არ შეიძლება თვალით მისი დანახვა, —  
ფიქრობდა ქალი, უფრო სულ საშინელება გვინდია  
ფრანცმა, უეჭველია, თვალი უკვე გაახილა, არაფერი სა-  
შიშო არა მომხდარა-რა...

გვერდიდან სინათლემ გაიკრიალა და ყველაზე  
წინად ქალმა ეტლი შეამჩნია. მისდა გასაოცრად, იგი  
გადაბრუნებული არ იყო, არამედ მარტო სუბუქათ მო-  
გრეხილიყო, — თითქო თვალი გასტეხოდეს. ცხენები  
სრულიად მშვიდათ იღვნენ. მიახლოვებულმა სინათლის  
ზოლმა გაანათა ქვის ბურჯი, შემდეგ ქვების ხროვა და  
პატარა თხრილი. მერე სიმათლე გადასრიალდა ფრანცის  
ფეხებზე და მთელ სხეულზე, დაეშვა მის სახეზე. მე-  
ეტლემ ფანარი ძირს დადგა, ფრანცის თავის გასწვრივ,  
ემა მუხლებზედ დაეშვა. ოდესაც სახეს დახედა, გუ-  
ლმა ისე ძლიერად დაუწყო ძერა, რომ გარკვევით ეს-  
მოდა თვითეული შისი ბერა. სახე გაფითრებული იყო.  
ნახევრათ გახელილ თვალებიდან შოსხანდნენ თეთრი  
თვალის კალები. მარჯვენა საფეხქელიდან ნელ-ნელა  
გადმოდიოდა ლოყაზე სისხლის ნაკადული და ემალე-  
ზოდა კისერთან, საყელოს ქვეშ. ქვემოთა ტუჩისთვის  
კბილები შოეჭირა...

— შეუძლებელია! — წარმოსთქვა ემამ, როგორც  
იყო, და თან ფრანცს დასკეროდა.

მეეტლე დაეშვა მუხლებზედ, დახედა ფრანცის  
სახეს, მერე მოჰკიდა თავზედ ხელები და წამოსწია.

— რას შვრებით? — შეჰყვირა ჩახლეჩილის ხმით  
ემამ და შიშით მოშორდა თავს, რომელმაც, ეგონა,  
ერთბაშად თვითონ, სხვის დაუხმარებლად წამოიწიაო.

— ვგონებ, უბედურება დატრიალდა...

— ტყუილია! — უპასუხა ემამ. — ეს შეუძლებელია,  
აქვენ უვნებლათა ხართ... და მეც...

მეტლემ ნელ-ნელა დაუშვა ფრანცის თავი ემას  
მულხებზე. ქალი კანკალებდა.

— ნეტავ გაივლიდეს ვინმე მაინც...

— ეხლა რა ვქნათ? აკანკალებულის ხმით წარმო-  
სთქვა ემამ.

— ეს ჩასაჯდომი მაინც არ იყოს გატეხილი...  
ეხლა-კი ამით არ წაისვლება... ცდა მოგვიხდება, მანამ  
გიოვლიდეს ვინმე...

ის კიდევ რაღასაც ამბობდა, მაგრამ ემას მისი  
სიტყვები არ ესმოდა.. ემა თანდათან გონს მოდიოდა  
და მან უკვე იცოდა, როგორც უნდა მოქცეულიყო.

— დიდი გზა არის აქედან მახლობელს სახლამდის?

— არა, ახლო არის, აი, აქვე იწყება გარეთუბანი-  
ფრანც-იოსებისა. როცა სინათლეა, სალხი აქედგან  
სჩანს... სულ ხუთი წუთის სასიარულოა...

— მაშ გაიქეცით და დაუძახეთ ვისმე. მე კი აქ  
დავრჩები!

— მე მგონია, აქ მე რომ დავრჩე, თქვენთან, უკე-  
თესია... გამოივლის ვინმე... ეს ხომ სახელმწიფო გზა-  
ტკეცია...

— დიდი ხნის ლოდინი მოგვიხდება... შესაძლებე-  
ლია, მაშინ გვიან-ლა იყოს... ექიმს უნდა დავუჭახოთ.

მეტლემ დახედა ფრანცის სახეს, მერე შეხედა  
ემას და თავი გააქნია.

— თქვენ ამის თქმა არ შეგიძლიანთ! — შეჰყვირა-  
ემამ. — და მეც არ შემიძლიან!

— მაშ, კარგი... მხოლოდ გარეთ-უბანში სად  
ვიშოვნი ექიმს?

— გაგზავნეთ ვინმე ქალაქში...  
— იცით რაა, ქალბატონი!.. იქ უთუოთ იქნება  
„ტელეფონი“.. შეიძლება მოვითხოვოთ ჩქარა-დამხმა-  
რებელი კარეტა!

— ეს სუსყველას ემჯობინება! წადით ჩქარა...  
ღვთის გულისთვის, სირბილით... დაუძახეთ... გასწით  
რაღა... რას დგეხართ?

მეეტლე დაჰყურებდა ფრანცის გაფითრებულს სახეს,  
ემას მუხლებზედ მისვენებულს.

— სწრაფი დახმარება და ექიმი აქ ვეღარას უშვე-  
ლის!

— გაიქეცით და... ღვთის გულისათვის, გაიქეცით!

— მივდივარ, მივდივარ... მხოლოდ თქვენ, ქალ-  
ბატონი, კი არ შეგეშინდეთ სიბნელეში! — და გაიქცა —  
მე დამნაშავე არა ვარ! — თან ბურდლუნებდა მეეტლე  
თავისთვის. — დალოცვილები შუალაშისას მოისურვებენ  
სახელმწიფო შოსეზედ სეირნობას...

ემა დარჩა მარტო ფრანციან ბნელს ქუჩაზე. — რა  
იქნება ახლა? — ფიქრობდა იგი. — ეს შეუძლებელია... —  
არა შორდებოდა თავიდან მთელს დროს. — შეუძლებე-  
ლია... — უეცრათ გვერდით ვიღასიც სუნთქვა მოესმა.  
დაიხარა ფრანცის გაფითრებულის ტუჩებისაკენ. — არა,  
ეს არა სუნთქავს საფეთქელსა და ლოკაზე სისხლი. უკვე  
შეშრობოდა და ზედ ახმებოდა. ქალი ჩააცერდა გა-  
დაკარკლულს თვალებში და შეთრთოლდა. — რატომ არ  
მინდა დავიჯერო? — გაიფიქრა ემამ და მთელის სხეულით  
გააურევოლა. გრძნობდა სულ აშკარად და უფრო გარ-  
კვევით, რომ იმის გვერდით მიცვალებული წევს. — მე

და მიცვალებული... ჩემს მუხლებზე მკვდარი!.. და აკანკალებულის ხელებით თავი ძირს დააგდო. მხოლოთ ეხლა შეიპყრო მარტოობის საშინელმა გრძნობამ. რათ გაგზავნა მეეტლე? რა უგუნური აზრია! რა ჰქნას ახლა მარტო მიცვალებულთან ამ შარა გზაზე? ან რომ მოვიდეს ვინმე?.. რა ჰქნას მაშინ, თუ ვინმე მოვიდა?.. რამდენს ხანს მოუხდება ცდა?.. და კიდევ დახედა მიცვალებულს.—მე მარტო არა ვარ, ამასთანა ვარ... აქ არის სინათლეც.—და თავში მოსდის, რომ ეს სინათლე—რაღაც ძვირფასია მისთვის და მახლობელიც, რაზედაც ლრმად მაღლიერი. უნდა იყოს. ამ პაწია განათებულ წერტილში უფრო მეტი სიცოცხლე იყო, ვიდრე მის ირგვლივ მთელს უშველებელს ღამეში... ის ახლო იყო მასთან, რომ ეს სინათლე ჩაეთვალა მცველათ გაფითრებულის საშიშარის კაცის წინააღმდეგ, რომელიც მის გვერდით მიწაზე იწვა და ქალი არ. აშორებდა თვალს ამ ფანარს, ისე რომ თვალებში ტკივილი იგრძნო. იმრგვლივ ყველა საგნებმა ტრიალი დაიწყეს:

უეცრათ ქალი შეიპყრო იმ გრძნობამ, ვითომ ამ წუთს სრულს გონებაზე მოვიდა, და ფეხზე წამოიჭრა....

— ეს რა უნდა იყოს: ეს მოუფიქრებელია... მე მომასწრობენ აქ ამასთან ერთათ! — მოეჩვენა, რომ თითოენ ხედავს თავის თავს მდგომარეს ქუჩაში მიცვალებულით და ფარნით, ფეხებში ჩაჩირულით... ეჩვენებოდა, რომ იგი თანდათან იზრდება ირგვლივ სიბნელეში და ავსებს მას.—რისთვის ვიცდი?..—იმის აზრები საშინელისა სისწრაფით დაჰქროლავდენ აქეთ-იქით.—რას ვუცდი?... ხალხს? რათ მინდანან?.. მოვლენ და იკით-

ხავენ... მე კიდევ რას ვეტყვი?.. მოლათ ყველანი დაიწყებენ კითხვას, ვინა ვარ მე... მე-კი რას ვუპასუხებ მათ? ვერაფერს... თუ მოვლენ, მე ხმას არ ამოვიღებ, ერთ სიტყვასაც არ დავძრავ, ჩუმათ ვიქნები, როგორც ჩაკლული... არც ერთ სიტყვას... იმათ ხომ არ შეუძლიანთ ძალათ მათქმევინონ!

შორიდან მოისმის რამდენიმე ხმა.

— როგორ?.. კიდეც?.. გაითიქრა ქალმა. და შემკრთალმა ყური დაუგდო. ხმაურობა მოისმოდა ხიდის შხრიდან. ეტყობა, ეს მეეტლე არ არის... მაგრამ ვინც უნდა იყვნენ, სინათლეს შეამჩნევენ და დამალვა ველარ მოხერხდება. არა, ეს შეუძლებელია!

ქალმა ფეხი წაჰარს და გააქრო. — ეხლა იდგა ღრმა სიბნელეში. ვეღარას არჩევდა, თითქმის ფრანცის სხეულსაც-კი... მხოლოთ თეთრი ქვების ხროვა ამართულიყო სიბნელეში. ხმები ახლოვდებოდნენ. ნატავი ვერ შეამჩნიონ მაინც ეს აქ, ფრანცის, გვერდით. ეს არის უმთავრესი... საქმე მოლათ ამაშია... დაიღუპება, თუ ვინმემ გაიგო, რომ საყვარელია ფრანცისა... ათრთოლებულის ვედრებით იწვდის წინ ხელებსა. ლოცულობს, რომ ხალხმა სხვა მხარეზე გაიაროს და არ შეამჩნიოს იგი. კიდევ ყურს უგდებს... დიახ, იქიდან მოდიან... რაზედ ლაპარაკობენ?, ორი თუ სამი დედაკაცი... ეტლი შეამჩნიეს... არკვევს ის. განცალკევებულს სიტყვებს და ესმის, რომ ერთზე ლაპარაკობენ... — კალიასაც.. გადაბრუნებულა... რასა ლაპარაკობენ? ველარ არკვევს... მოდიან ახლოს... გაიარეს... მაღლობა ღმერთს! ახლა — კი... აეხილა რალა? რატომ ეს არ მოკვდა

და ფრანცი მოკვდა? შურს მისი სიკვდილი... ეხლა  
ფრანცისათვის ყველაფერი გათავებულია... იმან აღარ  
აცის არც შიში, არც კრძალვა... ეს-კი ცახცახებს და  
ყველაფრისა ეშინიან... ეშინიან, რომ აქა ნახვენ და  
იკითხავენ მის ვინაობას... ეშინიან, რომ პოლიციაში  
მოუხდება წასვლა, რომ ყველანი შეიტყობენ... ამის  
ქმარიცა... შვილიც...

არ ესმის, რისთვის არის ამდენს ხანს აქ გაჩერე-  
ბული... შეეძლო წასულიყო... ვერაფერ სარგებლობას  
ვეღარ მოუტანს, მხოლოდ განსაკლელს წააწყდება...  
ერთ ნაბიჯს გადაადგამს... ფრთხილად.... უნდა გადას  
იაროს... შიგ ეშვება... გადადგება ბორცვზედ... რო-  
გორი უშველებელი ლაფია! ორი ნაბიჯიც და შუა  
ქუჩაში გაჩნდა... ერთ წამს შედგება. აქეთ-იქით იყურე-  
ბა და სიბნელეში არჩევს გზის მოთვარო ზოლს. ქალაქი  
აგერ იქ არის... არა სჩანს, მაგრამ გასწვრივ-კია... იცის  
ესა. ერთხელ კიდევ იყურება აქეთ-იქით. სრულიადაც  
ესე არა ბნელა... აშკარათ არჩევს ეტლსაც, ცხენებსაც...  
დაუინებით იყურება და ხედავს ადამიანის მოხაზულობას  
მიწაზე... თვალებს განივრათ ახელს და შეძრწუნებული-  
იყურება... რაღაც იჭერს, ადგილიდგან არ უშვებს...

დარწმუნებულია, რომ ფრანცი იჭერს, გრძნობს  
თავზე მის მფლობელობას. დიდის გაჭირებით თავის-  
უფლდება და მხოლოდ ეხლა ამჩნევს, რომ ტალახია,  
რომელიც სიარულს უშლის. მაგრამ მაინც მიღის...  
უფრო ჩქარა, ჩქარა... ბოლოს გარბის კიდეც... შორს,  
შორს იქიდგან... იქ, საღაც სინათლეა, საღაც სიცოც-  
ხლეა, საღაც ხალხია... გარბის, კაბა აწეული, რომ არ

წაიქცეს. ქარი უბერავს ზურგში, და ჰელნია, რომ  
ფრანცი შველის... გარკვეულს ანგარიშს ვერ აძლევს  
თავის თავს, რა აიძულებს გაქცევას. ჰელნია, რომ გაურბის.  
გაფიტრებულს მკვდარს, რომელიც მისგან, მოშორებით  
თხრილის ახლო წევს... მერე ეჩვენება. რომ გაურბის  
იმ ხალხს, რომელნიც ამ საათში მივლენ იქ და მოს-  
ძებნიან მას. რას იფიქრებენ? გამოედევნებიან დასაწევად.  
თუ არა? მაგრამ სულ ერთია, ველარ დაეწევიან, უკვე  
ხიდთან არის მისული... საშიშრებამ უაიარა. ისინი  
ვერც მიხვდებიან, ვინ არის ქალი... არც ერთმა სული-  
ერმა არ იცის, ვინ იყო ის ქალი, რომელიც ფრანციან  
ეტლში იჯდა. მეეტლე ველარ იცნობს. და ვერც იც-  
ნობს, კიდევაც რომ ნახოს სადმე. არც ეცდებიან ამის  
გაგებას, თუ ვინ იყო ის ქალი... ვის რა საჭმე იქვს?.  
და ძალიან გონივრულად მოიქცა, რომ არ დარჩა იქა...  
არც არაფერი უპატიოსნებაა. ამაში.. თითონ ფრანციც  
არ გაჰკიცხავდა ამისთვის. ხომ უნდა გამოცხადდეს სახ-  
ლში!.. ჰყავს ვაჟი შვილი... და ქმარი... რა უნდა  
ექმნა, თუ მას ნახავდნენ საყვარელის გვამის გვერდით?  
აი ხიდიც... ქუჩა უფრო განათდა... წყლის ხმაურობაც  
ისმის, როგორც მაშინ... იმ აღაგას არის, სადაც ის  
მიდიოდა მასთან მკლავ-გაყრილი... როდის?.. როდის  
იყო ესა?.. რამდენი საათის წინად?.. ეს იყო ამ  
მოკლე ხანში.. მოკლე ხანში? მაშ ერთბაშად!..  
შეიძლება, დიდხანს იწვა უგონოთ... ვინ იცის, დიდი  
ხანია, შუალამეც არის. ჩქარა გათენდება და იქნება, სახ-  
ლში კიდევაც მოიკითხეს. არა, არა, ეს შეუძლებელია...  
იცის, რომ არა ყოფილა უგონოთ... ეხლა. უფრო

აშკარად, ვიღრე პირველს წუთს, ახსოვს, როგორც გა-  
დმოვარდა ეტლიდან. გარბის ხიდზე და ესმის ბაკუნი  
თავის ნაბიჯისა. არ იყურება არსაით, მაგრამ წინ  
მოჩანს ვიღაცა კაცი... ნაბიჯს ავითანებს... ეს ვინ  
მოდის? მგონი, „ფორმაშია“. ეხლა სულ ნელა მიღის...  
ჰელინია; რომ ეს კაცი დაუინებით უყურებს იმას... უეც-  
რად რომ გააჩეროს ამ კაცმა? დაუპირდაპირებენ...  
ქალმა ფორმა იცნო პოლიციელისა. გვერდით გაუარა  
და ესმის, რომ პოლიციელი შედგა.. მთელის ძალ-  
ლონით იმაგრებს თავს, რომ კიდევ სირბილი არ დაი-  
წყოს. ამით შეიძლება ეჭვი ავალებინო... და წინანდე-  
ბურად აგრძობს ნელა სიარულს. მის ყურამდის ახწევს  
ვაგონის ზარის ხმა... ეტყობა, შუალამე ჯერ შორს  
არის. ნაბიჯს კიდევ უმატებს... მიეშურება ქალაქში,  
ცეცხლები. უკვე მოსჩანან რკინის გზის ხილს იქით... უკვე  
ესმის ქალაქის ყრუ ხმაურობა... კიდევ ერთი ქუჩა და  
დახსნილია იგი... უეცრათ მოესმა მჭახე სტვენა, ძალზედ  
მჭახეთ, სულ ახლოს, და მას გვერდით კარეტამ გაურ-  
ზინა.. ქალი უნებლიერ: შედგა და ოვალი გა-  
აყოლა. სწრაფი დამხმარებელი კარეტაა... იცის კარ-  
გათ, სადაც მიეჩარება.—რა ჩქარა!—რამდენსამე წამს  
ფიქრობს, რომ უნდა გააჩეროს და წაპყვეს მათ იქ საიდანაც  
გამოიქცა... ერთ ხანს ღრმა სირცხვილის გრძნობა  
იპყრობს. ამ გვარი გრძნობა თავის სიცოცხლეში არ გა-  
მოუცდია. გრძნობს, რომ მშიშრათ მოიქცა და უპატი-  
ოსნოდ, მაგრამ კარეტის თვლების გრიალი და სტვენა  
თანდათან სუსტდება, მას იმორჩილებს დიდი სიხარული  
და გრძნობა, რომ დახსნილია, და მიეშურება სახლში.

გზაში სტუმრები ეხეჩებიან, მაგრამ ახლა აღარ ეშინიან იმათი.—უმძიმეს საშიშრებამ კიდევაც გაიარა. ქალაქის ხმაურობა ძლიერდება, უფრო ნათდება! კიდეც ხედავს პრატერის ქუჩაზე სახლს, და ეჩვენება, რომ იქ ხალხის ჯგუფი ელოდება მას, რომელშიაც შეუძლიან მიიმალოს უკვალოდ. მიდის ქუჩის ფანართან, იმდენად გრძნობს თავის-თავს უკვე დამშვიდებულად რომ საათს სინჯავს. ცხრას ათი წუთი აკლია... ყურთან მიაქვს... არა, დადის... და თავში გაურბენს: მე ცოცხალი ვარ, ჯან-მრთელათ... საათიც-კი არ გაჩერებულა... ის-კი... ის მოკვდა. ალბათ ბედის წერა იყო... ისეთს გრძნობაზეა ახლა, თითქოს შენდობა მიიღო ყველაფერზეო... ვითომ არაოდეს არაფერში არა ყოფილა დამნაშავე. საუკეთესო დამტკიცება... საუკეთესო საბუთი... ესმის! როგორ ხმამაღლა წარმოსთქვა ეს სიტყვები, ეს ბედის წერა სხვანაირად რომ მოქცეულიყო?.. თითონ რომ მომკვდარიყო, და ის გადარჩენილიყო ცოცხალი? ის ხომ არ გაიქცეოდა, არა ის ამას არ იზამდა. მერე და, ის ხომ მამაკაცია, ეს-კი ქალი. მეორეც ესა, ამასა ჰყავს ვაჟი-შვილი, ჰყავს ქმარი. ამასა ჰქონდა უფლება ასე მოქცეულიყო, უფრო მეტიც. ეს იყო ამის აუცილებელი მოვალეობა. ჩინებულად აქვს. შეგნებული, რომ მოვალეობის გრძნობა არ ამოქმედებდა... მაგრამ კარგად-კი მოიქცა. გონება დაფანტული... როგორ... როგორ კარგნი არიან ყველანი, ხალხი... ეხლა. რომ იქ იყოს, ექიმები ჰკითხავდნენ... — თქვენი ქმარი, ქალბატონო?.. — ოხ, ღმერთო!.. ხვალინდელი გაზე-თები.. მშობლები... საუკუნოთ დაიღუპებოდა და სი-

ცოცხლეს-კი მაინც ვეღარ დაუბრუნებდა ფრანცს! ჭიახ, დიახ, ეს უმთავრესია! დაიღუპებოდა და ერთი ბეჭო სარგებლობასაც ვერ მოუტანდა ვერავის.—გაივ-ლის რეინის გზის ხიდის ქვეშ.— შორს... შორს... აი, ტეგეტგოფის მოედანიც, რომელზედაც ამდენი ქუჩები მოდიან. დღეს წვიმიან-ქარიან სალამოა და ხალხი ცოტაა ქუჩებში, მეტის-მეტი საშინელი სიჩუმე იყო იქ, საიდგა-ნაც ის მოვიდა. კიდევ მოასწრობს... იცის, რომ დღეს ქმარი ათ საათზედ მოვა სახლში. ტანისამოსის გამო-ცვლაც კი შეიძლება. მხოლოდ ეხლა მოაგონდა ტანი-სამოსის დათვალიერება, და ელდა ეცა. შეამჩნია, რომ მთლათ ლაფშია ამოსვრილი. ახლა რას ეტყვის მოახლე გოგოს? ხვალ ამ უბედურ შემთხვევის აღწერა იქნება მოთავსებული ყველა გაზეთებში. წაიკითხავენ იმ ქალ-ზედაც, რომელიც მასთან ერთათ იჯდა კალიასკაში და შემდეგ-კი უკვალოდ ჩაიყლაპა .. ამ ფიქრზედ თრთოლა იპყრობს. ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი, და მთელი სიმღაბლე მის მოქმედებისა გამოჩნდება. მაგრამ სახლის კარების გასაღები თანა აქვს. თვითონ გააღებს კარებს,— არავინაც არას გაიგებს, მსწრაფლათ შეხტება კარეტაში.. სრულიად მზად არის უთხრას თავის აღრესი, მაგრამ გაუელვებს თავში, რომ ეს გაუფრთხილებლობა იქნე-ბა, და ასახელებს იმ ქუჩას, რომლის სახელიც პირველ-შივე აგონდება, მიდის პრატერის ქუჩით. უნდოდა ეგრძნობინებინა თავის თავისთვის მწუხარების ნიშნები, მაგრამ ეს ნიშნები არსად იყო.. ერთი სურვილი აქვს— სახლში მისვლა, სადაც შეუძლიან სრულიად უშიშრად ყოფნა. სხვა დანარჩენს, მისთვის არავითარი მნიშვნე-

ლობა არა აქვს. იმ წუთს, როდესაც გადასწყვიტა მან  
მიცვალებულის მარტოდ დატოვება ქუჩაში, მასშა-  
მოკვდა მწუხარებაც და სასოწარკვეთილებაც. თავის  
თავზედ ზრუნვის მეტი ახლა მას არა აწუხებს-რა.  
უგულო არ იყო... არა, კარგად იცის, რომ მოვა დრო  
და ჭიუიდამ შეიშლება მწუხარებისა და სასოწარკვე-  
თილებისაგან, შეიძლება ვერც-კი აიტანოს. მაგრამ ამ  
წუთს-კი მასში ერთი მისწრაფებაა—სახლში გაჩნდეს და  
ძალდაუტანებელის სიმშვიდით მიუჯდეს მაგიდას ქმარ-  
შვილთან ერთათ. კარეტის ფანჯრიდან გამოიხედა—  
კარეტა მიღის ქალაქის უმთავრეს ქუჩებს შეა... კარგათ  
განათებულია და ხალხიც ბლომათ არის. უეცრად  
თავში მოზღის, რომ ყველა იქიდან, რაც ამან გამოს-  
ცადა ამ საათებში, საიმისო არაფერი ყოფილა, ნამდვილი  
არ იყო. ეს ყოველივე საშინელ სიზმრად მიაჩნია—  
ერთს ქუჩაზე, რომელიც „რიგნზე“ გადიოდა, შეაყენა  
მეეტლე, გამოვიდა, საჩქაროთ შეუხვია ერთს კუთხეს და  
მეორე ეტლში ჩაჯდა, ნამდვილი აღრესის დასახელებით—  
ეჩვენება, რომ საზოგადოდ სრულიად დაკარგა ნიჭი-  
ერება რამეზედ მოფიქრებისა.—სად არის ეხლა ფრანცი?—  
გაურბნენს თავში. თვალებს ხუჭავს და ფრანცი აშკარათ  
ეხატება თვალ-წინ, საკაცეზე მწოლარე ჩქარა-დამხმა-  
რებელ კარეტაში. უცფად ეჩვენება, რომ ვითომ ესეც  
გვერდით მისდევს ამავე კარეტაში. კარეტა ქანაობას  
იწყებს, ქალს შიშის ზარი იპყრობს, ეშინიან კიდევ,  
ისე არ წაიქცეს, როგორც წელან,—და ჭივის; კარეტა  
შედგა. მთელს სხეულში თრთოლა ურბნენს. აი სახლის  
კარებიც. ქალი გადმოხტა კარეტიდან და ნელა, ისე

რომ მექარემაც-კი არ გამოიხედა თავის პატარა სარ-კლმიდან, შევიდა ქუჩიდან შესავალ კარებში, აიარა კიბეზე და ფრთხილათ გააღო თავის სადგომის კარები. არავის არ გაუგია. დერელრიდან შეიარა თავის ოთა-ხში, აანთო ლამპარი, საჩქაროდ გაიძრო ტანისამოსი და შკაფში შეინახა. ამაღამ. გაშრება, დილით-კი თითო-ნვე გასწმენდავს!.. პირდაბანილმა „კაპოტი“ ჩაიცვა.

ამ დროს ზარის ხმა მოესმა. ესმის, როგორ გაია-რა მსახურმა გოგომ დერეფანში და გააღო კარები. მოახ-წია ქრმის ხმამაც... — ისიც-კი ესმის, როგორ აყუდებს ჯოხს. კარგად აქვს შეგნებული, რომ ეხლა აუცილე-ბელია სრული თავის შეკავება, ან არა და მთელი მისი ძალ-დატანება ფუჭად ჩაუვლის. საჩქაროდ მიდის სასა-დილო ოთახში და შედის ერთსა და იმავე დროს ქმარ-თან ერთად.

— აა, შენ უკვე შინა ხარ?

— რასაკურველია, დიდიხანია.

— უთუოდ არ უნახევხარ მსახურს, როცა მოხვედი? ქალი უღიმის შინაგანის ძალ-დატანებულის სიმ-შვილით. მაგრამ იმისთანა ფიზიკურ დაღალულობას გრძნობს, რომ ღიმილიც უძნელდება. ქმარი შუბ-ლზედ ჰკოცნის. ბიჭიკო უკვე მაგიდასთან ზის და სძინავს, მას წინ თევზზე მისივე წიგნი ძევს, წიგნზე-კი უმწეოდ დაშვებულა პატარა თავი. დედა გვერდით ჯდება, ქმარი-კი ცოლის პირდაპირ, გაზეთს იღებს და ათვალიერებს. ცოტა ხნის უკან გაზეთს იქით სდებს.

— კრება ჯერ არ გათავებულა, სულ მსჯელობენ...

— რასა?

ქმარიც უამბობს კრების ამბავს. ლაპარაკობს გძლათ და ბლომად. ემა აჩვენებს, რომ ყურს უგდებს და დრო გა- მოშვებით თავს უქნევს, მაგრამ არაფერიც არ ეყურება. ისიც კი არ იცის, რაზედ ლაპარაკობს მისი ქმარი. გრძნობს მხოლოდ, რომ რაღაც გასაოცარის შემთხვევით გადარჩა საშიშ გარემოებას. — გადარჩა... სახლშია... — გაუელვებს თავში და, ვიდრე ქმარი უამბობს, თავის სავარძელს უახლოვებს შვილს და მაგრად იკრავს გულ- ში მის თავს. საშინელი დაღალულობა იპყრობს, ღონე არა აქვს იბრძოლოს მასთან და გრძნობს, რომ იძინებს... თვალები ეხუჭება.

უეცრად საშინელი აზრი მოსდის, რომელიც დაავიწყდა მას აქეთ, რაც იქიდან გამოიქცა. იქნებ, ცოცხალია! იქნება, ის... მაგრამ არა, ეჭვი შეუძ- ლებელია... ის თვალები... ის პირი... და მერე... აღარცა სუნთქვავდა. — დიახ, მაგრამ ხომ არის საეჭვო სიკვდილიც. ზოგჯერ თვით გამოცდილნიც სცდე- ბიან ხოლმე, — ეს-კი რასაკვირველია გამოუცდელია. ვინ იცის, ცოცხალია, ან იქნება მოსულიერდა და დაინა- ხა, რომ მარტო წევს ლამე ქალაქს გარეთ... შეეძლო ეფიქრნა, რომ ემამაც იტკინა რამე, და უთხრას: ჩემ- თან ქალი იყო, ეტყობა ის შორს გადავარდნილა ეტ- ლიდან... რა იქნება მაშინ? დაიწყებენ ძებნას, დაბრუ- ნდება მეეტლე და იტყვის — ის ქალი აქ იყო, მე რომ წაველი... ფრანციც მიხვდება, ფრანცი შეიგნებს... ფრანცი კარგად იცნობს მას... ის მიხვდება, რომ ქალი გაიქცა... მას შეეზიზლება ქალი და, რომ სამაგიერო გადაუხადოს, იმის სახელს იტყვის. მისთვის სულ ერ-

თია, სიკვდილი მაინც არ ასცდება, და იმის მოგონება, რომ ქალმა მარტოდ დასტოვა ის ამისთანა მღვმარეობაში, მასზედ იმოქმედებს ისე, რომ ყოველის სიბრა-ლულის გარეშე იტყვის: ჩემთან იყო ჩემი საყვარელი ემა... ის უპატიოსნოდ და სულელურად მოიქცა, ამი-ტომ რომ მართალი არაა, ბატონებო. თქვენ არ იკი-თხავდით მის სახელს, თუ აგისსნიდით, საქმე რაშიც იყო. თქვენ იმას სახლში გაუშვებდით... და მეც... მა-გრამ უნდა მოეცადნა თქვენ მოსვლამდის. და რახან ის მოიქცა უპატიოსნოთ მე თქვენ დაგისახელებთ მას... იმის სასელია ემა... ოჭ.

— რა დაგემართა? — უთხრა პროფესორმა, წამოდგა-თავის ადგილიდგან და ცოლს მრისხანე თვალებს არა შორებდა.

— რა?.. რა არის?..

— რა დაგემართა-მეთქი?

— არაფერი... — და უფრო მაგრა იხუტებს შვილს. პროფესორი დაუინებით უყურებს.

— ჩაგთვლიმა და...

— მერე რაა?

— და შეპკივლე...

— მართლა?

— თითქო რაღაც საშინელება მოგეზმანაო. სიზმა-რში ნახე რამე?

— არა... არ ვიცი...

— ამ დროს ის ხედავს კედლის სარკეში მომლიმა-რეს, მაგრამ საშიშრად დამახინჯებულს თავის სახეს. იცის, რომ ეს ამის სახეა, და მაინც შიშის შარი იპ-

ყრობს... გრძნობს, რომ სახე უცივდება, რომ აღარ შე-  
უძლიან განძრევა არც ერთის სახსარისა...

იცის, რომ ეს ღიმილი სიკვდილამდის აღარ წაი-  
შლება მის სახიდამ. უნდა დაიყვიროს, მაგრამ ამ დროს  
გრძნობს, რომ ვიღასიც ხელები შეეხნენ მის მხრებს,  
და ხედავს, რომ მის სახისა და სარკის შუა აიმართა  
ქმარი მთელის ტანით. მისი კითხვით გამოხედვა და  
ამასთნვე მუქარი, უხუთავს სულს — ესმის კარგად,  
რომ, თუ ვერ აიტანს ამ უკანასკნელ გამოცდას, ყვე-  
ლაფერი დაკარგულია. და გრძნობს, რომ უბრუნდება  
წინანდელი ძალა, თავს იმაგრებს. მაგრამ ჩქარია უნდა  
ისარგებლოს ამ ძალით, თორემ უბრალოდ დაიკარგება.  
მხრებიდან იშორებს ქმრის ხელებს, თავისკენ იზიდავს  
მას და შესცეკრის მხიაულათ და ნაზათ.

და გრძნობს, როგორ ჰკოცის ქმარი შუბლზედ,  
და ფიქრობს: რასაკვირველია... ყველა ეს იყო საში-  
ნელი სიზმარი... ფრანცი არავის არას ეტყვის და არა-  
ოდეს სამაგიეროსაც არ გადაუხდის... არაოდეს... ის  
მოკვდა... ეჭვი არ არის, მოკვდა... მკვდრები-კი ჩუმათ  
არიან.

— რად მოგივიდა ეს აზრი? — უეცრათ გარსმა ქმრის  
ხმა. — შიშის ზარი იპყრობს ქალს.

— რა ესთქვი?

და ჰერნია, რომ ყველაფერი უთხრა ქმარს... უთ-  
ხრა აქ ამ მაგიდასთან დღევანდელი სალამოს ამბავი.  
ქალს აშინებს შეაურეოლებს ქმრის საშინელი გამოხედ-  
ვა და ერეოლით ერთხელ კიდევ ამბობს:

— რა ესთქვი?

— მკვდრები ჩუმათ არიანო,—დინჯად იმეორებს ქმარი.

— ჰოო,—უპასუხებს ქალი,—ჰოო...

ქმრის შეხედულობით ქალს ესმის, რომ ქმარს დაუფაროს, არ შეუძლიან. ესენი დიდხანს უცქერიან ერთმანეთს.

— ბავშვი დააძინე, — ეუბნება ქმარი რამდენისამე წუთის შემდეგ: — შენ, მგონი, რაღაც ამბავის თქმას აპირობა?

— დიახ! — ამბობს ქალი.

ქალმა იცის, რომ მეორე წუთს იგი ეტყვის ყველაფერს მართალს, ამ კაცს, რომელსაც ატყუებდა მთელი წლების განმავლობაში.

წყნარად მიღის თავის ვაუიშვილით და კიდევა გრძნობს ქმრის გამოხედვას... თანდათან დიდებულ სიმშვიდეს გრძნობს, თითქო კიდევ ბევრი რამ შეიცვალა სასიკეთოთო

ლიზა მესხიშვილი.

„მომხიბლავი ზღაპარი.“

4-მოქმედებიანი პიესა

ი. ნ. პოლაპუნკოსი.

თარგმანი შიო დაგითიშვილისა.

კავკასიის მთავარმართებლის-მიერ ეს პიესა ნებაღართულია სცე-  
ნაზე წარმოსადგენად (21 იანვარს 1905 წ.).

ბაზროვა, ტატიანა ვლასევნა, ჩინოსანის ქვრივი.

იპოლიტ პეტროვიჩ { მისი შვილები,  
ნატალია პეტროვნა

სედრიც, ნარკიზ გავრილოვიჩ, ბაბროვის ნათესავი, ქმარის  
მხრივ.

სტილა, მისი შვილი.

ლანდებაია, მარია გრიგორიევნა, ბაბროვის ჭორეული ნათესავი.

ქარასოვ, სერგეი სერგეიიჩ, სტუდენტი, ბაბროვის მდგმური.

კლეოპატრა.

გრიგო იურისძი, რამან ვლადიმიროვიჩ.

ელიზავეტა ვლადიმიროვნა, მისი დად.

საჩუვა, მისაილ ალექსეევიჩ.

გარენ ფლიგელ.

სეიბუზევი, არეკალი მისაილოვიჩ.

პოლინცევ, ივან გალდანოვიჩ, ექიმი.

ივან { იურისკის მოსამსახურენი.  
საჭა

ანნა, ბაბროვის მოახლე.

## მოქმედება პირველი:

საერთო ოთახი ბაბროვის სადგომში. მაყურებლების პირდაც პირ, ცოტა მარცხნივ, კარია. მარცხნივ სამზარეულოს კარი. მე-სამე კარი მაყურებლების პირდაპირ არის, მარჯვნივ, მდგმურის ოთახისა. მარცხენა მხარეს დივანია, რგვალი მაგიდა და სამი კრესლო. მარჯვენა კუთხეში საწოლია, ჩითის ფარდით მოფარებული. იქვე, მარჯვენა კედელთან, საწერი მაგიდა, ზედ წიგნებია, გალალდები და ერთი შანდანი. წინ სკამია. ავანსცენაზე, რგვალ მაგიდას ახლო, საკერი მანქანაა. მარჯვნივ პატარა რგვალი მაგიდაა. გარედან შემოსასვლელ კარის მარცხნივ ბუფეტია. საერთოდ ღარიბი მოწყობილობაა, გახუნებული, ძველის ფასონისა. კედლებზე ოლეოგრაფიული სურათებია!

## გამოსვლა I.

ჭლეო პატარა ხელსახოცებს გარს უხვევს მანქანაზე.  
ანა უთოს ფიცარსა მართავს მარჯვნივ.

კლეოპატრა. (ხელს დოჟაზე მიიდებს) ოჰ, ღმერთო  
ჩემო, რა ნაირად მიელავს კბილი... რას არ  
ჩავიდენდი, რომ შემეძლოს. სამი დღე მტან-  
ჯავს. თუთუნი მაინც მქონდეს ერთი მოწევა,  
იქნება, დაეყუჩებინა. მოწევაც კი ისე საშინ-  
ლად მინდა, რომ ლამის კედელს შევახტე.

ანნა. მოწევაო? ლმერთმა დაგიფაროს. მერე, კაი დღეს დაგაყენებს ტატიანა ვლასევნა მაგ მოწევისა-თვის. სჯობს, სულაც არ გაიფიქრო.

კლეოპატრა. მე ხომ სასიამოვნოდ არ მინდა, ოლონდ კბილი ჩამიყუჩის. ანნა, თუ ლმერთი გწამს, იპოლიტეს მაგიდაში ჩაიხედე, იქნება, ერთი ციცნა თამაქო მაინც იყოს.

ანნა. არა, არა, კლეოპატრა მათვეევნა, მე მაგ საქმეში ნუ გამრევთ, არა მსურს. გუშინწინაც კინა-ლამ ჩამყლაპა, თქვენ რომ აფთიაქში გამგზავ-ნეთ. თქვენ, აი, იმ სტუდენტსა სთხოვეთ, მდგურს... იმას მუდამ აქვს...

კლეოპატრა. იქ ეხლა მაშა არის, არ შეიძლება. ვინ იცის, რა ლაპარაკი აქვთ... ახალგაზდები არიან. მყუდროება რად დავურლვიო... (იატაქს ათვალიერებს). აჲ, მოიცა... (აღგება დაეწოდება და ნამწვეს აიღებს). ოპო, აქ ხუთი სასუნთქიც გამოვა (გაჭირავს წუმწუმას და სწევს. ისევ მანქანას მიუჭდება.)

ანნა. ნამწვი... არა გრცხვენიათ, კლეოპატრა მათვეე-ვნა, განა ეგრე უნდა დაიმტიროთ თავი, რომ ნამწვები აგროვოთ?..

კლეოპატრა. თავი დავიმტირო? მე მთლად ისე დამ-ტირებული ვარ, რომ ამაზე დამდაბლება. ალარც კი შეიძლება. იი, ცოტა დამიყუჩა.

ტატიანა ვლასევნა. (სამზარეულოდან) ანნა, გამართე ფიცარი, თუ რა მოგივიდა? სამ-საათს მაგაზე ფურფუტებ?

ანნა. მზად გახლავს... კაი დღეს კი დაგაყენებს, კლეო-

პატრა. მათვეევნა სჯობს გადააგდოთ, ღმერ-  
თმანი, მართალს ვამბობ! (მარცხენა კარისკენ  
მიდის) ფიცარი მზად არის!

კლეოპატრა. (გაჩქარებითა სწევს და აქმო იქით იუურება.  
ტატიანა ვლაძევნა შემოდის. უთო უჭირავს. კლეო-  
პატრა საჩქაროდ ნამწვს გააქრობს და კერვას იწ-  
უებს. ანა გიდის).

## II.

ტატიანა. კიდევ აახრჩოლე, კლეოპატრა? მე რა  
გითხარი? (ფიცართან შევა და აუთოებს).  
ჩემი სახლი დუქანი ხომ არ არის? იცოდე,  
გაგაგდებ როდისმე, ღმერთმანი, გაგაგდებ...  
მერე წადი და ქუჩაში ათიე ლამეები...

კლეოპატრა. მე, ტატიანა ვლასევნა, კბილების გამო...

ტატიანა. (აუთოებს). სწორედ, სწორედ, კბილების  
გამო!. ეს ოც და ათი წელიწადია, შენ  
სულ კბილების გამო ეწევი... ერთი დამი-  
ხედეთ, ამასაც უნი აშლია!.. კაბის კალთები  
შემოჰყლეთია, აძონძილ ფარაცინს მიუგავს  
და თამაქოს კი ყიდულობს... ერთს მერვედში  
ცხრა კაპეიკს ჰფლანგავს.

კლეოპატრა. აბა როდის? მე დამავიწყდა კიდეც,  
როდის ვყიდულობდი... ოთხი თვე იქნება,  
ჩემს ჯიბეს ცხრა კაპიკი არც კი მიჰკარებია.  
ან საიდან? თითო ხელსახლცის გადახვევაში  
კაპიკ-ნახვარს მაძლევთ. განა ამით თამაქოს  
ყიდვა შეიძლება? აი, აქ ნამწვი ვიპოვე და

ჩემს ბედზე მოზღილიც რყო. ეხლა ხომ  
რიგიან ნამწვაც ვეღარ იპოვის კაცი. ყველა  
სცდილობს, სულ ბოლომდე შეისუნთქოს.

**ტატიანა.** იყბედე, იყბედე... ცოტას გაძლევ! კაპიკ  
ნახევარი! სასმელ-საჭმელი? ეგ კი არაფერია?  
ორის წილს რო სთვლეფავ... დღეს სადილ-  
ზე გიყურე და ოვალი ვეღარ მოგაშორე:  
ორი გირვანქა პური მარტო შენ გადაყლაპე.  
**კლეოპატრა.** პურსაც მაყვედრით... ნატეხებს მითვ-  
ლით.. ყველა იმდონსა სჭამს, რავდენიც  
შეუძლიან აქ ხომ სურვილს აღაგი არა აქვს,  
თვით აგებულება. თხოულობს.

**ტატიანა.** კმარა! ეგ სიბრძნე შენთვის შეინახე...  
რა ვქნა, რა დამართვია ამ უთოებს, დღეს  
რა მალე ცივდება? ეჰ, ზოგიც სალამოსთვის  
დარჩეს, მაშინ დავაუთოებ. ეხლა კი ნატა-  
შას პერიანგი უნდა ვკერო, ბარემ გავუთაო...  
აი, ესეც ინსტიტუდილგან თითქმის შიშველი  
გამოისტუშჩეს... ხაზინის დოვლათი ენანებათ  
ძუნწებს! (საცვალს ალაგებს. შემოდის სედობინ)  
ძლივს, ღმერთს მადლობა, მოვესწარ თქვენს  
მობძანებას, ნარკიზ გავრილოვიჩ!

### III

**სედობინ:** სამსახური, სამსახური, ტატიანა ვლასევნა!  
მე ხელ-ფეხ შეკრული კაცი ვარ. გამარჯო-  
ბათ! (ხელს უწოდებს). აა, კლეობატრა. სულ  
უხვევთ, უხვევთ მაგ ხელცახოცებს და ნი-

შანს ადებთ ძალიან კარგი! კბილები? კბილ-  
ები როგორ-ლა გაქვთ?

კლეოპატრა. საშინლად მიელავს.

სედობინ. უე, ეგ კი ვერაფერია.

ტატიანა. დაბრძანდით, ნარკიზ გავრილოვიჩ!

სედობინ. დავბრძანდები (ჯდება).

ტატიანა. (ისიც დაჯდება) აბა?

სედობინ. რაო?

ტატიანა.. ნუთუ „დაგავიწყდათ?

სედობინ. (აგონდება) ჰო, მართლა, სკოლაზე მეკითხე-  
ბით. დიალ, დიალ. არა, არ დამვიწყებია,  
სულ დაწვრილებით ვიანგარიშე. აი, ინებეთ,  
ტატიანა ვლასევნა (ჭიბიდან ამოიღებს ქადალდა-  
სა და უარანდაშს): აი, სულ დაწვრილებით გა-  
ვსინჯოთ. პირველი მოწყობილობა სკოლისა  
ათას ხუთასზე ნაკლები არ დაჯდება.

ტატიანა. მერე, საიდან გავაჩინოთ ეგ ფული?

სედობინ. ეგ ჩემს ანგარიშს არ შეეხება და არც მი-  
ფიქრია. აი, მოისმინეთ, საიდან შესდგა ეგ  
ჯამი (სწერს). სკოლას ოთხი ოთახი მაინც დას-  
ჭირდება. აი, ჩავაგდოთ: სადგომის ქირა ხუ-  
თასი მანათი. ახლა... უკ, რა ბნელა, ესე  
ხომ თვალებს სულ დაიბნელებთ.

ტატიანა. ეხლავ, ეხლავ... კლეონატრა, ლამფა  
აანთე.

კლეოპატრა. (ადგება) არ ვიცი, ნავთი არის, თუ არა?  
გუშინ კი სულ დავწერიტე.

ტატიანა. რაო? ჭურჭელშიც ალარ არის? ეს რა ამ-

ბავია! სვამ თუ რა არის, კლეოპატრა? გუ-  
შინწინ ხომ სამი გირვანქა ვიყიდეთ.

**სედობინ.** ეჰე, კლეოპატრა მათვეენა, თქვენ თურმე,  
ჰმ .. სმაც გყვარებიათ ჰე, ჰე! მე ეგ არ ვი-  
ცოდი. ჰე, ჰე, ჰე! ისიც ნავთის სმა! მაშ  
თქვენ ასაფეთქებელ ნივთიერებად გადჰიქცე-  
ოდით. წუმნუმა შორს დავიჭიროთ, რომ არ  
აგაფეთქოთ.

**კლეოპატრა.** თქვენ მაინც არ დემცინოდეთ, ნარკიზ  
გავრილოვიჩ! ისეც ყველა დამცინის.

**ტატიანა.** კარგი, პირი ნუ აუშვი, კლეოპატრა. წა-  
ლი, კუხნის ლამფა აანთე (კლეოპატრა მარცხნივ  
შიდის. ხმა მარჯვნივ თთახიდან).

**ლანსკარი.** როგორ? მოითმინეთ! გახსოვთ, ლანგე რას  
ამბობს. კეთილ-დღეობის შესახებ? აი, ეხლავ,  
ვიპოვოთ მის წიგნში.

**სედობინ.** ოჰო, სამეცნიერო კაშათი... ვერა ხედავთ?  
სწორედ საოცარია. გასათხოვარმა ქალმა რა-  
უნდა გაიგოს, ვიღაცა ლანგე რას ამბობს?

**ტატიანა.** მაშა კურსებზედაც იყო, ნარკიზ-გავრილო-  
ვიჩ. ნასწავლი ქალია, განვითარებული.

**სედობინ.** განვითარებული? ნუ გამაგონებთ! შიშის  
ზარს ნუ დამცემთ! უნდა მოგახსენოთ, მე ძა-  
ლიან მეშინიან განვითარებულებისა, ჰე, ჰე!  
მე მგონია, განვითარებულია ქალი, თუ განუ-  
ვითარებული, სულ ერთი ბოლო მოელის—  
უნდა გათხოვდეს, ჰე, ჰე! და შორს რომ არ  
წავიდეს, სჯობს მაგასვე მისთხოვდეს, ე. ი-  
ლანგეს კი არა, ე მაგ სტუდენტს. ჰე, ჰე!

კარასოვი. არა, ლანგე ცხადად ამბობს...

შედობინ. (უკრძალ თითებს იცობს) როგორ უძლებთ, ტა-  
ტიანა ვლასევნა, ამისთანა ხმაურობას თქვენს  
საღომში? მე სწორედ გადავიკარგებოდი.

ტატიანა. (მარცხენა კარებთან შიდის). თქვენ ისე გაქვთ  
ნერვები აშლილი, ნარკიზ გავრილოვიჩ, რო-  
გორც ეხლანდელ გასათხოვარ ქალბატონებს...  
სერგეი სერგეიჩ, მაშენ კა! შეგვიძრალეთ და  
ცოტა დაბლა იბაასეთ! (თავის ადგილს დაბრუნდება)  
თქვენ თამამად შეგიძლიანთ ეგრე ილაპარა-  
კოთ, ნარკიზ გავრილოვიჩ, რადგან სამსახუ-  
რიც კარგი გაქვთ და ფულიც შეგიქუჩიათ  
შავს ტლისათვის. მე კი, აბა, რა გავაწყო? პენ-  
სია ერთს კვირასაც არა გვყოფნის. ჩემმა უბე-  
დურმა ქმარმა ნახევარი პენსიაც ვერ დაიმსა-  
ხურა. მე ვიძალადე, ვიცბიერე და ცოტა რამ  
მაინც გამოვცინცლე, თორემ სულაც არას  
მაძლევდნენ. კარასოვი კი ოთახსა და საღილ-  
ში ოცდახუთ მანათს მაძლევს. განა ეს  
არაფერია!

შედობინ. მებრალებით, მებრალებით. ტატიანა ვლა-  
სევნა.

ტატიანა. ეჲ, თქვენის სიბრალულით, ნარკიზ გავრილოვიჩ,  
უკაცრავად არ გახლდეთ, მე არამომექრობა-რა,  
არც ავად და არც კარგად. ვინც-კი მიყურებს,  
ყველა ოხრავს: მებრალები, მებრალებიო!  
საქმით-კი არავისგან არა მახსოვე-რა.

შედობინ. ვითომ რაო? ხომ არა გნებავთ, ჯაფითა და  
ოფლით შეძენილი ფული ავილო და თქვენ

ფეხს ქვეშ გავშალო? ოცდახუთი წელიწა-  
დი წელში ვიკაკვებოდი, ქაღალდებში თვალი-  
ჩინს ვიწყალებდი და ათას გაჭირებას ვიტან-  
დი... არა, ბატონო, მე ეგეები არ შემიძლიან.

**ტატიანა.** (გაჯავრებით). მერე, მე ხომ თქვენ ფულს არა  
გთხოვთ. განა ისიც კი არ შემიძლიან, რომ  
ჩემს ბედს დავენდურო? მე მხოლოდ იმას ვამ-  
ბობ, დაჩაგრული ვარ-მეთქი. აი, ქალმა ინსტი-  
ტუტი დაასრულა და შინ მომიბძანდა. მეგონა,  
მომეხმარებოდა რაშიმე. ის კი, როგორც  
დევნილი მგელი, სულ იღრინება და ყველას-  
თვალს უბრიალებს. აჲ, ღმერთო ჩემო!

(კლეიპატრას ანთებული ლამფა მთაჭეს და მაგა-  
ლაზე სდგამს).

**კლეოპატრა.** აი, ეხლა ხელებს გავინავთიანებ და  
მერე-კი გამიჯავრდებით, ხელსახოცები დაგი-  
ლაქავებიაო

**ტატიანა.** მომშორდი ერთი შენის ლაქებით, კლეო-  
პატრა, დაჯექ და შენი საქმე გაუკეთე (კლეი-  
პატრა მანქანას მიუვდება). თქვენ-კი ერთი რამ  
უნდა გყითხოთ და გთხოვთ, ნარკიზ გავრთ-  
ლოვიჩ. სკოლის დაარსება ნატაშასთვის ისე  
საჭიროა, ისე, რომ, აი..! (ხელს გაისვამს უეჭში)  
ფული კი არ მაბადია და იმედიც არსაიდანა-  
მაქვს.

**სედობინ.** იმედიც არა გაქვთ? ჰმ! მაშ ლაპარაკიც შეტი-  
ყოფილა მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ  
(მაგიდაზე თთებით არაეუნებს). დიალ, დღეს ავდარს  
ველოდი. ის კი (რა იუ, სეციდე დაიჭირა

**ტატიანა.** ნარკიზ გავრილოვიჩ! თქვენ ხელთ არის. თქვენ ხომ ნატაშას მზრუნველი ხართ. იმის სახელობაზე კი ათას ხუთასი მანათია შენა-ხული, ორმელიც ცხონებულმა ჩემმა ქმარმა დაუტოვა, ვიდრე სრულ-წლოვანი არ გახდება, ვერ მიიღოსო.

**სედობინ.** ოჰო, აი, თურმე სადა სცემთ... ეგ ფული ხომ ჯერ სრულ-წლოვანი არ შექმნილა... ჰე, ჰე! ფულსაც თავისი ასაკობადა ხნიანობა აქვს. დიალ, ათას ხუთასი, ხუთ-ექვს წელს ბანკში რომ შეისვენებს, ჰე დავ, ორათასამდე გაზდილა. მაშ როგორ გგონია? ჰე, ჰე! დიალ, ფული ბანკში, როგორც კომოსტო ბოსტანში, სულ იზდება.

**ტატიანა.** მე ხომ ჩემთვის არ მინდა, სკოლა უნდა დავუარსო. მე ხომ კატორლიდან გამოპარული აეაზაკი არა ვარ, რომ გავუთლანგო.

**სედობინ.** ნუ ცხარობთ, ტატიანა ვლასევნა, ეგ ჯან-მრთელობის მაენებელია. თქვენ ბძანებთ, ფული ნატაშასი არისო, თქვენ-კი მზრუნ-ველი ხართო, არა? დიალ, სწორედ ეგრეა. მაშასადამე, ფულის გამოტანა თვით იმას შეუძლიან, ვისაც ეკუთვნის, ჩემის თანახმო-ბით, რასაკვირველია.

**ტატიანა.** ჴო და, ისიც დაითანხმეთ, ნარკიზ გავ-რილოვიჩ მე როგორლაც არ მეხერხება. იქ-ნება იფიქროს, ვითომც მე გაფლანგვა მინ-დოდეს. მოელაპარაკეთ სკოლის შესახებ, ნარ-

კიზ გავრილოვიჩ, თქვენ მოხერხებული კაცი  
ხართ.

**სედობინ.** ბატონი ბძანდებით, მოველაპარაკები.. ლა-  
პარაკს ხშირ ბაჟი არა აქვს და მეც ხომ  
ორთქლ-მავალი არა ვარ, რომ შეშა შემომი-  
კეთონ და ხარჯი გასწიონ, ჰე, ჰე!  
(შემთდის იმოლიტ, პალტის იხდის და სკამზე  
მიაგდებს)

#### IV.

**სედობინ.** აა, ფილოსოფოზო, გამარჯვება! რა ჰქენ?  
ვერ მოიგონე ისეთი მანქანა, რომ აღამიანს  
სმა-ჭამა აღარ დასჭირდეს? ჰე, ჰე, ჰე! იცით,  
ეგ მე შევუკვეთე. ეგ რომ სულ ფილოსოფო-  
ზობს, მეც ვეუბნები: ტყუილ-უბრალოდ რად  
აბნევ მაგ ტვინს. მოდი, ისეთი მანქანა მაინც  
მოიგონე, რომ სმა-ჭამას გადაგვაჩვიო. მაშინ  
მაღლიერი შთამომავლობა საგანგებო ძეგლს  
აგიგებს-მეთქი, ჰე, ჰე, ჰე!

**იპოლიტ.** (სათვალეს იწმენდს). ვერასა ვხედავ. აა, თქვენ  
ბრძანდებით? გამარჯვება, ნარგიზ გავრილო-  
ვიჩ!

**სედობინ.** ჩემი სახელი ნარკიზია და არა ნარგიზი.

**იპოლიტ.** ეგ სულ ერთია. მე ლათინურის გამოთქმით  
ვამბობ, თქვენ—ბერძნულისა, ერთი და იგივეა  
(სედობინ ხელს იქნევს).

**ტატიანა.** გაკვეთილის ფული მოგცეს!

**იპოლიტ.** მაშ, სრული რვა მანათი.

სედობინ. ერთის თვისა? რა კოტა!

იპოლიტ. რა გაეწყობა, მეტს არ იძლევიან, ნარგიზ გავრილოვიჩ. რო მოეცათ, ხომ ავიღებდი, ხელს უკან არ წამოვილებდი... შინ მხოლოდ ექვს-ნახევარი მომყვა. ის, ეს წიგნი ვიყიდე, სულმა წამძლია (ჯიბიდგან წიგნს იღებს და უჩინებს). მანათ-ნახევარი მივეცი.

ტატიანა. ღმერთო, რა ძვირია თქვენი წიგნები!.. მაშ მომეცი ექვს-ნახევარი.

იპოლიტ. ინებეთ (ფულს აძლევს). არავინ მიკითხა?

ტატიანა. არავინ და, მგონი, არც არავინ გაიწან-წალებს. განცხადებისა მე არა მწამს-რა, ფულს ტყუილად იღებენ.

სედობინ. გაზეთში გამოაცხადეთ?

იპოლიტ. დიალ... თარგმნის შესახებ (მიღის საწერ შაგი-დასთან და სანთელს ანთებს).

კლეოპატრა. განცხადება სულ ტყუილი ყოფილა. მე კი არ გამოვაცხადე, ხელსაქმე მინდოდა, რომ არა გამოვიდა-რა. (იპოლიტ სერთუქს იხდის და მაგიდას მიუჯდება).

სედობინ. ფილოსოფობის დამიხედეთ! ჰე, ჰე! აბა სადა-ური ფილოსოფობი ხარ, როდესაც ისიც კი არ იცი, რომ უცხოსთან და მეტადრე ქალებ-თან უსერთუკოდ ყოფნა უზღდელობაა.

იპოლიტ. ეგ კანონი იმას შეეხება, ვისაც განცალკე-ვებული კაბინეტი აქვს. ამასთანავე, თქვენ უცხო კი არა ხართ, არამედ ჩვენი საყვარელი ნათესავი. კლოეპატრა კი ქალებში არ ჩაითვ-ლება.

კლეოპატრა. თქვენც დამცინით, იპოლიტ! მაშ მე,  
თქვენის აზრით, რა უნდა ვიყო, თუ ქალი  
არა ვარ?

იპოლიტ. თქვენ?.. თქვენ კლეოპატრა ხართ... რაღაც.  
საშუალო არსება ქალსა და ნემსს შორის.

ტატიანა. (აგონდება) უიმე, ღმერთო ჩემო! მე იქ  
ყავა დავსდგი მოსახალად, ვინ იცის დაიწვა  
კიდეც. მერე როგორ გაძირდა ყავა! ველარც  
კი მიჰკარებიხარ.

სედობინ. თქვენც აიღეთ და მეტი ციკორი შეაპარეთ.

ტატიანა. ღიაღ, ციკორს კი მუქთად ურიგებენ!  
ყველაფერი გაძირდა, ყველაფერი! (მარცხნივ  
აწეა შემთდის).

## V:

აწეა მოსარეცხე გახლავთ.

ტატიანა. აი, ახლა საცვალი უნდა ვთვალო. ხომ  
ხედავთ, ნარკიზ გაერილოვიჩ, რიგიანად ამო-  
სუნთქვის დროც კი არა მაქვს, წელში ვწყდები  
ყველაფერი მე თვითონ უნდა ვაკეთო...

კლეოპატრა. მე დავთვლიდი, ტატიანა ვლასევნა.

ტატიანა. შენ შენი საქმე აკეთე, თუ ღმართი გწამს.  
ისეც დავუგვიანეთ.

აწეა. მობძანდებით, ქალბატონო, თუ არა?

ტატიანა. წადი, გადაარჩიე, რიგზე დააწყე და მოვალ.

აწეა. გადავარჩიე და მოვრჩი კიდეც. განა მე არ  
ვიცი!

ტატიანა. მაშ კარგი, მოვალ. ოჯ, ღმერთო ჩემო,

ერთი კვირა მაინც მომე თავისუფალი, რომ  
დავეგდო და შვილი დღე გაუნძრევლად ვიძინო.  
(ანა გადის. დერთვანში სტიობას სმა: „თქვენ  
ვერ გაიგეთ ჩემი ნათქვამი, ნატალია პეტროვ-  
ნა! თქვენ არაოდეს არა გსურთ გაიგოთ,  
რას ვამბობ. ერთხელ მაინც მომისმინეთ“).

**ტატიანა.** აგერ, პრინცესაც მობძანდება!..  
სედობინ. ჩემი ჩერჩეტიც თან მოსდევს, სტიოპა; ჰე!..  
**ტატიანა.** მაშ მოელაპარაკეთ, ნარკიზ გავრილოვიჩ  
კლეოპატრა, გამომყე, აქ შენი კუუისა არავინ  
არის.

(კლეოპატრა საკერავს აგროვებს და ორიგენი  
გადას მარცხნივ).

(გარე გარიდან შეშოდის ნატაშა, შლიშასა და  
წამოსასხაშს მაშინვე მთიხდის).

(თან სტიობა შემოჭუვება, შლიშა ხელში უჭი-  
რავს. მივდენ ჟაფარა რგვალ მაგიდასთან, მარცხნივ.  
სედობინს ვერა ხედავენ, რომელიც, დივანზე ჩამო-  
მჯდარი, იქვე დარჩება და თვალ-უურს ადგენებს).

## VI.

**სტიოპა.** მე მხოლოდ ის მინდა, რომ მარად გემსა-  
ხურო და ჯილდოს არა ვთხოსულობ.

**ნატაშა.** ჩამომართვით ეს საძაგელი ტვირთი (წამოსასხაშს  
გადუგდებს). ჰო, თქვენა გსურთ მემსახუროთ...  
მაშ ერთი რამ დამავალეთ...

**სტიოპა.** მიბძანეთ, ჩქარა მიბძანეთ, ნატალია პეტროვნა!

ნატაშა. (ჩამოვდება პატარა მაგიდასთან და თავს ხელებზე  
დაუკრძნობს). მარტოდ დამტოვეთ...

სტილი. აი, ყოველთვის ეგრე იცით! მე რას გიშლით,  
აბა ჭძანეთ? მე ხომ არაფერს, სრულიად არა-  
ფერსა გთხოვთ. პირიქით, რომ შემეძლოს,  
ამ ღარიბ თახს მდიდრულ სასახლედ გადა-  
ვაჭრევდი, ოქროს ფრად მოვარაყებულ კედ-  
ლებით, ხელოვნურად დასურათებულ ჭერითა  
და ძვირფას ფარდა-ხალებით. მაგრამ, საუბე-  
ღუროდ, თილისმები არ მისწავლია და უბრა-  
ლო მოხელედ კითვლები მზღვეველთა საზო-  
გადოების კანტორაში, სადაც თვეში მხოლოდ  
სამ-თუმან-ნახევარს ჯამავირს მაძლევენ. ჩემი  
რა ბრალია, რომ ნიჭი არა მქონდა სწავლისა.  
და გიმნაზიაც ვერ გავათავე.

ნატაშა. და რადგან თქვენ თილისმები არ გისწავლიათ,  
ამიტომ ეხლა ამ გარუჯულ ოთახში დამტოვეთ,  
სადაც დადაღულ ქონისა და ნატისუსლის  
სუნი ტრიალებს, ჩვენც ბოლისგან ვირუჯებით  
და კლეოპატრასთან მუსაიფით ვერთობით.

იპოლიტ. (წიგნს თვალს აშარებს) გამიგონე, დაო, მე  
კარგ რამეს გირჩევ.

ნატაშა. (ამჰარტავნებად შექედავს) უწინარეს უნდა  
გთხოვოთ, ტანთ ჩაიცვათ. ეგ ხომ საზიზ-  
ლრობაა.

სტილი. ჰო, იპოლიტ, რასაკვირველია, უნდა ჩაიცვა.  
ეგრე არ შეიძლება!

იპოლიტ. ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. აპა,  
ჩავიცვამ (სერთუქს იცვამს). მაგრამ რჩევა კი

მაინც უნდა მოისმინო. როგორც ვხედავთ,  
შენ მეტად ნაზის გემოვნებისა ხარ და შენს.  
სიფაქიზეს ვერ აუტანია ეს ფარდა, ეს გახუ-  
ნებული სავარძლები და ყოვლად უმწიკვლო  
სახეც კი ყოვლად უწყინარის ადამიანისა.  
მთელ დედამიწის ჭურგზე — კლეოპატრასი.. ეს-  
გემოვნების ბრალია. მაშ ნუ იჭირებ საქმეს,  
დაიქირავე ცალკე ოთახი, მოაწყე, როგორც:  
გენებოს, და იცხოვრე, როგორცა გსურს,  
შენს გემოვნებაზე.

ნატაშა. სულელური რჩევაა.

იპოლიტ. სულაც არა. შენ ხომ ფული გაქვს, ათას-  
ხუთასი, რომელიც, მამამ გიანდერა. დაი-  
თანხმე შენი მზრუნველი, ნარკიზ გავრილო-  
ვიჩი, რომ მოგცეს ეგ ფული..

სედობინ. არა, არა მისცემს.

სტიოპა. მამა?

ნატაშა. (გაბრაზებული) აქ ყოველ კუთხეში საიდუმლო  
მეთვალყურე უნდა იყოს.

სედობინ. ჰე, ჰე, საიდუმლო! რა საიდუმლოა, რო-  
დესაც ყოველივე ცხადად სჩანს და გარკვე-  
ვით ისმის. მაგრამ მზრუნველი ფულს მაინც  
ვერ მოგცემთ, ვერა.

სტიოპა. მაგას რად ამბობ, მამა? ხომ ხედავთ, ნატა-  
ლია პეტროვნა უიმისოდაც ცუდ გუნებაზეა!

სედობინ. შენ რაღას ყოყლოჩინაობ, შე სულელო?  
ნატალია პეტროვნას შენ-არაფრად მიაჩნიხარ,  
შენ კი ეჩრები. ოჯ, რეგვენო, რეგვენო!

სტიოპა. ეჭ, თქვენ ისევ თქვენებურს მოჰყეთ!

სედობინ. ფული რად გინდათ, როგორ გინდათ მოი-  
ხმაროთ?

ნატაშა. როგორც სხვები ხმარობენ — დავხარჯავთ.

სედობინ. ჰე, ჰე, ჰე! ათას ხუთასი მანათი, აბა როგორ  
გვინიათ, რავდენ ხანს გეყოფათ?

ნატაშა. მე რა ვიცი. მე არაოდეს ფული არ მქონია.

სედობინ. აბა, მეც მანდა ვარ. აი, მე მოგახსენებთ:  
იყიდით მორთულ კაბას, არშია — მოსავლებით  
შემკობილს, ფრიალა წამოსასხამს, ამას, იმას  
და ნახევარი თქვენი ფულისა ვითომც არა  
ყოფილა. დანარჩენიც ერთ-ორ თვეს გეყოფათ  
საცხოვრებლად და თქვენი ფული სულ გაი-  
ფლანგა, გაფრინდა! შემდეგ? მერე რაღა უნდა  
ჰმნათ? ისევ აქ დაბრუნდეთ? მაშინ ხომ ეს  
ფარდა უფრო საძაგლად გეჩვენებათ... არა, ის  
ფული მაგისთანა რაშეებს ვერ მოხმარდება. რაც  
ცხონებულ თქვენის მამის ნაშრომია, მე ქარს  
ვერ გავანიავებინებ. მე პასუხის-მგებელი  
ვარ... გარწმუნებთ, თქვენვე მოხვალთ მერე  
ჩემთან და გულწრფელად მეტყვით: გმადლობდა,  
ნარკიზ გავრიელოვიჩ!

ნატაშა. მერე... როცა სული ამოქმდება.

სედობინ. რაღა? ეგრე რად უნდა იყოს? თუმცა თქვენი  
დედა ლარიბია, მაგრამ თქვენ მაინც მშობლის  
ქოხში ხართ და არა უცხოსთან. ჭკვიანი  
ქალი ხართ, ნასწავლი, თქვენ რამე საქმეს  
უნდა მოჰკიდოთ ხელი, დიალ, საქმეს.

ნატაშა. (შრეჭყარე დამალით) მე შემიძლიან მაგალი-

თად, ქარგა გავაძა, კაბა და ბალიშის პირი ან  
ღივნის გადასაფარებელი მოვქარგო, არა?

**სედობინ.** ქარგა რა საჭიროა? თქვენ შეგიძლიანთ,  
მაგალითად, კერძო სასწავლებელი დაიარსოთ  
და ბავშვებს ასწავლოთ... თქვენ ხომ დიპლომი  
გაქვთ.

**ნატაშა.** (თავზურდაცემული) სკოლა... ბავშვებს ვასწა-  
ვლო...

**სედობინ.** რამ შეგაშინათ? „ეშმაკი ისე საშიში არ  
არის, როგორც ხატვენო“... ჰე, ჰე, ჰე!  
მაპატიეთ კაღნიერი სიტყვა: ყველა შრომობს,  
თქვენი დედაც შრომობს, კლეოპატრაც  
შრომობს, თქვენი ძმა იპოლიტეც, თუმცა  
ფილოსოფობია, მთარგმნელობს. ყველა, ყველა  
შრომობს. ჭამა უნდათ და შრომობენ. თქვენი  
დედა დღე და ღამე ჯანს ილევს, წელს  
იწყვეტს. თქვენ, როგორც ახალგაზდა ქალი,  
მოვალე ხართ დედას შეღავათი მისცეთ. დიალ,  
ეხლა ის საცვლებსა თუ სხვა რამეებსა სთვლის.  
განა მოხუცს ეაღვილება წელში მოკაკვა?  
თქვენ კი ნორჩი ხართ, ჯანმრთელი. შესრია-  
ლდებოდით სამზარეულოში და ეტყოდით:  
დედა-ჯან, მაგას ხომ მეც გავაკეთებ!... დიალ,  
ასე უნდა.

**ნატაშა.** (ნერვებ აშლილი) მე არ მეხერხება... არ შე-  
მიძლიან.

**სედობინ.** თქვენი ნებაა. მე კი ჩემი ვსთქვი და თქვენ  
როგორც გენებოთ... დიალ! სკოლისათვის  
შემიძლიან ფული მოგცეთ, ჭარს კი ვერ

გავატან. (საათსა ზინჯაყს) იპოლიტ, დედა-  
თქვენს ეტყვით, ნახევარ საათის შემდეგ კიდევ  
გამოივლის-თქო. თუმცა მეც არ ვიცი, რის-  
თვის გამოვიარო. (სტიჟის) შენ-კი, ღომ-  
ბოლო, აქა რჩები? ტყუილად სცდები, ძამია!  
ნატალია პეტროვნა, როგორც ნათქვამია,  
შენი რომანის გმირი არ არის. ოჰ, სულელო,  
სულელო! (გადის).

## VII.

სტიჟი. აი, ყოველთვის ეგრე იცის. არც აციებს,  
არც აცხელებს და ისეთ რამეს იტყვის, რომ  
ტყუილ-უბრალოდ გამაბიაბრუებს. ისეც  
მცირე ჭკუის პატრონი ვარ და მაგისთანა  
სიტყვების შემდეგ ხომ სულ ვიფანტები...  
მე წავალ, ნატალია პეტროვნა, თორემ გაბე-  
ზრებთ და უფრო ცეცხლს გიკიდებ.

ნატაშა. (ჩაფიქრებული შიდი-მოდის) სწორედ გითხრათ,  
ჩემთვის სულ ერთია, წახვალოთ თუ დარჩებით.

სტიჟი. ეგ უარესი... რო გამაგლოთ, უმჯობესია, უფ-  
რო აღვილი ასატანია... მაშ წავალ. ნახ-  
ვამდის, ნატალია პეტროვნა!

ნატაშა. (დადის) ნახვამდის.

სტიჟი. (კართან) მე კი... აქ მინდა დავრჩე.

ნატაშა. დარჩით...

სტიჟი. არა, წავალ (გადის).

### VIII.

იპოლიტ. ეჭ, დაო! შენ ცხოვრებისა ჯერ არა გაგე-  
გება-რა და არც იცი, ცხოვრება რას გვავა-  
ლებს!

ნატაშა. რას? მითხარი, შენ მაინც გამაგებინე.

იპოლიტ. მეც კი, სწორედ გითხრა, ჯერ კარგა ვერ  
შემიგნია. მოვისაზრებ და გეტუვი (აღგება).  
ძლივს მოვრჩი. რა საძაგლობაა! ფრანგულით  
თარგმნა თითქმის არაფრად მიაჩნიათ. ათ მა-  
ნათს იძლევიან თითო თაბალში, რაც ორმოც  
ათას ასოს შეადგენს. მაგრამ ამ მძიმე საქმე-  
საც მრავალი ეძებს და ვერ უშოვია. შედა-  
რებით, მე უფრო ბედნიერი ვარ (ფურცლებს  
აკრდებს და ახვევს). თარგმანს წავილებ. თორ-  
მეტ მანათამდე მერგება.  
(შემოდიან ლანსეჟაია და კარასოვი, რომელსაც პალ-  
ტო აცილა და შლიაპა ხურავს).

### IX.

კარასოვი. (ლაპარაკს განაგრძობს) ეხლა გაკვეთილი მაქვს.  
საათის ცხრაზე-კი თავისუფალი ვიქნები და,  
შეიძლება, წიგნის კითხვა განვაგრძოთ. გა-  
მარჯობა, ნატალია. პეტროვნა!

იპოლიტ. (კარასოვი) მოიცა, ერთად წავიდეთ (პალტო  
იციაშს). მარია გრიგორევნა, ვინიცობაა, მიკით-  
ხოს ვინმემ იმის გამო, გაზეთში რომ გამო-

ვაცხადე, სოხოვეთ აღრესი დამიტოვონ. წა-  
ვიდეთ, კარასოვ!  
კარასოვ. წავიდეთ (გადიან).

## X.

ლანსკარი. გამიგონე, ნატაშა: დამშვიდდი, დაჯექ,  
მინდა მოგელაპარაკო.

ნატაშა. უკელა რიგრიგად მელაპარაკება. შენც. სკო-  
ლაზე თუ გინდა მებაასო?

ლანსკარი. (ჭდება) არა, სკოლაზე არა... მე გული მე-  
წვის, ეგრე ცივად რომ მეპყრობი. მართალია,  
ჩვენ რვა წელიწადი განშორებული ვიყავით,  
და სხვადასხვა-ნაირი ცხოვრება გვქონდა, მა-  
გრამ ბავშვობა ხომ ერთად გავატარეთ. მე  
ძალიან მინდა ისევ დავმეგობრდეთ, ნატაშა.  
იქნება ჩვენ ორმა მოვიფიქროთ რამე შენთვის.

ნატაშა. მოვიფიქროთ... ჩემთვის... აქ...

ლანსკარი. რატომაც არა. მართალია, შენი ცხოვრე-  
ბის იდეალი ფანტაზიურია, საოცნებო, მაგ-  
რამ იდეალის შეცვლაც შეიძლება.

ნატაშა. ძალდატანებით? ჰა, ჰა, ჰა!.. ნათესავების სუ-  
რვილისამებრ?

ლანსკარი. არა, საჭიროებისამებრ და საღის მსჯელო-  
ბით.

ნატაშა. რომ არ ვიცი, საღი მსჯელობა რასა ჰქვიან!  
მაგას ინსტიტუტში არ გვასწავლიდნენ... კუ-  
ჭყიან ფარდულში მოვთავსდე, დაბრანძულ ბრვ-  
შვებს ვასწავლო და შემდეგ, ყოველ სურ-

ვილების შესაერთებლად და დასამთავრებლად,  
გავთხოვდე, სტიოპას ან სხვა მაგისტანას გავ-  
უვ და მისი ჭაპანი ვწიო — არა, მე მაგისტანა  
იდეალებს ვერ დავისახავ და ვერც ვემსახურები!

ლანსკაია. მოითმინე, ნატაშა, შენ სულ სხვას აშბობ.  
იდეალი ხომ ყოველთვის მიუღწეველია. და,  
იდეალს გარდა, ნამდვილი ცხოვრებაც არსე-  
ბობს, რომელსაც გზას ვერ ავუქცევთ. ნუთუ  
შენი თავმოყვარეობა, შენი ამპარტავნობა ნე-  
ბას გაძლევს, გულხელ-დაკრებილი იჯდე იმ  
დროს, როდესაც სხვები შენთვის შრომობენ?  
მაპატიე, ნატაშა, და მე ეგ ვერ გამიგია, ვერ  
წარმომიდგენია. ყველა შენ გებუზლუნება,  
ყველა გაყვედრის, მე შენ მაგიერ ვიტანჯები  
და შენ-კი ყური წაგიყრუებია. და არა გეს-  
მის-რა, როგორც ქვითკირის კედელს...

ნატაშა. დამაცადეთ, ქვითკირი ენას ამოიდგამს და  
ყველას პასუხს გასცემს. მე სული კიდეც  
მეხუთება და მოთმინების ძაფიც მალე გა-  
მიწყდება.

ლანსკაია. მერე, რას ჩაიდენ?

ნატაშა. მეც არ ვიცი, რას ჩავიდენ. მაგრამ ბავშვებს  
მაინც ვერ ვასწავლი, არ შემიძლიან. გაიგე,  
არ შემიძლიან! შენ მაიც ნუ გამამწარებ მაგ-  
ლაპარაკით!

ლანსკაია. მაშ ცხოვრების იდეალი შენ როგორ წარ-  
მოგიდგენია?

ნატაშა. ვიცხოვრო ისე; როგორც სხვები ცხოვრო-  
ბენ. მე ჯერ არ მინახავს და კარგად არ ვი-

ცი, რა არის ცხოვრება? მე იმისთვის მხოლოდ ცალი თვალი მომიჯრავს სადღესასწაულო ეტლის სარკმლიდან, როდესაც ჩვენ დაგვასეირნებდნენ ზღვის პირას; ან იმ დროს, როდესაც ჩვენ ინსტიტუტში ჩემს ამხანაგებს ნათესავები ეწვეოდნენ და ყვავილებსა და ტკბილეულს მოუტანდნენ; ან კიდევ სადღესასწაულოდ მორთულ და გაჩაღებულ ინსტიტუტის დარბაზში საცეკვაო საღამო რომ გაიმართებოდა, მხიარულება, სიცილი, ხუმრობა და ხმაურობა ასტყდებოდა... ოჰ, რა საუცხოვო იყო ის სეირნობა, ის საღამოები, ცეკვა, თავისუფალი ბაასი უცნობებნათ, იმათი ხუმრობა და საიდუმლო, შეკვეცილი სიტყვა!.. ინსტიტუტის ფანჯარაში რომ გავიყურებოდი და ჩემს წინ ეტლები დაჭქროლავდნენ, ან ფეხით მოსიარულენი აქეთ-იქით მიისწრაფოდნენ, ასე მეგონა, იმ ორკეც შუშებს იქით სიცოცხლე სჩქეფს და გრგვინავს, როგორც ცეცხლის მფრქვეველი ქედი, სიცოცხლე ღელავს და ხალხი ბედს თანდათან უახლოვდება. იმ დროს ჩემს თაგა ვეკითხებოდი: შენ, შენ როდის-ღამიალწევ შენს ბედის ვარსკვლავს-მეთქი? ლანსკაია. ბეღნიერებას, ბედის ვარსკულავს უბრძოლოდ ვერ დაუახლოვდები.

ნაცაშა. ოო, ვიბრძოლებ, შე ბრძოლისა არ მეშინიან ლანსკაია. განა, რასაც ხედავ, ის კი ბრძოლა არ არის? განა ჩვენ ყველანი, შენი დედა და

ძმა იმისთვის არ ვიბრძვით, რომ ჩვენი ცხოვრება უკედ მოვაწყოთ?

**ნატაშა.** ეგა?.. ეგ ბრძოლა არ არის... ეგ უაზრო ფართხალია ბინძურ წუმპეში, უიმედო, უილაჯო, ბნელი, ბნელი...

**ლანსკარა.** (წაშოდგება). ერთის სიტყვით, შენ ცხოვრება მომხიბლავ ზღაპრად მიგაჩნია...

**ნატაშა.** სწორედ, სწორედ... მომხიბლავი ზღაპარი... ლამაზი, მშვენიერი, საამური, გულ-წარმტაცი... ან იმნაირი უნდა იყოს ცხოვრება, ან არა და, სჯობს, სიცოცხლე სრულიად მოისპოს.

**ლანსკარა.** ეგ რომ შეუძლებელია...

**ნატაშა.** უფერულ არსებობას სრულიად დამსხვრევა სჯობია.

**ლანსკარა.** მაგ მოთხოვნილებითა და გემოვნებით სიცოცხლეს სულ გაიმწარებ.

**ნატაშა.** სხვა ცხოვრება არც ვარგა და არც მინდა.

**ლანსკარა.** ნატაშა! ნუ გავიწყდება, რომ ყველა ჩვენგანს რაიმე მოვალეობაც აწევს. აი, როგორ არა ვთქვა, მე მათცებს შენი გულ-ცივობა დედისაღმი, რომელიც მართლა რომ ლონე-მიხდილობამდე შრომობს. რა არის, შენც ხანდისხან ხელი გაანძრიო და დაეხმარო, ან მცირეოდენი თანაგრძნობა გამოუჩინო.

**ნატაშა.** თანაგრძნობა!.. შენ არ გესმის, მაშა, ვერ მიმხვდარხარ... განა თუ გულჩეილობა მაკლია, განა სიბრალული არა მაქვს! თქვენ რომ შემოგცერით, ხალხს რომ ვუყურებ,

ყველა უბედურად მიმაჩნიხართ, ყველა მებრა-  
ლება... დიალ, ყველა, რაღგან არავინ იმას არ-  
აკეთებს, რაციამება... განა შენ ისე ცხოვრობ,  
როგორც გინდა? დედაჩემი?.. კლეოპატრა?..  
ეს რა სიცოცხლეა. ეს სსვა რაღაცაა, საში-  
ში და საზარელი... ყველას გართობა სურს,  
მხიარულობა და სიამოვნება სწყურია. ნამდვი-  
ლი სიამოვნება და სიხარული კი არავისა  
აქვს... მე ყველა მებრალება და ჩემი თავიც  
ოჲ, ჩემი თავი რა რიგ მებრალება, ძალიან  
მებრალება... მე მსურს მთელის მკერდით,  
მთლად ჩემის არსებით ვისუნთქო და შებოჭი-  
ლი-კი ვარ, სული მეხუთება... ხანდისხან  
მინდა, რამე სამუშაო მქონდეს, რომ 'გულო-  
გავაყოლო და ყველაფერი მივივიწყო, მინდა  
ვიშრომო ყველას მაგიერ—დედის, კლეოპატ-  
რისა და იპოლიტეს მაგიერ, მაგრამ, გავიფი-  
ქრებ თუ არა, ვითომც რაღაც მძიმე საქმეს  
ვადგევარ, ძაგძაგს დამაწყებინებს, შიშის ზა-  
რსა მცემს. შენ ამას ვერ წარმოიდგენ...

(მარცხენა კარიბან გაჩქარებით შემთდის ტა-  
რიანა ვლასევნა). .

## XI.

ტატიანა. იპოლიტ, იპოლიტ! აქ არ არის? წასუ-  
ლა?... ვიღაც დიდი ბატონი კითხულობს,  
კარგა ჩაცმული, მგონი, სათარგმნი მოუტა-  
ნია... (დაინახავს სქამზე ნატაშას შლიაჩას). შენს  
თავს მაინც მოუარე, ღვთის გულისათვის. ეგ-

პალტო თვეის ალაგას დასდე. მოვიდა ჭ მიაგდ-  
მოაგდო — იქ პალტო, იქ შლიაპა... რიგიან  
კაცის არც კი მოესვლება... (ხარაშა გაჩერებულია).  
რას გაჩერებულხარ? როდემდის უნდა გილა-  
გო და გემსახურო? ჯანი გამიტყდა, ლონე მი-  
მელია...

ნატაშა. (ზანტად იღებს შლიაპას). მე ავალაგებ...

ტატიანა. (უთოს ფიცარს დაინახავს) უიმე! აკი ფიცარი  
აქვე ყოფილა! ნატაშა, შენს დედას მიეშვე-  
ლე!.. უყურეთ! ისე გახევებულა, თითქო ხე-  
ლები დასცვივნიაო.

ნატაშა. (შლიაპით ხელში უთოს ფიცართან შიგა და სცდი-  
ლობს აიღოს, მაგრამ ვერ მოუხერხებია. შესდგება  
უღონოდ გარინდებული).

ტატიანა. (მიგარდება). ოჰ, მომშორდი, ღვთის გული-  
სათვის! სხანს, დედა შენი სიბერემდე ჯაგლაგ  
ცხენად უნდა დარჩეს!. (აიღებს ფიცარს და  
მიდის).

ნატაშა. (გაშტერებული უკან დაიწევს და საწერ მაგიდასთან  
ჩამოჯდება).

ტატიანა. (ფიცარი მიაქვეს შარცხნივ კარისკენ)

ლანსკაია. (ჩუმად ტატ. ვლასევნას). მაგაებს რად ეუბნე-  
ბით? ხომ ხედავთ, იტანჯება საწყალი?

ტატიანა. (ჩუმად) ილაზი გამიტყდა, ვერა შევასმინე-  
რა... ალარ, ალარ შემაძლიან... (ხმა-მაღალა).  
მიიღეთ, შვილებო, და მოელაპარაკეთ. იქნება,  
კარგი რამ საქმე ჰქონდეს. მე ხომ ვერას  
გავიგებ და ვერას ვუპასუხებ.

გრაფ იუორსკი (შემთდის ქადალდებით ხელში).

## XII.

ტატიანა. (უთოს ფიცრით). მობძანდით... ეგენი მოგა-  
ხსენებენ. მობძანდით, მობძანდით... უკაცრა-  
ვად, გვაპატიეთ, ღვთის გულისათვის...

იუორსკი. (თავს უკრავს).

ტატიანა (თავს უკრავს და მიღის მარცხნივ. თან ფიცა-  
რი მიაქვს).

## XIII.

ლანსკარა. თქვენ თარგმნის გამო თუ მობძანდით?

იუორსკი. დიალ. თქვენ სთარგმნით?

ლანსკარა. არა, აქ სტუდენტია. ეხლა წავიდა. თავისი  
შრომა წაიღო. თუ გნებავთ, თქვენი აღრესი  
დაუტოვეთ.

ნატაშა. (წამდდგება) ნუთუ გრაფია?..

იუორსკი. მინდოდა მომელაპარაკნა. აქ ცოტა რამ  
გამოსარკვევია.

ნატაშა. ნეტამც დედა მიწა გასკდეს და თან ჩამია-  
ტანოს!

ლანსკარა. ის დღესვე გიახლებათ, საცა გნებავთ.

იუორსკი. პო? მაშ ჩემს აღრესს დავტოვებ (ოთახს  
თვალს გადაავლებს და საწერ მაგიდას დაინახავს).  
შეიძლება? ორიოდე სიტყვას დავუწერ.

ლანსკარა რატომ, ინებეთ.

ნატაშა. (ფარდისტების დამწევს).

იუორსკი. (მაგიდისტების მიღის და ერთბაშად შეჩერდება).  
უკაცრავად... უნდა ვსცდებოდე... ნუთუ  
თქვენა ბრძანდებით, მაღმუზელ ბაბროვა?

ნატაშა. (მეტად შემკრთალი) მე გახლავართ, გრაფ...

იუორსკი. ვერ წარმოიღენთ, რა რიგ მიხარიან! (მაუა  
ხლოვდება და ორივე ხელს ჩამოართმევს). დიდად  
მიხარიან, თქვენ რომ გხედავთ.

ნატაშა. დაბძანდით, გრაფ!.. (მიდის პატარა რგებად მაკი-  
დასთან შარცხნივ).

იუორსკი. (დაჭვდება. სიტაშიც). საიდგან, როგორ? აქ რაზ  
გაგაჩინათ? იცით, დღეს დილით გულომისანს  
რომ ეთქვა, ვითომეც თქვენა გნახამდით საღმე,  
არ დავიჯერებდი.

ნატაშა. ეს დედა ჩემის სადგომია, გრაფ.

იუორსკი. აა!.. ნუთუ?.. (ცოტა ადელფებული) მაშ ეგრე...  
ჰო... მე კი მას შემდეგ, რაც ლიზ ინსტიტუ-  
ტიდან შინ დაბრუნდა, სულ მოწყენითა  
ვცხოვრობ. წინაღ კი და უკანასკნელ სამს  
წელს ხომ, როგორც მოგეხსენებათ, მუდამ  
დავდიოდი მის სანახავად და ვერთობოდი.  
გახსოვთ, რა მხიარულება, სიცილი. და კამა-  
თი გვქონდა, თქვენთან მეტადრე. იმ დროს  
მეც თქვენში ვახალგაზდდებოდი. გახსოვთ,  
თქვენი თავაზიანი დედობილი თითით რო  
გვემუქრებოდა? თქვენ ძალიან უყვარდით და,  
ვგონებ, ზაფხულობით თან მიჰყავდით ორა-  
ნიენბაუმს..

ნატაშა. ის ხომ გადაიცვალა.

იუორსკი. დიალ, ვიცი. დიდი უბედურებაა... თქვენ,  
თქვენ?.. თქვენ ეხლა ისე თავდაჭერილი  
ხართ, დარბაისელი, ისეთი მოლვრემილი სახე  
გაქვთ, რომ ცოტად ლა წააგავხართ წინანდელ

ბაბროვას — ცქრიალა, ცელქ, მხიარულ, კვირ  
შატსა, ენა-შახვილს... ოო, საშინელებაა!..

დარბაისლობა სულაც არ გიხდებათ. . ეგრე  
რამ შეგცვალათ?

ნატაშა. (ხმის კანკალით) არ ვიცი...

იუორსკი. (დაცქერდება) ოო, ცრემლიც მოგერიათ? აი,  
აი, აი! (ხელს დაუჭერს) ეგ არ ვარგა, არ  
ვარგა... რაო? არ მოგწონთ განა ესეთი ცხო-  
ვრება? დიდი განსხვავებაა ოცნებასა და სინა-  
მდვილეს შორის?.. მესმის, მესმის... მაგრამ  
ხომ შესაძლოა, ეგ გარემოება შეიცვალოს.  
თქვენ მეგობრები გყავთ, ძველი მეგობრები...  
მე ლიზს მოველაპარაკები. ჩვენ მოვახერხებთ  
რასმე. ლიზს თავის ამხანაგებში თქვენ ყვე-  
ლაზე მეტად უყვარდით, თქვენ ყველაზე  
ლამაზი და სანდომიანი ხართ. ძალიან გამე-  
ხარდა, თქვენ რომ დაგინახეთ. გახსოვთ. ის  
ზაფხული, რამდენიმე კვირა ჩვენსა რომ  
გაატარეთ სოფელში? როგორ ვსიამოვნდებით!  
ცხენებით რომ ვჯირითობდით. თქვენ ხომ  
ისეთი მხედარი ხართ, როგორც ნამდვილი  
ამაზონელი ჭალი. იმ სამს კვირას მე გატა-  
ცებული ვიყავ და ისე ცხარედ მიყვარდით,  
თოთქო ოცი წლის ჯაბუკია.

ნატაშა. (კამოცოცხლდება) ჰა, ჰა, ჰა! ერთხელ მე და  
ლიზმა ტყეში რომ გზა დავკარგეთ. მთელი  
დღე გვეძებდით თურმე გაცხარებული და  
ბოლოს, მზის ჩასვლისას, ძლიერ გვიპოვეთ  
ერთ უზარმაზარ ხის ქვეშ... როდესაც გი-

თხარით, რომ ის ლამე ხის ქვეშ უნდა გაგვე-  
ტარებინა, მწვანე ბალახზე, მგლებსა და  
დათვებს შორის, თქვენ თრთოლამ აგიტანათ.  
ჩვენ კი სრულიად არ გვეშინოდა და სულ  
ვხარხარობდით, როგორც ბავშვები.

**იუორსკი.** ჰაი, თქვე ცელქებო! მაშინ თქვენ დიდი ოლი-  
აქოთი მრახდინეთ. გრაფინას შვიდჯერ გული  
წაუვიდა. ყველა მხარეს ვავგზავნეთ მძებნე-  
ლნი... მთელი სოფელი ფეხზე დავაყენეთ  
და ბოლოს სულ იმედი გადაგვიწყდა, გვეგონა,  
მგლებმა დაფლითესო. ჰა, ჰა, ჰა!

**ნატაშა.** ჰა, ჰა, ჰა! რა საფიქრებელი იყო? მგლები  
როგორ შემოგვებედავდნენ!..

**იუორსკი.** ოლონდაც! ეხლა მეც დარწმუნებული ვარ...  
გახსოვთ კიდევ, ლიზმა შობა ღამეს საცეკვაო  
საღამო რომ გამართა და თქვენ მესამე კად-  
რილს დამპირდით, მერე-კი ისე გაერთეთ, რომ,  
გულმავიწყობით, ახალგაზდა პატს გაჰყევით.  
მაშინ ჩემმა ორმოცმა წელმა სრულის სულ-  
გრძელობით დამათმობინა თქვენი თავი პატის  
ცხრამეტ წლისათვის.

**ნატაშა.** ეგ რაღაც შემთხვევით მოხდა. მე ხომ მაშინვე  
ბოდიში მოვიხადე თქვენს წინაშე. ოჲ, რა  
მხიარულება იყო იმ საღამოს! სულ დაწვრი-  
ლებით მახსოვს ყოველივე — ვინ რას ჩაღიოდა,  
რას ამბობდა, ვის რა თვალით უყურებდა,  
თითქო გუშინდელი ამბავი იყოს...

**იუორსკი.** დიალ, სწორედ რომ საუცხოვო დრო იყო.

ნატაშა. (მწესარედ) ის დრო არაოდეს აღარ დამიბრუნდება...

იუორსკი. რა ბძანებაა? თქვენ მხოლოდ ცხრამეტის წლისა ხართ. თქვენ მრავალი სიამოვნება გელით მომავალში, მთელი ხანგრძლივი ცხოვრება გაქვთ გასავლელი, დიალ, მთელი ცხოვრება ჯერ წინ არის.

ნატაშა. (ამთითხრებს) მთელი, ხანგრძლივი ცხოვრება... (ჩაფიქრდება) ლიზ როგორ არის? იმას სულ დავავიწყდებოდი!

იუორსკი. არა, არა მგონია. ლიზ გულკეთილი ქალია. მაგრამ ერთი სისულელე-კი უნდა ჩაიდინოს.

ნატაშა. ლიზმა?

იუორსკი. დიალ, თხოვდება. გახსოვთ. ჩვენი ნათესავი მიშელი? სწორედ მოგახსენოთ, მე ჩვენ საგვარეულო საქმეებში არ ვერევი განცალკევებით ვცხოვრობ ჩემს სახლში, სერგის ქუჩაზე, და არ ვიცი, ჩემს თავს რა ვუყო. მაგრამ ამ ბოლოს დროს ერთი გასართობი გამიჩნდა და სრულიად გამიტაცა. თქვენ, ვიცი, სიცილადაც არ გეყოფათ. მე ერთ წიგნსა ვწერ, ფრიად საყურადღებო ეკონომიკურ საგნის შესახებ. დიალ... და უნდა მოგახსენოთ, კარგი რამ გამოვა, მერწმუნეთ. ამ შრომისთვის უცხოელების ნაწერებიდან საბუთები უნდა ამოვკრიბო და შევაგროვო. მე თვითონ არ მინდა ამაზე დრო დავკარგო და ამიტომ კარგ მთარგმნელს ვეძებ... აქ თქვენი ნათესავი სთარგმნის?

ნატაშა. ჩემი ძმა, სტუდენტი.

იუორსკი. სწორედ კარგი აზრი მოსვლია, რომ მთარგმნელობა უკისრნია... უამისოდ ხომ მე თქვენ ვერა გნახავდით... (წამოდგება) ძალიან მეზარება აქელგან წასვლა, თქვენი მოშორება, მაგრამ მეტი რა ღონეა. მაშ გახსოვდეთ მაღლ ნატალი, მე დაუყენებლივ, ხვალვე მოველაპარაკები ლიზს და მარად გამზადებული ვიქნები თქვენის სამსახურისთვის. შეგიძლიათ თქვენად მიგულოთ, მით უმეტეს რომ თავისუფალი დრო ჭარბადა მაქვს, იმდონი, რამდენიც დღეში საათია და წელიწადში — დღე (ამოიღებს თავის ვინათბის ქაღალდს) თქვენ ძმას დავუტოვებ საქმეს. ის თითონ მიხვდება, რაც საჭიროა. აი, ჩემი ადრესიც (აძლევს) გადასაცემად. დიდად, დიდად მიხარიან, რომ თქვენ კიდევ გნახეთ და უფრო მოხარული ვიქნები, თუ თქვენთვის სასიამოვნო რამეს მოვახერხებ.

ნატაშა. გმაღლობ, გრაფ.

იუორსკი. (ხელს ართმევს) ნახვამდის! იმედი მაქვს კიდევ გნახავთ და ძალიან მალეც (გადის).

## XV.

ნატაშა. გრაფი იყო... აქ... იმედი... არა, ეს სწორედ სიზმარია!.. რად მინდა ესეთი სიზმარი!.. (შემოდიან მარჯვნივ ლანსკარა, მარცხნივ ტატიანა გლასევნა და კლეოპატრა)

ტატიანა. ჰა, რაო? საქმე დასტოვა?

კლეოპატრა. რა ზღილობიანი ვინმეა! რა ცხენები და  
ეტლი უცდიდნენ!

ნატაშა. აი საქმე და ადრესიც... იპოლიტესთვის (აძლევს  
ტატიანა ვლასევნას).

ტატიანა. (კითხულობს) „გრაფ რამან ცლადიმიროვიჩ  
იუორსკი“... აა, ეს კარგი საქმე უნდა იყოს!  
გრაფ იუორსკები მდიდრები არიან...

ლანსკაია. ნატაშა იცნობს თურმე.

ტატიანა. რას ამბობ? საიდგან?

ნატაშა. მაგის დაც ჩემი ამხანაგი იყო ინსტიტუტში:  
ერთს ზაფხულს მაგათაც ვიყავ.

ტატიანა. აი თურმე საიდგან. მაშ კარგია, რომ შენ  
დაუხვდი. ხომ ზღილობიანად მიიღე?

ნატაშა. (თათხს თვალს გდასევდებს) დიალ... კარგა... რა  
თქმა უნდა.

ტატიანა. აი, ეგრე უნდა. ვინ იცის, იქნება ოდესმე  
გამოგვადგეს რაშიმე. აი, ათი წელიწადი  
ვცდილობ და ვწვალობ, ეგებ პენსია მოვამა-  
ტებინო. მაგრამ ვერას გავხდი. მაგისთანა კა-  
ცმა კი ერთი სიტყვა რომ დახარჯოს, მაშინ-  
ვე ყველაფერი გაკეთდება. ამისთანა ნაცნო-  
ბი როდი უნდა დაკარგო. ამას ჩემის ხან-  
გრძლივის გამოცდილებით ვამბობ, ნატაშა:  
შენ ეს თითზე დაიხვიდე.

(შემთდიან კარასთვი, იპოლიტე და სტიორა).

## XVI.

ტატიანა. აი, ჯეელებიც მოვიდნენ. შენთან, იპოლიტ,  
განცხადებით ერთი კაცი მოვიდა და საქმეც

დასტოვა, აღრესიც — გრაფი იუორსკი.

**იპოლიტ.** გრაფიო? ეჭე, დიდად პატივი უცია ჩემთვის. გრაფებთან საქმის დაჭერა სასახელოა. მეტად-რე მაშინ, თუ რიგიანი ფასიც გამოიმეტა (ქადალდებს სინჯავს).

**სტიპა.** (ნატაშას) გულმა აღარ მომითმინა და ისევ მოვედი... მაპატიეთ... ნატალია პეტროვნა!

**კარასოვი.** ეჭ, ტატიანა ვლასევნა, ჩაი მაინც გვასვით. გარედ ძალიან ცივა, თოვლიც კი დასდო.

**ტატიანა.** ჩაი? სერგეი სერგეიჩ! (ცალკე გაიუვანს). ხვალ სადგომის ქირა უნდა მივცე... თქვენ კი, ეს ერთი კვირაა, ფულს მიგვიანებთ. მე საწყალი დედაკაცი ვარ, სერგეი სერგეიჩ, წვა-დაგვით ვცხოვრობ, ნუ გეწყინებათ!

**კარასოვი.** ჰო მართლა... მაპატიეთ, ჩემო - კარგო. ეს არის, ეხლა მივიღე გაკვეთილის ჯილდო, აი, ინებეთ (ფულს აძლევს). თქვენ კი სამაგიეროდ ჩაი დაგვალევინეთ. საშინელი სიცივეა.

**ტატიანა.** (მხიარულად) ჩაი? რატომ, ბატონი. ბძანდებით. კლეოპატრა, სამოვარი დასდგი!

**კლეოპატრა.** ხელსახლცებს რალა. ვუყო, ტატიანა ვლა- სევნა? ხვალისთვის არ დავპირდით?

**ტატიანა.** არა უშავს-რა. ამაღამ აღრე ნუ დაიძინებ, რა დიდი საქმეა. წადი, წადი! ანნა სხვაგან გავგზავნე.

**კლეოპატრა.** მე კი წაკალ, არ მეზარება (მარცხნივ გა- დის).

**იპოლიტ.** ეჭ, ეჭ, ეჭ! ალექსანდრე მაკედონელმა სთქვა: მე რომ ალექსანდრე არ ვიყო, დოოგენობას

ვისურვებდიო. მე კი ვიტყვი: იპოლიტე როშ  
არ ვიყო, მაინც არაოდეს კლეოპატრობას არ  
ვინდომებდი:

(შემთდის სედობინ).

## XVII.

**სედობინ.** მე წვიმისა მეშინოდა, ის კი არა თუ, თოვ-  
ლიც მოვიდა... ერთ წამს შემოვიარე, ტატი-  
ანა ვლასევნა, გასათბობად.

**ტატიანა.** მობრძანდით დაბძანდით, ნარკიზ გავრილო-  
ვიჩ, ეხლავ ჩაის მოგართმევთ და გათბებით  
(მაგიდასთან დასყამს და ჩუმად ეტუჭის). რაო,  
ელაპარაკეთ?

**სედობინ.** (ჩუმად) ცუდად არის საქმე. მაგას სულ სხვა-  
აზრები, უტრიალებს. მოდი, ერთად მოველა-  
პარაკოთ.

**ტატიანა.** (დაბლა) მე თუ პირი მოვხსენ, თავზე ქონს არ-  
მოვუსვამ.

**სედობინ.** არც საჭიროა მტკიცედ იყავით, მტკიცედ!  
(ხმამაღლა) აი, ტატიანა ვლასევნა, მე თქვენი-  
თხოვნა შევასრულე, ნატაშას მოველაპარაკუ-  
სკოლის შესახებ.

**ნატაშა.** (შეკრთება).

**სტიოპა.** ოჰ, კიდევ მოჰყვნენ!

**ტატიანა.** გმადლობთ, ნარკიზ გავრილოვიჩ. იმედი მაქვს-  
დედის სიბრალულმა სძლია და დათანხმდა თავის შრო-  
მით დამეხმაროს. იმედი მაქვს....

სედობინ. ჰმ, რა მოგახსენოთ... არც თუ დიდი იმედი  
იქმნიოთ.

ტატიანა. როგორ? ნუთუ უარზეა?

სედობინ. აი, თქვენ თვითონ ჰკითხეთ. და ეგეც გიპა-  
სუხებთ.

ნატაშა. მე სკოლის დაარსება არა მსურს.

ტატიანა. კარგია! არა გსურს! მაშ რა გინდა, რა გსურს,  
გამაგებინე მაინც, ღვთის გულისათვის? დიდი-  
ხანია, ვცდილობ გავიგო, რა გსურს?

ნატაშა. არაფერი.

ტატიანა. როგორ თუ არაფერი? იმდონ ხანს ისწავლე,  
რავდენი წელიწადი გიცდიდა დედა შენი, აცა,  
ახლა გაათავებს ჩემი შვილი ინსტიტუტს და  
დედას გაახარებს-მეთქი. ეხლა კი არაფერი?

ნატაშა. რად გქონდა მაგის იმედი.

ტატიანა. როგორ თუ რად? გესმით, კეთილნო, მე მკით-  
ხავს, რადაო? მე მგონია, დედას ყოველთვის  
იმედი უნდა ჰქონდეს ნასწავლი შვილისა.

სედობინ. რასაკვირველია, მეც ეგრე მგონია და ეგრეც  
უნდა იყოს.

ნატაშა. (მტკიცებ და შეაცრად) არა, ეგრე სულაც არ  
უნდა იყოს.

სედობინ. აა, საყურადღებოა, დიდად საყურადღებოა.

ნატაშა. მე ათის წლისა გამგზავნეთ ინსტიტუტში. მა-  
შინ პატარა, სუსტი და სულელი ვიყავ... იქ  
დამხვდა გრძელი დერეფნები, უშველებელი  
ოთახები, თეთრი კედლები და უცხო ადა-  
მიანები. ლიმილი და გულშემატკივრობა არა-

ვის ემჩნეოდა. ჩემთვის არავისა სცხელოდა. არავინ მიყურებდა, არავინ მამჩნევდა. მე სულ დავიბნიე. შიშმა ამიტანა... ყველასი მეშინოდა... ვკრთოდი და მაჟრიალებდა, როცა ჩემს სახელს გავიგონებდი... მე უბედური ვიყავ, როგორც უბედურია პატარა უღონო არსება, საბუღრიდგან გაღმოგდებული. რად მომიშორეთ, რად?.. მაშინ თქვენ ყველანი მიყვარდით. მე თქვენკენ მეწეოდა გული, ვტიროდი დღე და ღამე. არავინ იფიქრეთ, ბედნიერი ვარ თუ უბედური, ბედნიერება მომელის თუ უბედურება?.. თქვენ ამაყობდით, რომ თქვენი ქალი მდიდრებისა და წარჩინებულ კაცების ქალებთან სწავლობს... რვა წელი გავიდა და თავისი კვალი დასტოვა, თავისი ნიშანი დამდო. იმ ცხლვრებას შევეთვისე, ის ხალხი. შემიყვარდა, ჩემი გული იმათდაიპყრეს... და, აი, ეხლა კვალად მომგლიჯეთ და გაღმომიახეთ... მაგრამ ამათდ. მე ის აღარა ვარ. მე თქვენში უცხო ვარ და თქვენც ჩემთვის უცხონი ხართ. ჩვენ ერთმანეთს არაფრით არ ვემსგავსებით. თქვენი ცხლვრება ჩემთვის აუტანელია. თქვენი გემოვნება, ჩვეულება, ხასიათი, თქვენი სიტყვები მე გულს მიმღვრევს... მე აქ ტყვე ვარ, და მონადაც გინდათ მაქტიოთ. (შეჭევირებს). არ მინდა მონობა, არ მინდა, არა, მე უღელს ვერ და-მაღვამთ...

**ლანსკაია.** (მივა და წუნარად) დამშვიდღი, ნატაშა, რა გე-  
მართება, რას ამბობ? გონება მოიკრიბე!

**ნატაშა.** ჩამომეცალეთ, გთხოვ... თავი დამანებეთ....

**ტატიანა.** აა, თუ მაგეებს უბედავ შენს დედას, მაშ ვე-  
რა გამიგიარა, რისთვის-ლა მობრძანდი ჩემს  
სახლში? თუ ჩვენ შენთვის უცხონი ვართ და  
სხვა თავისიანები გყავს...

**ნატაშა.** არავინაც არა მყავს, არავინ!

**ტატიანა.** გეტყობა, გყავს, თუ ეგრე ამაყად იჭერ თავს  
და ამპარტავნულად ეპყრობი შენს ნათესავებს,  
თუ ისინი გძულს... (ტირილით) დედა იტაჯება,  
მთელი თავისი სიცოცხლე ვაი-ვაგლახში  
გაუტარებია, აქეთ-იქით თავს ახლიდა და, აი,  
ჯილდო!

**სედობინ.** დიალ, ეგ კარგი არ არის, ნატალია პეტროვ-  
ნა. ეგ მართლაც ამპარტავნობაა, ამპარტა-  
ვნობა. ეგრე ამაყად არ უნდა ელაპარაკებოდე  
შენს დედას. ერთმანეთს, უნდა ეხმარებოდეთ  
შრომით, ყველაფერში.

**კარასოვ.** მეც შრომის ჭომხრე ვარ შრომა აღამიანს  
არ დაამცირებს, და ზატიოსანი შრომა პატივ-  
საცემია.

**ლანსკაია.** (ჩუმად კარასოვი) შენ მაინც ნუ გაუჭირებ სა-  
ქმეს, ეგ ხომ უსინდისობაა!

**კარასოვ.** არა, მე იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ, მე  
მგონია, ნატალია პეტროვნა, ჭამა-სმის უფ-  
ლება მხოლოდ იმასა აქვს, ვინცა შრომობს.

**სპოლიტ.** (აღუდვებული) ქმარა, ბატონებო! მომისმინეთ,  
რა მოგახსენოთ! რასაც ეხლა თქვენ სჩადი-

ხართ, საკადრისი არ არის. რას მიესიეთ ეგრე, რას დაატყდით ყველა მხრიდან? ძალად გინდათ ოქვენი აზრები ჩაუნერგოთ? ყველას ნება აქვს თავის ჭიუა-გონებით იცხოვროს. ეგ ძალადატანება მე გულს მიმღვრევს.

**სფილპა.** გმადლობ, იპოლიტ! მეც სწორედ ეგ მინდოდა მეთქვა, მაგრამ ჩემი აზრი ვერ გამომისატნია.

**ტატიანა.** იქნება, თქვენც ეგრე ძალადატანებით გეპყრობით. რაკი ეგრეა, უდედოდ იცხოვრეთ; ისე იცხოვრეთ, როგორც გეგებოთ. აი, მადლობა! გამოზდი ბლარტებს და, ფრთას რომ მოიქნევენ, დახმარების მაგიერ, ნისკარტით დაგუორტნიან. არა, ეხლა-კი კმარა. კმარა ჩემი ზრუნვა, ლამის-თევა, გაღუყლაპავი ლუკმა, კმარა!..

**ნატაშა.** (ლაპარაკის დონის დაფიქრებული იდგა და უაუმანობდა). დიალ, მართალია... სწორედ, სწორედ ეგრე უნდა იყოს. ვინც არა შრომობს, არც უნდა სჭამდეს, არც უნდა სვამდეს. (მწარედომილით) მაშ მე... წავალ, წასვლის მეტი ალა-რა დამრჩენია-რა.

**ტატიანა.** აი, ეს-ლა მაკლდა!.. მშობლის ჭერს ლაფი გადასხა! ფრიად კარგია, უკეთესი არ შეიძლება! სანაკებოდ გამოუზღიხართ ინსტიტუტში, კარგი აზრები ჩაუნერგიათ!

**სედობინ.** ეე, კარგი, და!.. ჰე, ჰე, ჰე! რის აზრი, რა აზრი! ეგ ისე სთქვა, ცალიერი სიტყვაა.

**ნატაშა.** არა, სიტყვა არ გახლავთ. მე წავალ, მართლა  
წავალ!

**ტატიანა.** სად წახუალ?

**ნატაშა.** არ ვიცი... საღმე... სუფთა ჰაერზე, რომ სუ-  
ლი აღარ შემეხუთოს... აქ ყელში თოკი მაქვს  
წაჭერილი.

**ლანსკაია.** კარგი, ნატაშა, კარგი...

**ნატაშა.** აქ ყველა შრომობს... მე-კი .. მე ვერაფერში  
გამოგადგებით. დიალ, დიალ, ვიცი: დანაშაუ-  
ლი მიმიძლვის თქვენს წინაშე... რომ იცო-  
დეთ, რა საშინელებაა, როცა დანაშაულობასა  
გრძნობ! მე დამნაშავედ ყოფნა აღარ მინდა...  
მე არ ვიცი, სად მივდივარ... მშვიდობით.  
(კარსკენ წაჭა).

**სტიოპა.** ნატალია პეტროვნა! ნება მომეცით გამო-  
გყვეთ...

**ლანსკაია.** ნატაშა, დაფიქრდი, რას სჩადიხარ? მე არ გა-  
გიშვებ.

**ნატაშა.** არა, ლვის გულისათვის... არ მინდა, არა,  
არავინ მინდა (თავისთავად). საოცნებო ზღა-  
პარი!.. დასაწყისი სწორედ საუცხოვო (სა-  
ჩქაროდ გავა).

**ტატიანა.** (წამოდგება) გიეია... ვინ იცის, მართლა კი  
არ წავიდეს!

**სედობინ.** ნუ სწუხართ! კიბეზე შეჩერდება, ნახავს, რომ  
ცივა, და შემობრუნდება. ეგ ოინები ჩვენც  
ვიცით. მაგისთანა ახალგაზდები თავს გამოი-  
დებენ, გავარდებიან, თითქო ქარიშხალმა. გა-

იტაცაო, და ისევ შემოვარდებიან, ქარის შე-  
მონაბერსავით.

**სტილის.** (ცხარედ) არა, აღარ დაბრუნდება... და ეს...  
ეს კარგი არ არის თქვენის მხრივ, მამა! ეგე-  
თი ლაპარაკი, ეგ... ეგ... კარგი არ არის...  
გაცივდება წატალია პეტროვნა. არა, მე და-  
ვედევნები (წატაშას ჰალტოსა და თავსახვევს ას  
ტაცებს და გარბის).

**სედობინ.** რეგვენი, რეგვენი!.. აი, ამ წამს ორივენო  
დაბრუნდებიან. (ზანგრძლივი სიჩუმეა)... და თქვე-  
ნთან; ტატიანა ვლასევნა, ბოდიშსაც მოიხ-  
დიან, შენდობასა გთხოვენ. (კიდევ სიჩუმეა)  
ეჭ, იცით, მე რომ ახალგაზდა ვიყავ... .

**ლანსკაია.** კარგი, ნარკიზ გავრილოვიჩ, რა დროს თქვე-  
ნი ახალგაზდობაა! თქვენი მოგონებანი უკუ-  
აგდეთ, უადგილოა.

**სედობინ.** ვმ... აქამდე სად არიან? არა სჩანს, საკვირ-  
ველია!

**ლანსკაია.** (შფოთვით) არაფერი არ ითქმის გადაწყვეტი-  
ლი. ის საშინლად იყო აღელვებული (სიჩუმე).

**სედობინ.** დიალ, მაინც და მაინც საკვირველია, რომ  
არ დაბრუნდნენ... .

**ტატიანა.** ღმერთო! (წამოვარდება) აი, არ, ხომ ნახეთ!  
(ტირის. სედობინს) და ეს სულ თქვენი ბრა-  
ლია, ნარკიზ გავრილოვიჩ, თქვენ გამაგული-  
სეთ და წამაქეზეთ: მყაცრად, ცხარედაო. ეს  
სულ თქვენ... შველით ვერა მიშველეთ-რა-  
და ქალს-კი გული გაუტეხეთ: ათ მყავდა ქა-  
ლი და ეხლა... ღმერთო, ღმერთო!...

სედობინ. (წამოდგება) მაშ უკაცრავად. მე სრულიად მეტი ვარ ამ საქმეში. აქ რა მინდა, რისთვის ვარ! (ქუდს იღებს).

იპოლიტ. აბა, კიბე დავათვალიეროთ!

კარასოვ. ისე ბნელა, რომ კაცი კისერს მოიტეხს. გარედ ბუქ-ნამქერია.

იპოლიტ. მოდით, მოანათეთ!.. (საწერ შაგიდილან სანს თელს იღებს. კარასოვს) შენ სანდელი წამოიღე.

კარასოვ. წავიდეთ! (მიღიან).

(ტატიანა ვლასევნა ტირის).

(ლანსეკია და კართან გაჩერდება და უური გარედ უჭირავს).

(ფართდა.).

## მოქმედება მეორე.

გრაფი იქორსკის კაბინეტი. მარცხივ სასაღილო ოთახის კარია. მაყურებლების პირდაპირაც კარია. ამ, კარსა და მარცხენა კუთხეს შუა დივანია. ფეხქვეშ ხალია, კედელზე ვეფხის ტყავი. მარცხენა მხარეს საწერი მაგიდაა, კედელს დაშორებული. კედელთან წიგნების შკაფებია, რავჭენიმე პატარა მაგიდა, სოფა, კრესლოები. მარჯვნივ ბუხარია, ცეცხლი ანთია. კედელზე სურათებია. მაგიდაზე კორექტურის ფურცლებია გაშლილი.

### I.

(სცენა რაჭიერია. გარედგან ზმაურობა ისმის).

ბარონ ფლიგელ. (სცენას გარედ) ჰა, ჰა, ჰა! ექიმს გასართობი ამბებიცა სკოდნია.

(შემოვლენ ფლიგელ, სვიბულსკი და პოლინცევი).

პოლინცევი. ეგ ამბები საგანგებოდა მაქვს შესწავლილი.

ფლიგელ. ჰო? მე-კი მეგონა, საგანგებოდ მხოლოდ მე- დიცინა გაქვთ შესწავლილი.

სვიბულსკი. მაშ მეღიცინა რაღაა, თუ არ გასართობ ამბების კრებული?

(მიდის ბუხართან და გრესლის მიიღეამს).

ფლიგელ. ექიმო, თქვენ არ ეწინაღმდეგებით?

პოლინცევ. (სოფაზე გადაწევია) არა. საღილს შემდეგ კამათობა მავნებელია. ამასთანავე არყაღი მი-

ხაილოვიჩთან კამათობა მედიცინის შესახებ  
ჩემი ხელოვნების დამცირება იქნებოდა.

**სვიბულსკი.** (გრესლოში დაჯდება ბუხართან და შეში-  
ჟინებს) ღიალ, მე ვამტკიცებ, რომ მედიცინა  
კრებულია გასართობ ამბებისა, რომლებშიაც  
უპირატესი ადგილი შემთხვევას უკავია: ეს  
შესაძლოა მომხდარიყო, ან არ მომხდარიყო.  
მედიცინაც სწორედ ესეთია: ავადმყოფი ან  
მორჩება ან მოკვდება.

**პოლინცევ.** მართალია და მაგ მსჯელობას რომ დავუ-  
მყაროთ, მაშინ მთლად ჩენი ცხოვრებაც გა-  
სართობ ამბების კრებულად უნდა დავსახოთ.

**სვიბულსკი.** მეტადრე ჩემი ცხოვრება, დალახვროს ეშმაკ-  
მა! ოცდაათის წლისა ვიყავ, რვა-ას  
ათასის შეძლება რომ ჩავიბარე. ორმოცდა სა-  
მის წლისას კი ისე გამიჭირდა საქმე, რომ ჩემს  
მოსამსახურეს ვესესხებოდი.. განა ეს გასარ-  
თობი ამბავი არ არის? ექიმო, რატომ გუშინ-  
დელ დოლს არ დაესწარით? თქვენ მიმოწმებ-  
დით, რომ...

**პოლინცევ.** რომ სანაძლეო წააგეთ.

**სვიბულსკი.** დალახვროს ეშმაკმა! უკანასკნელი თხუთმე-  
ტი თუმანი წავაგე.

**პოლინცევ.** განა სისულელე არ არის, უკანასკნელი  
ფული გადააგდო ტყუილ-უბრალოდ იმ დროს,  
როცა მოსამსახურებს ესესხები?

**სვიბულსკი.** იმედი, ბატონო, სულ იმედის ბრალია.

**ფლიგელ.** იმედი რვა-ას ათას მანათის დაბრუნებისა.

**სვიბულსკი.** აჲ, სულაც არა... ის ხომ დოლში არ

წამიგია. ის სულ სხვა თამაში იყო... არა, არა, მდინარე პირს ვერ იბრუნებს... (სიჩემის შემდეგ) ოდესლაც ამ სასახლეში კარგ სიგარება სა სთავაზობდნენ. (უფარის) რამან!

**იუორსკი.** (გარედან ეხლავ, ბატონებო)

## II.

(იუორსკი შემოდის და თან ლაქიას უბრძანებს)

**იუორსკი.** ყავას კაბინეტში მოგვარომევა

**სვიბულსკი.** გამიგონე, რამან ვლადიმიროვიჩ! განა კეთილ-  
შობილური ჩვეულება გადააგდე?...

**იუორსკი.** სიგარა, რასაკვირველია. ბატონებო, ინებეთ  
(კოლოფის აიღებს და ფლიგელს შესთავაზებს. ის  
აიღებს) ექიმო, სიგარა!

**პოლინცევა.** არა, გმაღლობ, მე პაპიროსსა ვარ ჩვეული  
(ამოიღებს საჭაპიროსეს და მოუკიდებს) იაფ-ფასიან  
სიგარების მოწევა მხოლოდ გერმანელებს  
შეუძლიანთ; კარგი-კი მეტად ძვირია. რა-  
ჭკუა იქნება, მთელი ჩემი შემოსავალი ავა-  
ბოლო.

**სვიბულსკი** (რომელსაც იუორსკი სიგარას შესთავაზებს). მაშ  
მე მოვწევ თქვენს მაგივრადაც. (თრს იღებს,  
ერთს ჯიბეში ჩაიღებს, მეორეს მოუკიდებს) გეტიუ-  
ბა, რამან ვლადიმიროვიჩ, განიკურნე?

**ფლიგელ.** განა ავათ იყავით?

**იუორსკი.** ხუმრობს.

**სვიბულსკი.** რა ხუმრობაა? მაგას ცხოვრება მოსძულდა,  
და ექვს-ლულიანი რამე შეუყვარდა. კარგი  
ხუმრობაა, დალაზვროს ეშმაკმა... სულ რევო-

ლვერი ატრიალო, როცა ცხოვრება ესა  
ტკბილია, მეტადრე სადილს შემდეგ, ბუხრის-  
წინ და სიგარით პირში.

**პოლინცევ.** დიალ, მაგისთანა სურვილი მაშინ დაგჩემ-  
დება, როდესაც რვა-ათასს გააფრენ.

**სვიბულსკი.** მე სულ კეთილ-სინდისიერად ვფლინგამდი.  
მაშ განიკურნე, რამან?

**იუორსკი.** დიალ, ჩვენმა ექიმმა მომარჩინა.

**სვიბულსკი.** ნუთუ? მაშ თქვენ ხანდისხან არჩენთ კიდეც?

**პოლინცევ.** რეთ უიმედოს არა, როგორც თქვენა ბძან-  
დებით.

**სვიბულსკი.** რა წამალია მაგისთანა!

**პოლინცევ.** სულ უბრალო რამ—შრომა.

**სვიბულსკი.** (წამთხტება) დალახვროს ეშმაკმა! არ ვისურ-  
ვებდი, სათქვენოდ გამჭირვებოდეს საქმე.  
შრომა!.. ერთი ხსენებაც კი წელს მიგრეხს.

**პოლინცევ.** აკი მაგიტომ მოგახსენეთ, თქვენ უიმედო  
ავადყოფი ბრძანდებით-მეთქი.

**იუორსკი.** თქვენ არა გჯერათ, რომ მართლა აშ ექიმშა  
მომარჩინა. ამან დამარწმუნა, რომ ჩემი ავად-  
მყოფობა უსაქმურობის შედეგია და, ძალის-  
ძალად ერთის წიგნის შედგენა მაკისრებინა.  
მეც ხელი მივყავ, გავერთე და ეხლა ვბეჭდავ  
კიდეც, კორექტურას მევე ვკითხულობ და,  
ეს ორი კვირაა, ჩემი თავი საზოგადოების  
სასარგებლო წევრად მიმაჩნია.

**სვიბულსკი.** საზოგადოების სასარგებლო წევრი! აი,  
ახალი გრძნობა, რომელიც მე არ გამომიცდია.

**პოლინცევ.** თქვენ სამაგისოდ არა ხართ მოწყობილი.

**სვიბულეკი.** დიალ, დალახვრა ეშმაკმა, მე ეხლა არა-  
რაისთვის არა ვარ მოწყობილი. ჰო, მართლა!  
(იუთსკის ხელს მოჭედებს). Ecoute, ami... se  
suis coulé a fond aujourd' hui aux courses;  
veux-tu me prêter deux cents roubles?

**პოლინცევ.** არკადი მიხაილოვიჩმა ფრანგულად რომ  
დაიწყო ლაპარაკი, ეტყობა, ფულსა სთხოვს.

**სვიბულეკი.** თქვენ მართალსა ბძანებთ. და იცით, ჩვენი  
ენა ისე მოუხეშავია, რომ ჩვენს გრძნობას  
ლამაზად და ზედმიწევნით ვერა ხატავს.

**პოლინცევ.** როცა ფულსა სესხულობ?

**სვიბულეკი.** დიალ, დიალ. წარმოიდგინეთ, სწორედ  
ეგრეა: როცა ფულსა სესხულობ. აბა რას  
ეგვანება: ოცი თუმანი მომეცი. თითქმ ავა  
ზაკი დაგვევედრია შარა გზაზე, ყელში წაუჭე-  
რია დაჩაგციებია—მოიტა ფულიო! ფრანცული  
veux-tu me prêter deux cents roubles — სულ  
სხვაა, სულ სხვა.

**პოლინცევ.** იმისათვის, ვინც ფულს იძლევა, სულ  
ერთი უნდა იყოს.

**იუორსკი.** ბატონებო, ახლა სხვა რამე ბძანეთ. ფულზე  
ლაპარაკი საშინლად მეჯავრება.

**სვიბულეკი.** დიალ, როგორც მაძლარს არ იამება მოხრა-  
კულის სუნი.

**იუორსკი.** კარგი, გაათავე... ეგ რა სალაპარაკოა... ფული  
გინდა, ინებე! და სხვა არაფერი. თქვენ არ იცით,  
ბატონებო, რარიგ წამახალისა ჩემმა შრომამ.

**ფლიგელ.** დიდი წიგნი გამოვა?

**იუორსკი.** დიალ, მოზღიული, ექვს-ას გვერდამდე.

**სვიბულები.** ჰა, ჰა, ჰა! რა ხუმარა ხარ!. განა ექვს-ას გვერდს გაუძლებ? ათას თუმანზე დავნაძლევ- დეთ, რომ მეასე გვერდზე შეჩერდები... მოდის?

**პოლინცევ.** ჯერ უნდა ვიკითხოთ, რომელ ჩვენგანს დაესესხები მაგ ფულს?

**სვიბულები.** სასესხებელი არ გამიხდება, ნამდვილად მო- ვიგებ. მე მაგის ზნე და აგებულება შესწავლილ- მაქვს.

**იუორსკი.** თანახმა ვარ, ბატონებთ, თქვენ მოწმენი იყავით, ძალიან კი გამეხარდება, გაჭირებულს რომ გნახავ. მე ჩემს შრომას უთუოდ დავა- მთავრებ.

**სვიბულები.** სწორედ ას-ორმოც-და-ათ წელს შემდეგ.

**იუორსკი.** აი, ნახავთ.

(შემოდის იფანე, უავა შემთაქვს და ლიკითორები. უვეჯას მიართმევს, ბოლოს იუორსკიც აიღებს).

**ფლიგელ.** ნუ თუ ყავასაც გასმევენ? წინად აკრძალუ- ლი გქონდათ.

**პოლინცევ.** რაც გრაფი შრომას შეუდგა, მას შემდეგ უველაფერს მიირთმევს და უველაფერი რგებს.

**სვიბულები.** გეფიცებით, ერთ მშვენიერ დღეს იმასაც გვაცნობებენ, რომ შენ, ექიმის რჩევით, ცოლს ირთავ.

**იუორსკი.** უკაცრავად, მაგას კი ვერავინ მოესწრობა. ჩემს უძვირფასეს თავისუფლებას ექიმსაც კი ვერ დავუთმობ.

**სვიბულები.** ერთი ეს მიბრძანეთ, ექიმო, მაგისთანა რჩე- ვაშიაც ფულს გაძლევენ? აბა, ეს გასართობო ამბავი არ არის? ჰა, ჰა! ვერ წარმომიდგეა.

ნია, მე რომ ავად ვიყო, მოვიდე წამლისათვის  
და თქვენ, წამლის მაგიერ, წიგნი ან სხვა რამ  
მაგისთანა გამომიწეროთ, ღმერთმანი, სასამართ-  
ლოში გიჩივლებდით...

**პოლინცევ.** არა, თქვენთვის სულ სხვა რეცეპტს მოვი-  
გონებდი.

**სვიბულსკი.** მაგალითად?

**პოლინცევ.** თქვენ რომ წინად მოსულიყავით და გეთ-  
ქვათ, თავქარიანობისაგან გამკურნეთო, — ეგ  
მაშინ, როცა რვა-ასი ათასი ჯერ თქვენ ხელთ  
იყო, — მე ორმოც-და-ათ წკეპლას გამოგი-  
წერდით.

**სვიბულსკი.** მაშ გრაფს რავდენი დასჭირდებოდა?

**პოლინცევ.** გრაფისთვის ასიც ცოტა იქნებოდა, რადგან  
მაგას ორჯერ მეტი შეძლება ჰქონია.

**ფლიგელ.** თქვენ მეტად საგრძნობელი წამლები გცო-  
ლნიათ. თქვენ სხვა ექიმებს სრულიად არა  
გევხართ.

**პოლინცევ.** განა ყოველთვის ესეთი ვარ. მე მხოლოდ  
აქ, გრაფთან, ვიმცირებ თავს და უბრალო  
მომაკვდავად გეჩვენებით. აბა, თქვენ მაშინ  
მნახეთ, როცა სხვის დარბაზში შევდივარ, სა-  
დაც დიასახლისი უმიზებო დარდით იტანჯება  
ან მამასახლისი ღვიძლს იტკიებს. მაშინ მედი-  
დური, მტკიცე, სწორედ ოლიმპიური შეხე-  
დულება მაქვს. ყველგან შესაფერად უნდა  
იქცეოდეს კაცი, მოწყალეო ბატონები.  
(საჩქაროდ შემოდიან ეჭიზავეტა გლადიშიროვნა და  
შპრუებ. უგელანი წამოდგებიან).

### III

**ელიზავეტა.** ჩვენ ერთ წამს გეწვიეთ.

**იუორსკი.** ლიზ?.. როგორ!.. შენ მარტო გამოგიშვეს?

**ელიზავეტა.** ნათესავთან — რასაკვირველია (ჟველას თავს უბრავს). გამარჯობა, ბატონებო? ჩვენ გვეჩარება? (სბრუები ჟველას ხელს ართმევს).

**იუორსკი.** მე კი არ მეგონა, თუ *maman* შენს გამოცილებას ამ თავქარიანს მიანდობდა.

**სბრუევა.** ჩვენ თეატრში მივდივართ, გრაფინიაც ჩქინება.

**სვიბულსკი.** შეცდომით, კაფე-შანტანში კი არ ამოჰყოთ თავი.

**ელიზავეტა.** ჰა, ჰა! რა უშავს მერე, საინტერესოა! იქ მე არაოდეს არა ვყოფილვარ.

**იუორსკი.** განა ყველა ადგილი საინტერესოა, სადაც არა ყოფილხარ, ჩემო მეგობარო.

**სვიბულსკი.** დაუმატე: და სადაც მიშელი ყოფილა.

**სბრუევა.** თქვენ გავიწყდებათ, ბატონებო, რომ მე სრულიად შევცვალე ჩემი ცხოვრება. მე სულ განვიკურნე. წარსულში კი, დასამალი რა მაქვს, ყველას თავისი წილი სისულელე გამოუცდია.

**პოლინცევა.** ზოგს ეგ წილი ღმერთმა ულეველად მიანიჭა.

**სბრუევა.** მე არა, ექიმო, იმედი მაქვს.

**სვიბულსკი.** იმედი ხომ ყველას არ უმართლდება, ჩემო საყვარელო მიშელ.

**ელიზავეტა.** ჩვენ გვინდოდა, თან წაგვეყვანე, რამან, მაგრამ სტუმრები გყავს.

იუორსკი. რად გინდივართ?

ელიზავეტა. როგორ? განა დაგავიწყდა? გუშინ ჩვენსა-  
რომ აღტაცებით იხსენიებდი ვაგნერს...  
დღეს იმის „ლოერინგსა“ თამაშობენ. ამიტომ  
maman შენთან გამომგზავნა, შენის სიამოვნე-  
ბისათვის, რასაკვირველია.

სვიბულსკი. (ჩემად პოლინცევს). maman ფულის თხოვნას:  
აპირობს..

ფლიგელ. თქვენ მუსიკა გიყვართ, გრაფ? ეს ახალი ამ-  
ბავია.

იუორსკი. არა, მეგობარო. მე საშინლად მომწონს მუ-  
სიკა, მხოლოდ იქ, სადაც მე არა ვარ. ამას-  
თანვე დღეს კარგა ხანს ვიარე და დავილალე.  
ეხლა. შინ ყოფნა მირჩევნია.

ელიზავეტა. ნუთუ შინ ჯდომა არ მოგწყინდა?

იუორსკი. ეჭ, ჩემო მეგობარო, შინ ჯდომაც მომწყინ-  
და და გარედ სიარულიც. შინ ყოფნა იმით  
მაინც სჯობია, რომ თავისუფლადა ხარ. მიჩ-  
ვენე, აბა, ისეთი ადგილი, რომ მოსაწყენი არ  
იყოს, და სიცოცხლის ნახევარს მივცემ.

სბრუევ. მაშ წავიდეთ, ლიზა.

ელიზავეტა. მეტი რა ღონეა. Adieu, ჩამან!

იუორსკი. Adieu (აგონდება) მოიცა, მოიცა. კინაღამ და-  
მავიწყდა! დღეს ერთი საინტერესო შემთხვევა  
მქონდა, რომელიც შენც შეგეხება.

სბრუევ. შემთხვევა, რომელიც ლიზს შეეხება? მე აღ-  
ტაცებული ვარ!

იუორსკი. არა უშავს-რა, -- გრაფინია გაპატიებთ...  
წარმოიდგინე, რა ვნახე. მთარგმნელი მინდო-

და, განცხადებით ვეძებდი და ხუთ-ექვს ადგილს შევიარე. მომეტებული ნაწილი გიმნაზიაში მოსწავლე ქალები იყვნენ, რომლებიც ლექსიკონის დახმარებით თანაცვიანი საღამოშ მოატანა. ერთი განცხადება-და დამრჩა. მართალია, მომბეზრდა სიცრული, მაგრამ იქაც შევიარე. საშინელება იყო. საღლაც ამაღლების ქუჩაზე, მესამე ეზო, მეხუთე სართული, ჭუჭყიანი კიბე...

**სბრუევ.** რა სისაძაგლეს გვიამბობ!

**იუორსკი.** საღგომში შევედი... იქ უარესია. იმისთანა საძაგელი ოთახი ჩემს დღეში არ მინახავს. რაღაც ჩითის ფარდები, შმორისა თუ სხვა რაღაც სუნი, სიბნელე... და იცი, ვინ დამიხვდა იმ საღგომში?

**ელიზავეტა.** ვერ წარმომიდგენია.

**სბრუევ.** როგორც ადგილ-მდებარეობა აღწერეთ, ჭაობის ბაყაყი უნდა ყოფილიყო,

**იუორსკი.** ნატაშა ბაბროვა!

**ელიზავეტა.** ნუთუ? ნატაშა, ჩემი საყვარელი, კარგი ნატაშა!.. საწყალი!

**იუორსკი.** დიალ, დიალ, საწყალი! იმისთანა გარემოებაში! თურმე იმის დედის საღგომი ყოფილა. საწყალი ძალიან შეკრთა და ატირდა კიდეც... მე, რასაკვირველია, თანაგრძნობა გამოვუცხადე და დავპირდი როგორმე... როგორმე დავიხსნათ... იცი, ლიზ, როგორმე უნდა ვუშველოთ, ის ხომ შენი საუკეთესო მეგობარი იყო. მისწერე, ანუგეშე. მე კი მოვიფიქრებ და მო-

ვაწყობ რასმე, შენის სახელით, რასაკვირ-  
ველია, რომ არ იწყინოს. რას იტყვი?

**ელიზავეტა.** კარგი, კარგი, ხვალვე მივწერ. მე ძალიან  
ცუდად ვიქცეოდი, რომ აღარ მოვიკითხე, ძალიან  
ცუდად. ყოველთვის ვაპირობდი: და  
სულ რაღაც მიშლიდა. (აფტაცებით) ნატაშა  
ბაბროვა! შენ ვერ წარმოიდგენ, რამან, რა-  
ნაირად გვიყვარდა ერთმანეთი. სულ ერთად  
ვიყავით ინსტიტუტში. თუ კარგი რამ მო-  
მაგონდება, ისიც წინ უნდა გამომეცხადოს.  
ოჲ, ნატაშა, ნატაშა!.. მიშველე, რამან,  
როგორმე დავიხსნათ. რა რიგ მინდა მისი  
ნახვა!

**სბრუევ.** რამ აგალელვათ ეგრე? სახე სულ შეგეცვალათ.

**ელიზავეტა.** თქვენ ვერ მიხვდებით, მიშელ. (იურისკის)  
არა, რამან, ეხლავე დაჯექ და იფიქრე. უნდა  
მოიაზრო რამე, რომ ნატაშას ვუშველოთ.  
ნუ გადასდებ! თუ ჩემი ხათრი გაქვს, ნუ  
დაივიწყებ. მე ძალიან გამეხარდება, რომ  
შეიძლებდეს ჩვენსა მოვიპატიურ. დიდად ვი-  
სიამოვნებდი, ჩვენსა. რომ მოვიდოდეს.

**იურისკი.** არ, ეგ კარგი აზრია, მოიწვიე. ვერ წარმო-  
იდგენ, რა დაღვრემილი იყო.

**ელიზავეტა.** წარმომიდგენია... ის მოწყობილობა იმის  
ოცნებას სრულიად არ ეთანხმება. მაგრამ  
ეხლა ხომ არა შემიძლიან-რა, იცი, რა დროა...

**სბრუევ.** დიალ, დიალ! თუ ღმერთი გწამთ, ეგ მეგობ-  
რები ჩამოშაცალეთ.

**სვიბულსკი.** ოჲო, თურმე თქვენ მეგობარ ქალებზედაც

იჭვიანობს. მიშელს თურმე ღრმად სიყვარულის ნიჭიც ჰქონია...

**სბრუევ.** ნუ დაივიწყებთ, რომ მიშელს ყველა მაღალ და კეთილშობილურ გრძნობათა ნიჭი აქვს.

**სფიბუჟსკი.** (იცინის).

**იუორსკი.** შენ მართალი ხარ. მაშ შენ მისწერე და დანარჩენს მე მოვახერხებ.

**სბრუევ.** ლიზ, ლიზ, დროა! თქვენ არ იცით, რა დიდ-მნიშვნელოვანია ჩემთვის უვერტიურა. ჩემის. აზრით, უვერტიურა, ესე რომ ვსთქვათ, კვინტ-ესენციაა... ე... ე... კვინტ-ესენცია...

**ულიზავეტა.** (წამოდგება) სისულელეს ნუ მოჰყვები, მიშელ!

**სბრუევ.** თქვენ რა იცით, რომ მე სისულელეს ვიტყვი?

**სფიბუჟსკი.** მართლა და, თქვენ ძალიან შორს-ვჭვრეტელი ბძანდებით.

**ულიზავეტა.** წავიდეთ, მიშელ! ხვალვე ვნახავ...

**იუორსკი.** ძალიან კარგი.

(ელიზავეტა და სხურევი გადის).

#### IV.

**პოლინცევ.** თქვენი დად-თხოვდება, გრაფ?

**იუორსკი.** ამბობენ...

**პოლინცევ.** ელიზავეტა ვლადიმიროვნას გემოვნება მა-ოცებს.

**იუორსკი.** ეჲ, ჩემო მეგობარო, ჩვენ მაღალ საზოგა-დოების გემოვნება სულ სხვა ნიაღაგზეა აგებული... მიშელ ჭკვიანი არ არის—ეს ცხა-

დია, მაგრამ გულკეთილია და დიდ შეძლების პატრონი; გვარიშვილობა კარგი. აქვს და ყველგან მიღებულია. ეს ყოველივე საკმარია, რომ ქალების ყურადღება მიიზიდოს. ჭკუა, ბატონებო, იშვიათი და ძნელად სა-შოვნელი განძია, რომელიც მხოლოდ იმის-თვის არის საჭირო, ვინც ცხოვრნების გზა-თითონ უნდა გაიკვლიოს. აბა, ისეთ კაცს რად უნდა ჭკუა, რომელმაც დრო მხოლოდ სიამოვნებით უნდა ატაროს? იმან უნდა გაი-ზეპიროს ორიოდე ნაკვესი, საოხუნჯო ამბავი, მოსწრებული სიტყვა და ჭკუა-მახვილ კაცის სახელს გაითქვამს, თუ ძალიან სულელი არ არის. დაინახსომეთ ათიოდე *borts motas*, ოდეს-ლაც ვიღასგანაც წარმოთქმული, და ათიათას-ჯერ რომ იძახოთ ერთი და იგივე, მაინც მსმენე-ლნი სიცილს მოჰყვებიან. დაისწავლეთ რავ-დენიმე ფრანგული ანდაზა, ორიოდე აფო-რიზმი ჰიოტე, ჰეინე, პუშკინ, შოპენჰაუერისა, ორიოდე ლათინური ანდაზა, თუნდა დამახინ-ჯებული, და, თუ მოხურხებითა და გამოზოგვით მოიხმართ ამ ცოდნას, განათლებულ და გან-ვითარებულ კაცს გიშოდებენ. მაღალ საზო-გადოების კაცს ჭკუა იმდონად ესაჭირება, რომ სხვის აზრის მოყვანა თავის დროს შე-ეძლოს. ამასთან კარგი მზარეული უნდა გყავ-დეთ და კარგი საჯინიბო გქონდეთ. თუმცა მაღალმა ღმერთმა მიშელს ძალიან შეუზღუდა-თავი, მაგრამ სხვა ყოველივე უხვად მიანიჭა.

და კაცად არის ცნობილი. თქვენ, ექიმო, ისეთ საზოგადოებას ეყუთვნით, სადაც ყოველი კაცი თითონ იკაფავს ცხოვრების გზას, თავის შრომითა და ჭკუა-გონებით. ამიტომ გაოცებო ჩემი ნათქვამი. ჩვენს საზოგადოებაში შესაძლოა კაცმა ბეღნიერად გაატაროს თავისი სიცოცხლე, მცირეოდენი ღირსება და ნიჭიც რომ არა ჰქონდეს,—სრულიად საკმარისია, რომ ბეღნიერად დაიბადოს.

**სვიბულსკი.** მგონი, მე ბეღნიერად დავიბადე, მაგრამ...  
**იუორსკი.** შენ, ჩემო საყვარელო არკადი, ბეღნიერად დაბადებული უბედურ მფლანგავად გადაიქეცი.

**სვიბულსკი.** (დაცინვით). ჰა, ჰა, ჰა! უბედური მფლანგავი! ეს ხომ უსამართლობაა. ჩვენ, ვგონებ; წყვილად და თანაბრად. მივაქროლებდით, მე და შენ. მხოლოდ ის განსხვავება იყო, რომ მე შენზედ ნაკლები. შეძლება მქონდა და, როცა მე ჩემი სულ გავათავე, შენ ერთი იმოდენა კიდევ შეგრჩა. ჩვენ ერთად მივსრიალებდით თავდალმართში, მე წინ, შენ უკან, ფეხდაფეხ; მე რომ უკანასკნელი ქისა ვისროლე და შევჩერდი, შენც ისროლე და შეჩერდი. რად? მხოლოდ იმიტომ, რომ სწორი ამხანავი და თანამგზავრი არა გყავდა; შენ-კი ისეთის სუსტის ხასიათისა იყავ, რომ მარტოდ სრიალი ვერ გაბედე. მე რომ რვა-ასი ათასი კიდევ მქონდა შენსავით, მაშინ ჩვენ ერთადვე განვა-გრძობდით სრიალს და ერთად მოვისვენებდით კიდეც. მაშინ ორთავეს ცხოვრების გზა გავ-

ლილი გვექნებოდა და შენ ეს სურნელოვანი სიგარა აღარ შეგრჩებოდა, რომ ჩემთვის გე- თავაზებინა. მაშასადამე, შენ ბედნიერი ხარ მხო- ლოდ იმიტომ, რომ სუსტის ხასიათისა გრძან- დები.

**ფლიგელ.** საუცხოვო აზრია, არა, ექიმო?

**პოლინცევ.** ჩემთვის ეგ გაუგებარი სიტყვებია. მე თოთ- ხმეტის წლისა ჩემის თავის ანაბარად დავრჩი- და მას შემდეგ სულ საკუთარის შრომითა- ვცხოვრობ. ისეთი წუთიც კი არ, მახსოვს, რომ ხვალინდელი დღე საზრუნველი არ მქო- ნოდა.

**სვიბულსკი.** ეგ საშინელებაა!

**იუორსკი.** ჩემის აზრით-კი, ეგ დიდი ბედნიერებაა. მე შურის თვალით ვუყურებ იმ კაცებს, რომლებ- საც შეუძლიანთ სთქვან: მე ყოველივე ჩემის შრომით შევიძინე.

**პოლინცევ.** მაგისთანა ბედნიერება ყველასაოვის ბელ- მისაწილია.

**სვიბულსკი.** დიალ, დიალ, მართალია.... რამან, მოდი ხე- ლი აიღე შენს ქონებაზე, წიგნები სთხუზე და- იმით ირჩინე თავის ჰა, ჰა, ჰა! ვერ წარმომიდგე- ნია, რა საბრალო სანახავი იქნებოდი, ეგ ხორცი რომ ჩამოგახმებოდა... აი, ეხლა რომ ელიზავეტა ვლადიმიროვნას უამბე საწყალი ქალის ამბავი, რომელიც სიღარიბემ დასჩაგრა, აიღე და შენი სასახლე იმას დაუთმე. შენ კი მესამე ეზოსა და მესამე სართულში გადასახ- ლდი. მერწმუნე, ის აქ კარგა მოეწყობა... იმ

პირობიტ-კი, რომ ჩემი სამი ოთახი ქვემო სა-  
რთულში ისევ ჩემი იყოს... ჰა, ჰა, ჰა! ჩვენ აქ  
როგორმე მოვთავსდებოდით... ჰა, ჰა, ჰა!..

**იუორსკი.** უდიდესი ჩემი უბედურება ის არის, რომ მე  
და შენ ერთმანერთს ვერაოდეს ვერ გავეყრე-  
ბით, არკადი!

**სვიბულსკი.** დიალ, მართალია! და შენ მე ვერაოდეს  
ვერ მომიშორებ. ჰა, ჰა, ჰა! ამ სიტყვას  
მტკიცელ გაძლევ (შემთდის ივანე).

## V

**იუორსკი.** რაო, ივან?

**ივან.** იქ, თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენი ნახვა  
უნდათ.

**იუორსკი.** ვის? საქმე აქვთ რამე? ეს სწორედ სტუდენტი  
იქნება, თარგმანის გამო. მისი გვარი?

**ივან.** ქალია, თქვენო ბრწყინვალებავ.

**იუორსკი.** ქალი?

**სვიბულსკი.** ახალგაზრდაა?

**ივან.** სულ ყმაწვილია.

**სვიბულსკი.** ჰმ... მეათე საათზე ყმაწვილი ქალი... ყოჩალ,  
რამან, ყოჩალ!

**ივან.** ის ამბობს უთუოდ უნდა ვნახო მათი ბრწყი-  
ნვალებაო. სხვანაირი კი არის... უშლიაპო.

**იუორსკი.** რა უნდა, არა ჰყითხე?

**სვიბულსკი.** უშლიაპო? ჰა, ჰა, ჰა! რამანს რომანი აქვს  
მოახლესთან... ექიმო, ეგეც თქვენი გამოწე-  
რილი იქნება—უშლიაპო ქალი, ჰა, ჰა, ჰა!

ეს სწორედ აგებულობის განსაახლებლად დას-  
კირდებოდა. ჰა, ჰა, ჰა!

**პოლინცევ.** ჩვენ წავალთ, გრაფ, ნახვამდის!

**ფლიგელ.** მეც გავფრინდები. გამარჯვება მოგენიჭოს,  
გრაფ!

**იუორსკი.** არა, აქ სხვა რაღაც ამბავია. (ფლიგელს ხელს  
ართმევს) ექიმო, ძალიან ვწუხვაო, რომ ჩვენი  
ლაპარაკი ვერ გავათავეთ. არ მეგონა, თუ  
ხელს შეგვიშლიდა ვინმე.

**პოლინცევ.** ხვალ შემოვივლი (ეთხვება. ფლიგელი და  
შოლინცევი შარცხნივ მიდას) — ჩვენ სასალილო  
ოთახზე გავიაროთ.

**სვიბულსკი.** mais tu as oblié, mon ami...

**პოლინცევ.** ისევ ფრანგულად წაილაპარაკა:

**იუორსკი.** (პოლინცევის ამჟადებს და თუ ათ-თუმნიანს აძლევს)  
ჰო, მაპატიე. აი, ინებე!

**სვიბულსკი.** Mersil (ფლიგელის ჯიბეში იდებს) ახლა კი  
ისიამოვნე, რამან, ხოლო გახსოვდეს, სიამოვ-  
ნებაშიაც თავდაჭერა უნდა. ჩვენს ხანში, ჩვენს  
ხანში, ჰა, ჰა, ჰა!

**იუორსკი.** აქ მოიყვანე ის ქალი.

**ივან.** ბატონი ბრძანდებით! (შარჯვნივ მიდის. იუორსკი  
გაიგდ-გამოიყლის. შემოდის ნატაშა უშლააშო. ხე-  
ლში ჰალტო უჭირავს და თავ-მოსახვევი. ორჩვეს  
იატაგზე გადააგდებს და არც-კი დახედავს).

## VI

**იუორსკი.** (განცემულებულია) თქვენა ხართ? რამ მოგიყვა-  
ნათ?

ნატაშა. (შეტად შემკრთალი) დიალ, მე ვარ... მე მოვე-  
დი... (რავდენს მე ნაბიჯს წარსდგამს) ახლავე  
მოგახსენებთ... (შეჩერდება) არა, მე მოვედი...  
მე... სჯობს, წავიდე...

იუორსკი. შეუძლებელია! (მიდის, ხელს დაუჭერს, სცენის  
შეაგულ გამთიყვანს და დასვამს) რაკი მოხვედით,  
ეხლა ჩემი სტუმარი ხართ და სხვა არაფერი:  
დაბრძანდით! თქვენი მოსვლა ისე მოულო-  
ონელია, რომ ვერც-კი გავითიქრებდი.

ნატაშა. ოჰ, რომ იცოდეთ... თქვენ უთუოდ დამცი-  
ნით. გაოცებული ხართ... როგორ გავბედე!  
მართლაც, საშინელებაა... გრაფ, ნება მომე-  
ცით, წავიდე...

იუორსკი. ჯერ დამშვიდდით, ჩემო მეგობარო. საშინე-  
ლი აქ არა არის-რა. დაიღიალეთ?

ნატაშა. დიალ. ორ საათამდე დავეხეტებოდი ქუჩებში.  
უსაქმოდ, უაზროდ, არ ვიცოდი, სად წავსუ-  
ლიყავ. მერე მომაგონდა... ვიფიქრე...

იუორსკი. საბრალო! და მოგაგონდათ ძველი მეგობრე-  
ბი, არა? გმაღლობთ, გმაღლობთ! აქ-კი ნა-  
ხევარ საათს წინად ლიზ იყო.

ნატატა. (გახარებული) ლიზ?

იუორსკი. დიალ. და ჩვენ შენზე მოვილაპარაკეთ. ხვალ  
აპირობს თქვენთან მოსვლას, სათქმელი აქვს  
რამე. დიალ, დიალ, თქვენთვის რაღასაც ახერ-  
ხებს.

ნატატა. კარგი ლიზ!

იუორსკი. იმას ძალიან უყვარხართ და შემოჩვეულიც  
არის. აბა, ახლა მიიმშე, რამ შეგიყვანა, რა

მოხდა? გულახდილად, პირდაპირ, როგორც  
მეგობარს, ძველს ერთგულს მეგობარს. ჩვენ  
ერთად ვეცადოთ, რიგიანად მოვაწყოთ საქმე.  
ეხლა კი, რასაკვირველია, მარტო ვერ გაგი-  
სტუმრებ. ჩემი ეტლი მიგიყვანთ შინამდე.

ნატაშა. მე იქ აღარ მივალ!

იუორსკი. მაშ... ნუთუ...

ნატაშა. იქ რაღაც უნდა ვაკეთო... რაღაც სკოლა...  
ვიღასაც ვასწავლო... იქ ყველანი მუშაობენ...  
მე კი არას ვაკეთებ... არ შემიძლიან... არა,  
ვერ ვახერხებ... არ მინდა... იქ, სული მეხუ-  
თება (ტირის).

იუორსკი. ჰო, კარგი, დამშვიდდით. ეგრე აღელვება არ  
ვარგა.

ნატაშა. დიალ, მართალსა ბძანებთ... რა ნება მაქვს?  
მოვედი, და ლრიალს მოვყე. მაპატიეთ,  
გრაფი... ეს სისულელეა... და არც მიღებუ-  
ლია... (წამოდგება). მე... მე წავალ...

იუორსკი. არა, მაგის ნებას ვერ მოგცემთ.

ნატაშა. არა, მართლა, გრაფი, მე უნდა წაგიდე. ცო-  
ტა გავთბები და წავალ. საშინლად შემცივდა,

იუორსკი. (წამოდგება) ლმერთო ჩემო, აზრადაც არ მო-  
მივიდა! ეხლავ ბუხართან გაგათბობთ... მაგ-

რამ უწინარეს ნება მომეცით... ოქვენ ცო-  
ტა ლგინო უნდა დალიოთ, გაგათბობთ. ამ

წუთში! (საჩქაროდ მიღის მარცხნივ სასადალო  
თახში და ჭიქით დგინო მოაჭვს) დალიეთ, მა-

გარი ლვინოა და ერთბაშად დაგივლით ტანში.

ნატაშა. (სუამს) ოპ... მთლად მაურიალებს.

იუორსკი. აქედ, აქედ, ბუხართან (სოფას მისწევს ბუხარ-  
თან და დასჭამს) ეხლავ გათბებით.

ნატაშა. გმაღლობთ.

იუორსკი. (წაშთასსამს იდებს დიგნიდან) აი, ეს მხრებზე  
წამოისხით. ლიზის წამოსასწამია, აქ დარჩენია..  
აი, ეგრე. (წაშთასსამს) ახლა კარგა ხართ?

ნატაშა. ოჟ, კარგად. (წაშთასსამს გაისწორებს) ეხლავ  
გავთბები (თთასს ათვალიერებს) რა მშვენიერი  
მორთულობაა... თბილა... მყუდროებაა...  
გაჩაღებულია... ეს რა სურათია... პეიზაჟია?  
(წაშთასსამს და მიგა სურათთან). რა საუცხოვო  
სანახავობაა! თითქო ნამდვილი იყოს... ოჟ,  
გული საშინლად მიცემს, ჩქარა, ჩქარა, და  
თან რაღაც სევდა მაწვება...

იუორსკი. სევდა? რა სევდა, რა დარღი გაქვს?

ნატაშა. არ ვიცი იქნება ის ცხოვრება მიზიდავს, რო-  
მელიც აქ არის დასურათებული. სურათი  
ხომ უკეთესია, ვიღრე ნამდვილი ცხოვრება?

იუორსკი. მხატვრობაც არის და მხატვრობაც.

ნატაშა. მაგრამ მე მხატვრობისა არა გამევება-რა, ცოტა  
მინახავს. ეს რაღაა? (შეორე სურათს შეჭურვას).

იუორსკი. ეგ შესანიშნავი მხატვრობაა... აი, ეს გმირია,  
ეს ჯიხვი კლდეზე... ერთი ზღაპარია, ანუ  
ლეგენდა... როდესმე გიამბობთ... ეხლა კი  
ცეცხლთან მიღით და გათბით. თქვენ შემცივ-  
ნული ხართ და ზღაპრებისთვის არა გუალი-  
ანთ.

ნატაშა. (აქედისით იურუება). აქ ისეთი საუცხოვო მრ-  
წყობილობაა, რომ თქვენც, ჩქმი თავიცა და

ყოველ შე, რასაც ვხედავ, ერთ განუყოფელ  
ზღაპრად მიმაჩნია (შიგა ბეჭართას და შეიგისზე  
სამოჯდება. ერთს წამს თვალ-დახუჭული არის)  
დიად, სწორედ ზღაპრია... იცით, გრაფ-  
თქვენ ძალიან გულკეთილი უნდა იყოთ.

იუორსკი. რადა გვონიათ?

ნატაშა. იმიტომ რომ აქ ასეთი შუალენება სუფეს, ასეთ  
სილიმაზესთან ბოროტებას რა ხელშ აქვს...  
თქვენ ისე ცხოვრობთ, როგორც გსურო...  
თქვენ შეგიძლიანთ, მუდამ მშვიდად და წყნა-  
რად იცხოვროთ და მარტოდ-მარტო მიეცეთ  
თქვენს ფიქრებს... იქ კი... ბრ... ყველანი  
ყოველთვის ერთად არიან, ყველა მუდამ  
სხვების წინ უნდა იყოს. იქ ხომ ნახეთ  
ჩითის ფარდა, იმ სამეფო ტახტრევანდში მე ვი-  
სვენებდი... დილა-ალრიან ასტყდებოდა. რახა-  
რუხი და ყვირილი, მეეზოვეს შეშა მოაქვს,  
დედა ბაზრისკენ მიეჩარება... კლეოპატრა  
სფერო მანქანას არახუნებს... ჩემს გვერდით,  
ჩვენი მდგრადი თავის თთახში იზმორება...  
მეეზოვე სამზარეულოს კარს აბრახუნებს, ჩემი  
ძმა ბნელ საკუჭნაოში იხველებს (შენერდება)...  
რა თბილა! სიბრაზეც კი იფანტება... საწყალი  
სტიპეს ეხლოვი მებრალება. რა სისაცილო  
სანახავი იყო!

იუორსკი. სტიპეა ვიღოა? ხომ არა ბოდავთ?

ნატაშა. არა, სტიპე... ბავშობისას ჩვენ ერთად ტიკინ-  
დედოფალას ვთამაშობდით. ეხლა. კი ის  
დამზღვევ საზოგადოების კანტორაში მსახუ-

რობს და მე ვუყვარები. შინიდგან კაბის  
ანაბარა გამოვიწერ. იმან აიტაცა თურმე  
ჩემი პალტოდა თვისახურივი და დამედეჭნა.  
რარიგ მეხვეწებოდა, თან გამოვყვებიო. მე  
მკაცრად ვუთხარ; თავი დამანებე! და ისიც  
გაქრა, თითქო დედამიწაში ჩაძერა... საბრალო  
ტიროდა... რა სახმურია, როცა ბუხარში  
შეშა გუგუნებს!.. გამიგონეთ, მე უნდა წავიდე.  
მერწმუნეთ, წავალ... აი, უოტა კიდევ შევი-  
სვენებ. სიობო ძალიან მიყვარს... სწორედ  
ისეა, როგორც ზღაპარში... მე შემიძლიან  
მოელი ჩემი სიცოცხლე ბუხართან გავატარო.  
იუორსკი. თქვენ ვერსად წახვალო, ნატალი. ჩვენ აქ  
დაგაბინდვებთ ხვალამდე. მერე კი ლიზს  
მოველაპარაკოთ.

ნატაშა. ო, არა, არა... თქვენ ისეთი შეშინებული სახე  
გქონდათ, მე რომ შემოვედი. თქვენი მსახური  
ხომ... როცა გიყითხევთ, იმან არ დაიჯერა  
და სულ ამბობდა, არ მიგილებთო... მე კი  
გადაჭრით ვუთხარი, აქედგან ფეხს არ მოვი-  
ცვლი-მეთქი. მაშინ მუქარით მითხროს! კარგი,  
მოვასსენებო... გრაფ, თქვენ ისე გულკეთილი  
ხართ, ძალიან გულკეთილი!

იუორსკი. (სოფაზე დაჭდება იმის გვერდით) არა, ნატალი.  
ეგ იმიტომ გეჩვენებათ, რომ მომწონხართ,  
და სხვა არაფერი. თქვენ ვერ წარმოიდგენთ,  
რარიგ მტკიოდა გული, ისე დალონებულს  
რომ გხედავდი. თქვენ მშვენიერ თვალზე  
ცრემლი რომ დავინახე, კინალამ მეც ავტირდი.

ნატაშა. ჰა, ჰა, ჰა! სწორედ საუცხოვო. სანახავი იქნებოდა, ორივეს რომ ტირილი მოგვერთო. გრაფ იქორსკი მთარგმნელს ეძებდა და ტირილი დაიწყო. გამიგონეთ, გრაფ, მიამბეთ თქვენი თავგადასავალი. თქვენს ცხოვრებაში ბევრი რამ უნდა იყოს საინტერესო. როდესაც შეგიძლიან ისე იცხოვრო, როგორც გსურს და უოველი სურვილი აისრულო....

იუორსკი. დიაღ... მაგრამ თუ სურვილი არ არის?

ნატაშა. როგორ-თუ სურვილი არ არის? განა ეგ შეიძლება? მე კი სულ სურვილებითა ვარ სავსე...

იუორსკი. აბა, ერთი მაინც მითხარით...

ნატაშა. გითხრათ? (ფიქრობს) ეხლავ მოგახსენებთ (ფიქრობს) არა, ვერც ერთი ვერ ამომირჩევია.... ძალიან ბევრია...

იუორსკი. საქმეც ეგ არის..., ეგ სურვილები კა არ არის, ნატალი, გუნების აყოლაა, სიამოვნების წყურვილი.. თქვენ ისე ახალგაზდა წართ. ესე ულმერთოდ ნორჩი, რომ თქვენს გვერდით მეც მეჩვენება, თითქო ხნოვანობის ბორკილი დავამსხვრიე და თქვენთან ერთად მეც ვახალგაზდდები... ვინ იცის, იქნება მეც ამეშალოს ცხოვრებისა და სიამოვნების წყურვილი! მაშინ... (მოწევით) არა, მაშინაც არა გამოვარა. ცხოვრება მოსახეზრებელია, ნატალი! მხოლოდ შორიდან არის მიმზიდველი და, როცა დაუახლოვდები, ახალს ვერას შეამჩნევ, — ისევ ის არის, რაც გინახავს, ინტერესს მოკლებული. ნატაშა. მაგას თქვენ ამბობთ?.. მე-კი მეგინა, თქვენს

ცხოვრებაში ბევრი რამ უნდა იყოს საინტერესო.

**იუორსკი.** წარმოიდგინეთ, ისეთი არა ყოფილა-რა, რომ შესამჩნევი კვალი დაეტოვებინა. (წამოდგება და დადის). ჩემი ცხოვრება ამაო ტრიალია. მართალია, ბევრი რამ გადამხედისა და ბევრი რამ მინახავს, მაგრამ ყოველივე თავისთავად მოღიოდა, უნებურად, უწესოდ და უაზროდ. ცხოვრება მხოლოდ მაშინ არის საინტერესო, როდესაც იდეალი ამოქმედებს ადამიანს, რაიმე მისწრაფება. მე კი არაოდეს არავითარი იდეალი არა მქონია. აი, თქვენ მხოლოდ ორი საათი დადიოდით ქუჩაში აუაზროდ, დაიღალეთ და გაბრაზდით. მაგრამ, როცა აზრი დაგებადათ, ჩემთან წამოსვლა გადასწყვიტეთ და აასრულეთ კიდეც, მაშინ დამშვიდდით, დაკმაყოფილდით და უფრო გულკეთილი შეიქენით... მე ამას მხოლოდ მაშინ მივხვდი, როდესაც ორმოცდაორი წელი უაზროდ ვიხეტიალე. ამ ხანში-კი იდეალების შექმნა გვიან-ლაა. ამ ხანში ყველაფერი დაგვიანებულია, ნატალი. ამიტომაც ჩემი ცხოვრება უფერულია და მოსაწყენი.

**ნატაშა.** (უურს რომ უგდებდა, წამოდგა, დივანზე გასწორა და და პირი იმისკენ აქცია) თქვენი ცხოვრებაც მოსაწყენია? სწორედ საოცარია!.. თქვენ არავინ გყვარებიათ?

**იუორსკი.** არავინ.

**ნატაშა.** რატომ?

**იუორსკი.** იმიტომ რომ ჩემი თავი ყველაზე მეტად მი-

ყვარდა. მართალია, მრავალჯერ ვყოფილ-ვარ გატაცებული, მაგრამ ეს მხოლოდ ლიტინი იყო, ნერვების ქავილი, ხან-მოკლე ჟინი. ჩემს სიცოცხლეში მკვიდრი და საფუძველნი არა ყოფილა-რა. როდესაც ჩავ-ფიქრდები და ჩემს წარსულს წარმოვიდგენ, ბრაზი მომდის. ოკ, საშინლად ვუბრაზდები ჩემს თავს...

**ნატაშა.** მებრალებით...

**იუორსკი.** (მივა და ხელს ჩამოართმევს). გმადლობთ-ნა-ტალი! თქვენ მართალი ხართ. მეტად სა-ბრალოა ის ადამიანი, რომელსაც არავინ უყვარს... აი, ხომ ხედავთ, მე ცოტა რამ კი-დეც გიამბეტ ჩემის წარსულისა. თქვენ კი არაფერს მეტყვით?

**ნატაშა.** ეხლა ყველაფერი გადამავიწყდა... როდესაც მო-სკენებითა ვარ, ყველა ცუდი ფიქრი მშორდება, ავი, ბოროტი მავიწყდება და იმ დროს ყველა მიყვარს.

**იუორსკი.** კარგი გული გქონიათ.

**ნატაშა.** დიალ, როცა კარგს გარემოებაშია... ხოლო საერთოდ მე გულკეთილი არა ვარ. როდესაც ცუდ გუნდებაზე ვარ, საშინლად ვბრაზობ.

**იუორსკი.** ეგ ვერ წარმომიდგენია... კარგი... რაც კი თქვენა მკითხეთ, ყოველივე გულახდილად მოგასენეთ. იხლა თქვენც ერთი რამ მითხა-რით. რასაკვირველია, ჩვენ წინაღვევა განვაგ-დებთ ხსოვნიდან იდუმალ აღტაცებას სიტ-ყვიერების. მასწავლებლისადმი. არ მოვიგო-

ნებთ იმ ლაშაზ ნათესავთაგანს, რომელიც, შესაძლოა, თქვენ მოგწონდათ. თქვენ, აი, რა მითხარით: იცით, რა არის სიყვარული?

ნატაშა. მე? (პაუზა).

იუორსკი. პასუხი გეძნელებათ.

ნატაშა. არა, გიპასუხებთ. მე ერთი ვინმე მიყვარდა ამ ორის წლის წინააღ.

იუორსკი. ნამდვილად-კი?

ნატაშა. მეტის-მეტად. ძალიან ვიტანჯებოდი, ღამე ძილი არა მქონდა და მოსვენება.

იუორსკი. ნუთუ? და დიღხანს შეგრჩათ ეგ გრძნობა?

ნატაშა. ექვს თვეს.

იუორსკი. ქუნთრუშასაც ეგ ვადა აქვს.

ნატაშა. ნუ დამცინით. ძალიან ვიტანჯებოდი...

იუორსკი. აბა გამაგებინეთ, როგორ და რასა გრძნობდით?

ნატაშა. მინდოდა თავი შემეწირა.

იუორსკი. ეგ ცოტა გაუგებარია. როგორ-თუ უნდა შეგეწირათ?

ნატაშა. მთელი ჩემი სიცოცხლე იმისთვის შემეწირა.

იუორსკი. ოო, ეგ-კი ნამეტანია! მე მაგისთანა გრძნობა არაოდეს არა მქონია.

ნატაშა. არა? საშინელებაა! მაშ მართლა არავინ გყვარებიათ!

იუორსკი. ბარემ ისიც მითხარით, ნატალი, ეს ხომ წასული საქმეა... ვინ გიყვარდათ?

ნატაშა. (სერიოზულად) თქვენ.

იუორსკი. მე?! შეუძლებელია!

ნატაშა. დიაღ, დიაღ, თქვენ.. და ეს არავისთვის არ მითქვამს. ლიზსაც კი არ გავენდე.

**იუორსკი.** ისე-კი ჩქერდით თავს, რომ ვერ შეგამჩნიეთ.  
ეგ რა საკადრისია!

**ნატაშა.** დიდ ვინმედ მიმაჩნდით, მიუკარებლად.

**იუორსკი.** ძალიან საწყენია, საწყენი... მაგ თავდაჭერით  
რავდენი სიამოვნება წამართვით. როდესაც  
გრძნობ, რომ შენთვის სძგერს გული და ისე-  
თი ნორჩი გული, მშვენიერი გული... განა  
ამაზედ უმეტესი სიამოვნება შესაძლებელია!  
იცი, მე მგონია, მაშინ კიდევ შემეძლო გამო-  
ცოცხლება, გაჭაბუკება, კვალად შემეყვარა  
ცხოვრება და, ვინ იცის, იქნება, სულ სხვა  
კაცი დავმდგარიყავ...

**ნატაშა.** ეხლა კი ცხოვრება არ გიყვართ?

**იუორსკი.** არა, მე მხოლოდ უილავობით ვიფერებ.

**ნატაშა.** მაშ თქვენგან აღარა გამოვა-რა,

**იუორსკი.** რა ვიცი, ნატალი. ცხოვრების იდეალი არა  
მაქვს... არავინ და არაფერი მიყვარს... აი, ეს  
არის ჩემი უბედურება.

**ნატაშა.** შეიყვარეთ.

**იუორსკი.** შევიყვარო? ეგ ხომ სურვილზე არ არის, ეგ  
ხომ ყველას არ შეუძლიან, ნატალი. არიან  
ისეთი ბედნიერები, რომლებსაც ყოველთვის  
ვინმე და რამე უყვართ, სულ სადლაც მი-  
ისწრაფიან... მე იმათ შურის თვალით შევყურებ.

**ნატაშა.** ეგ ვერ გამიგია. მე რომ უზრუნველად ვცხო-  
ვრობდე, როგორც თქვენ, სულ სიყვარულს  
გადავყვებოდი.. უზომოდ კეთილი ვიქნებოდი.  
ყველა მეყვარებოდა, ყველა... აქ ისე კარგია  
და თქვენც ისე კარგი მეპყრობით.... (აღეჭვე-)

ბული) მაგრამ წასვლის დროა. (ადგება და იმასთან  
შეა) მშვიდობით ბძანდებოდეთ...

**თუორსკი.** ღმერთმა დაგიფაროთ! ეგ არ შეიძლება. მე  
შიშმა ამიტანა, წასვლა რომ ახსენეთ. ვერსად  
გაგიშვებთ, ვერ! თქვენ ჩემი ტყვე ხართ ხვა-  
ლამდე. ჯერ ხომ საკმაოდ ვერ შეისვენეთ?

**ნატაშა.** მართალია. ძალიან დავიღალე.

**თუორსკი.** ეხლავ დაგაბინავებ (უნდა დარეკას).

**ნატაშა.** არა, არა. ცოტა ხანს კიდევ ნება მომეცით  
ცეცხლთან ვიყო, ისევ მაჟრუოლებს, და მერე...

**თუორსკი.** აი, ხომ ხედავთ, რა ცუდად იქცევით, გხოვთ  
წინანდელი ადგილი დაიჭიროთ (ხელს მოჭირ-  
დებს და ბუხართან მიიღებს).

**ნატაშა.** ეგრე მრისხანედ?

**თუორსკი.** მაშ რა ვქნა, როდესაც თქვენ ისევ ბავშვი  
ხართ... სხვაფრივ არ შეიძლება მოგეპყროთ.  
დაბძანდით-მეთქი! აი, ეგრე.

**ნატაშა.** (დაჯდება) რა სამურია, როდესაც შენთვის ზრუ-  
ნავენ. ოპ, ქუთუთო დამიმძიმდა, ძალიან და-  
მძიმდა... ღვინომ თუ იმოქმედა.

**თუორსკი.** არა უშავს-რა. თვალი დახუჭეთ და ცოტა  
ხანს წათვლიმეთ. ეგ გამოგაკეთებთ.

**ნატაშა.** (თვალს უჭიკავს) თავისთავად მეხუჭება, ღვინის  
ბრალია... რა სამური ნათელია... მეც თითქო  
შიგა ვარ. შეზავებული. ასე მგონია, აი, ის  
მოლურჯო ნაპერწკლები ჩემი. ფიქრებია...  
სითბოსაგან ვდნები, როგორც ზღაპრული  
თოვლის ქალი მაისის მზისაგან. ეხლა ჩემი თა-  
ვი პაწაწა, პაწაწა მგონია...

**იუორსკი.** გეყოფათ ტიკტიკი, გაჩუმდით. მე ზღაპარს გეტყვით...

**ნატაშა.** (ეძინება) მომხიბლავს?... ეს მაშა ლანსკაიმ... დასაწყისი საშინელია... მერე კი მშვენიერი...

**იუორსკი.** ჰბოდავს. რა კარგი რამ არის! (მიუჯდება და სელზე სელს უსვამს) გმირის ზღაპარს გეტყვი, რაინდზე, რომელსაც რკინის გული ჰქონდა. მისი სურათი ხომ ნახე... იმისმა გულმა სიყვარული არ იცოდა. შიგ ყრუდ გაისმოდა ჩაქუჩის ცემა, ცივი, თანაბარი, უცვლელი-იმას მხოლოდ ნადირობის ჟინი ჰქონდა... დიდ ნეტარებად მხოლოდ ის მიაჩნდა, ნადირს რომ თავში ისარსა ჰკრავდა... მაშინ მის გულში ჩაქუჩი უფრო მძლავრად და გაჩქარებით აჯა-ხუნებდა. მაგრამ ვერც ამით ეწია ბედნიერე-რებას. რავდენ ნადირსაც გადააგორებდა, ჟინი უფრო და უფრო უცხოველდებოდა, სულ ახალ-ახალი სისხლი სწყუროდა...

**ნატაშა.** (ძილში შეკრთება) რა საშინელებაა!

**იუორსკი.** ძილში ჰბოდავს... ერთხელ ნადირობდა და ერთ კლდეზე ნორჩისა და ლამაზს შველს წა-აწყდა. შვილდი მომართა და ისარი დაუმიზნა-ერთი წამიც და შველი დაეცემოდა... მაგრამ ამ დროს მის წყნარსა და ნაზ თვალებს დააცქე-რდა. ისინი თითქო შებრალებას ევედრებოდნენ. მონადირე შეკრთა და შვილდი ძირს დაუშვა. იმავე წამს გულში ნეტარება იგრძნო, რაც წინად არაოდეს არ უგემია. მისი რკინის გუ-

ლი მოლბა. მას შემდეგ გმირი სანადიროდ  
აღარ წასულა.

**ჩატაშა.** რა კარგია! (თავს იმისექნ იხრის და დაეძინება).

**იუორსკი.** (ხელზე ჭკოცნის) ოპ, ლამაზო, ბავშო, პოეზიის  
საოცარო ქმნილებავ! შენ მიღვიძებ ახალ, საუ-  
კეთესო გრძნობას... მაგრამ გვიან-ლაა... გვიან-  
ლაა... მე რა კაცი ვარ? ამისთანა სულელური  
და უფერული ცხოვრება განვვლიე და, გადაღმა  
რომ უნდა გადავიხედო, იმედს მაშინ შევეყარე...  
ბედი დამცინის, მაზიზლიანებს... არა, გვიან-  
ლაა! (ჰაუზა) მაგრამ ეგრე რად უნდა იყოს?  
იქნება, ეგრე არც არის? განა ბეღნიერებას  
დრო და უამი უნდა? განა ჩემი ბრალია, რომ  
ესე მხიბლავს და თავისკენ მძლავრად მიზი-  
დავს? (დასცემენის, მერე საჩქარდ თავს აშორებს)  
ოპ, არა... (ნაზად) იძინე... იძინე... (ხელზე  
ჭკოცნის).

ოვარდა.

## მოქმედება მესამე.

იუორსკის სასახლეში — საზამთრო ბაღი. აქა-იქ ბამბუკის მებელია. სცენის წინა ნაწილი ფანარსაყით არის გამოწეული, ამ აღვილსა და ბაღს ალყა ჰყოფს. აქაც რავდენიმე მცენარეა. მარჯვნივ როიალია. ცოტა მარცხნივ — ოთახის. შადრევანი და აკვარიუმი, რომელშიაც ოქროსფერი თევზები დაცურავენ.

### I.

**იუორსკი.** (მცენარეებს უვლის და დაშეგნარ ტოტებს აშორებს მაკრატლით. იგანე მორჩილად ბძანებას ეჭის) მოვიდა ვინმე? ასე აღრე... უთხარ, ჯერ არ ამდგარა-თქო.

**ივან.** მისი ბრწყინვალება, ელიზავეტა ვლადიშიროვნა ბძანდება.

**იუორსკი.** ლიზ? საოცარია... შუაღლებე აღრე ის არა-ოდეს შინიდან არ გამოსულა. სთხოვე, აქ მობძანდეს.

**ივან.** ბატონი ბძანდებით. (ბალისკენ მიიჩედავს) აგერ, აქ მობძანდება.

### II.

**იუორსკი.** (როცა ეჭიზ. უფადიმიროვნა გამოჩნდება) შენ ხანდისხან მაოცებ, ლიზ!

ელიზავეტა. იმდონად, რომ სალამიც-კი დაგავიწყდა...  
იუორსკი. გამარჯობა! (დოქაზე ჭირდების) თუ საქმე გაქვს,  
საჩქაროდ მითხარ.

ელიზავეტა. (დაჯდება) ჰო, საქმე მაქვს. შენ ხომ იცი,  
რომ დღეს სალამოს მივდივარ დიდიდედასთან.  
მთელი ღამე არ მძინებია... ისე ვერ წავალ,  
რომ ნატაშა არა ვნახო. არ შემიძლიან...

იუორსკი. ინსტიტუტის ზრდილობა თუ მოითხოვს!

ელიზავეტა. სულ ერთია. სხვა ცხოვრება თოთქმის არც-  
კი ვიცი... იმაზედ უკეთესი. მას შემდეგ,  
რაც ინსტიტუტიდან გამოველ, ძალ-მომრეო-  
ბა მდევნის.

იუორსკი. ოო?

ელიზავეტა. დიალ, ძალა, ძალდატანება!.. თავისუფ-  
ლლად არც-კი ამომასუნთქებინეს და მაშინვე  
საქმროდ მიშელ მაკისრებინეს... რომელიც  
თითქო განგებ ცდილობს ყველგან და ყველას  
თავისი სისულელე აუწყოს და დაუმტკიცოს.

იუორსკი. მაგაებს როდი ჭკადრებენ იმ კაცს, ჩემო  
მეგობარო, რომელსაც ორი მილიონი შეძლე-  
ბა აქვს.

ელიზავეტა. ყოველი ლაპარაკი შენ ხუმრობით უნდა  
გააქარწყოლო.

იუორსკი. არარაობა უფრო ადვილი საზიდია. მაგრამ  
ამას თავი დავანებოთ, მეგობარო. როცა  
გათხოვდები, შენი გარემოება შეიცვლება.  
როგორც ქმრიან ქალს, მაშინ შეგიძლიან  
მალ-მალ ინახულო ნატაშა... ხომ იცი, რომ  
მაღალ წოდების საზოგადოების თვალში ნატაშას საეჭვო

ადგილი უჭირავს. შენ რომ ეხლა მოურჩდებ-  
ლად იარო ნატაშასთან, შენი ნაცნობები  
შმუშვნას დაიწყებენ და მიშელს შენ შესახებ  
თვალს გადუბუტავენ. მიშელი-კი ისე სულე-  
ლია და მასთან არარაობა, რომ თავის საკუთარ  
აზრს ვერ იქონიებს... და მაშინ...

**ელიზავეტა.** კარგი აზრი გქონია იმ' კაცის შესახებ,  
რომელსაც მირჩევ, მითხოვდიო...

**იუორსკი.** მე მხოლოდ შენი თანამოაზრე ვარ. ამასთანა-  
ვე, როდესაც ჩემი დად იმას მისთხოვდება, მაშინ  
იმაზე უფრო პატივისცემით ვიბაასებ. ხუმრობა  
იქით იყოს, ბავშობაში ნუ სდებ თავს, ლიზ! ჩვენ  
ერთმანეთს საღვურზე ვნახავთ... ეხლა შეიძლება  
ნატაშა გამოვიდეს... მაპატიე, რომ ესე გაჩქარებ.

**ელიზავეტა.** მე ერთი საუცხოვო აზრი მომივიდა.

**იუორსკი.** მითხარ, თუ ძალიან გქელი არ არის.

**ელიზავეტა.** ერთ დღეს მაინც ჩემს ჭკუაზე რო გავიარო  
და იმად ვიყო, რაცა ვარ — წარმომილგენია,  
როგორ შეშფოთდებიან ყველანი! არა, მე  
არა ვხუმრობ: არ წავალ, ვიღრე ნატაშას არა  
ვნახავ.

**იუორსკი.** ეგ ხომ ჯიუტობაა?

**ელიზავეტა.** შესაძლოა.

**იუორსკი.** ხასიათის სიმტკიცეს იქ იჩენ, საცა საჭირო  
არ არის. და, თუ მაინცა-და-მაინც არ დაგი-  
შლია, —ინებე!

**ელიზავეტა.** (გასარებული) მართლა? მალე გამოვა?

**იუორსკი.** არა, არა, ეგ შეუძლებელია. შენ მერე მოდი,  
ცოტა გვიან. უნდა შევამზადო. ის. რომ და-

გინახავს, რაკვირველია, მოგვარდება, როგორც  
იმისი ხასიათი იცი. შენც, რა თქმა უნდა,  
დადნები. ეგ არ უნდა მოხდეს. შეგიძლიან  
ინახულო, მაგრამ მცირე ხანს და თავდაჭროთ.

**ელიზავეტა.** რეცეპტია?

**იუორსკი.** დიალ, დიალ. მე თუ დაგითმე, შენც უნდა  
დამყვე. როცა გათხოვდები, შეგიძლიან თუნდ  
ათჯერ ინახულო დღეში. ეხლა-კი, გაიგვ  
რიგიანად, შენი და მიშელის ქორწინება რომ  
ჩაიშალოს, შენი და გრაფინიას მდგომარეობა  
სრულიად შეირყევა. მე-კი ისე მდიდარი  
არა ვარ, რომ ჩემის ლონით ისევ მაღლა  
აგწიოთ. გაიგვ?

**ელიზავეტა.** სულ მაგაზეა დამყარებული, სულ!

**იუორსკი.** სულ, სულ, ჩემო მეგობარო... დასკვნა სა-  
მწუხაროა, მაგრამ აუცილებელი-კია. ეხლა  
adieu! საუზმის დროს მოდი და ნახავ. .  
რატომ ეგრე გაოცებული მიყურებ?

**ელიზავეტა.** დიდი ხანია, გაცქერდები, რამან, და თანდა-  
თან ვრწმუნდები, რომ შენც სხვებისთანა  
ყოფილხარ. მაშინ კი, როცა ინსტიტუტში  
დაიარებოდი, სულ სხვა მეგონე. და ყველა-  
ფერი ეხლა სულ სხვანაირად მეჩვენება, ვიდრე  
მაშინ.

**იუორსკი.** (წელზე ხელს მოხვევს) რა კარგი ხარ, ეგეთი  
გულუბრყვილო!.. ის-ლა გვაკლია, რომ  
ცხოვრება. ისეთი, იყოს, როგორც ინსტი-  
ტუტელის გონებას ელანდება: „საიდმლო  
ალერსი, ჩურჩლი, სუნთქის შეკვრა- შე-

გუბება, ბულბულის სტვენა“. ამას უნდა-  
დაუმატო ყვავილი და კამფეტები, კამფეტი  
და ყვავილები... ჰა, ჰა, ჰა! სწორედ საუც-  
ხოვო რამ არის, ჩინებულია!

**ელიზავეტა.** (სერიოზულად) ნუ დამცინი, რამან, თო-  
რემ ალარ მეყვარები.

**იუორსკი.** ჰო, ჰო, ჰო, კარგი! უფროს ძმას ეგრე რო-  
ლი ელაპარაკებიან (ჭირცნის) Adiou! ესე, სა-  
ათის თორმეტზე მოდი და თავდაჭვრით იყავ  
(გამოჩხნდება სვიბულსკი, რომელიც ციგნურ რომანის  
შდერის).

**ელიზავეტა** (გადის).

### III.

**სვიბულსკი.** მარტო ხარ, რამან? (რთა დანართან მივა) ხომ არ  
დაგიშლი?

**იუორსკი.** (ისევ მაკატეჭის იღებს და უვავილებს ტოტებს  
აცლის) შეგიძლიანთ!

**სვიბულსკი.** (რთა დანართან მიუჯდება და უკრავს) მთელი დილა ეს-  
ჰანგი ვერ მომიშორებია. გახსოვს?

**იუორსკი.** არა.

**სვიბულსკი.** ნუთუ? არ გახსოვს? (მდერის) შეუძლებელია..  
ეს ტანიას სიმღერაა..

**იუორსკი.** ვინ ტანია?

**სვიბულსკი.** ტანია არ გახსოვს? გძელ-თმიანი, კოჭე-  
ბამდის რომ აფრიალებდა... შამპანის ლვინოს  
რომ არა სტამდა, თუ წვნის თასით. არ მიართმევ-  
ღნენ. საუცხოვო რამ იყო...

**იუორსკი.** არ მახსოვს! შენი ტანია...

სვიბულსკი. (სხვა ჭანგს უკრავს) ეს?.. მოიცა; მოიცა...  
(მდერის) გეცნობა?

იუორსკი. სულაც არა.

სვიბულსკი. რას ამბობ? მავრიტანიაში, სტიოშა... მა-  
უვალსავით თვალები. არ გახსოვს?

იუორსკი. არა.

სვიბულსკი. (წუქნით) შენ სულ დაგვიწყებია, სულ,  
რამან. საკვირველია! მაშინ მე თორმეტი  
teuve elicot მოვატაინე და მთელ მავრიტანიას-  
ვასვი. ყველამ ჩემი საღლეგრძელო დალია.  
ეს მაინც გეხსომება.

იუორსკი. წარმოიდგინე, ეგ შენს ცხოვრებაში მეტად  
საყურადღებო მოვლენაც დამვიწყებია.

სვიბულსკი. ეგ არ გეპატიება! მაგისთანა ამბავი როგორ  
გავიწყდება! მე სულ დაწვრილებით მახსოვს?..  
მაგრამ, მგონი, მოგაბეზრე. ვჩუმდები. უკანა-  
სკნელ დროს შენ კეთილ-ზეობის გზა-  
ადგიხარ. ეგ-კი საკმაოდ მოსაწყენია... სა-  
ერთოდ ამ სახლში გასართობი აღარა არის-  
რა... მას შემდეგ, რაც აქ თავდაჭერილი  
ქალი ჩამოეთესლა. თავდაჭერილი ქალები მე  
არ მიყვარს. უთუოდ პატივისცემით უნდა  
ეპყრობოდე და ეს ხომ მოსაბეზრებელია.

იუორსკი. აკი სთქვი: ვჩუმდებიო?

სვიბულსკი. ჰო, ჰო, ვსლუმარებ... გავჩუმდი (უკრავს).  
(ნატაშა შემოდის. თან მოახლე მოსდევს და თევ-  
ზებისთვის საჭმელი მოაქვს).

IV.

**ნატაშა.** (მოახლეს) მანდ დასდგი (აკვარიუმს უჩვენებს. შთა ახლე დასდგამს და წაფა. ნატაშა თევზებს საჭმელს უურის) საბრალონი, მშვირები არიან! (იური სკის) ეგ საქმე არ მოგბეზრდათ?

**იურისკი.** საკმაოდ. მაგრამ მოვრჩი კიდეც. (მაკრატელსა სდებს მაგიდაზე. ნატაშასთან მიყა და ხელზე აკოცებს) დილა მშვიდობისა, ჩემო მეგობარო! (საათს სინჯავს) ცოტა ხანს უნდა წავიდე, საქმე მაქვს.

**ნატაშა.** კიდევ?

**იურისკი.** კიდევ? დღეს ფეხი არსად გაშიდგავს!

**ნატაშა.** ყოველ დილას ცდილობთ წახვიდეთ სადმე.

**იურისკი.** (იცინის) მე-კი არა ვცდილობ, ჩემო მეგობარო, უნებურად მივდივარ. (საათს სინჯავს) მეთორმეტეა. ხუთის წუთით მაინც დეიდა ზინათან უნდა შევიარო. ორი წელიწადია, მასთან არა ვყოფილვარ. უზრდელობაში ჩამომართმევს.

**ნატაშა.** (დაცინებით) ჰო, დიალ!

**იურისკი.** ეგ რას ნიშნავს?

**ნატაშა.** მე კარგად მახსოვს: ამ ორის კვირის წინად გრატინიასთან მიგიწვიეს, შენ *მამამ-თან*, რაღაც მეტად საჭირო რჩევაზე. მაშინ თქვენ მითხარით, ყველა საოჯახო რჩევებს შენთან ყოფნა მირჩევნიაო.

**იურისკი.** მაშინ ცუდად მოვქცეულვარ. შეიძლება, ყვე-

ლას მერჩივნო დედამიწის ზურგზე, მაგრამ  
მოვალეობაც არ მავიწყდებოდეს.

**ნატაშა.** ჰო, ცხოვრება ცვალებადიაო.

**იუორსკი.** ოჯ, ღმერთო ჩემო! ეგრე რად ლაპარაკობ,  
ნატალი? არაფერი არ უნდა გააზვიადო. ნა-  
ხევარ-საათიც არ გავა, რომ მე აქ გავჩნდები.

**ნატაშა.** რო გთხოვთ, აქ დარჩეთ? რო დაგარწმუ-  
ნოთ, რომ მაგით თქვენ მე...

**იუორსკი.** (მოუთმენლად სიტუაციას აწევეტინებს) სიყვარულს.  
დაგიმტკიცებთ! ჰო, რასაკვირველია... როდე-  
საც ქალი თავის ახირებულ სურვილს ვერა-  
ფრით დაასაბუთებს, მაშინ უკანასკნელ ღო-  
ნისძიებას მიმართავს: თუ გიყვარვარო. ეგ  
ხომ ძალადობაა, ჩემო კარგო, უსაშინელესი  
ძალდატანებაა.

**ნატაშა.** ჩვენ მარტონი არა ვართ, რამან ვლადიმირო-  
ვიჩ.

**სვიბულსკი.** (მთისედავს და თან უკრავს) ომ, თუ ღმერთი  
გწამთ, მე ყურადღებას ნუ მომაქცევთ. მე  
მხოლოდ დეკორაცია ვარ, როგორც ეს მცე-  
ნარები.

**იუორსკი.** აი, ხომ ხედავ, მომისმინე. მე ვამბობ, სიყვა-  
რული ბეღნიერებაა, როდესაც არავითარი-  
„თუ“ და „უკეთუ“ თან. არ დაპყვება. (სეჭ-  
დაუჭერს) მე საკმაოდ მიყვარხარ, ჩემო მეგობა-  
რო, და დამშვიდებულის სინიღისით შემიძლი-  
ან შენი ახირება არ ავასრულო. ნახვამდის,  
ჩემო კარგო!

**ნატაშა.** (სეჭა) დარჩი...

**იუორსკი.** (ხელს დაუჭირს) რად? თუ პატივსადები მიზე-  
ზი იცი, მეც გამაგებინე,

**ნატაშა.** მე დარღი ამეშლება...

**იუორსკი.** ეგ საბუთი არ არის, ჩემო მეგობარო.

**ნატაშა.** (ხელს გამოგლეჯს) საბუთების გამო რომ დარ-  
ჩენილიყავ, მე არაფრად ჩავთვლილი... არა...  
ეს სისულელეა! მაბეზარი ვხდები, არა? მაშ  
დაეჩარეთ, წადით! მართლა, წადით!

**იუორსკი.** აი, ეგრე, მოსაწონია! (შემოვა პოლინცევ) აა,  
საყვარელო ექიმო. თქვენ ყოველთვის მოს-  
წრება ხართ, როცა საჭიროა.

#### V

**პოლინცევ.** (ნატაშას ხელზე აკოცებს) რა თქმა უნდა. ჩე-  
მი პრაქტიკა მთლად მოსწრებაზეა დამყარე-  
ბული. ღროზე მისვლა, ღროზე წასვლა—  
ამას დიდი ნიჭი უნდა. (იუორსკის ხელს ართმევს)  
რა ამბავია?

**იუორსკი.** ნატაშას რაღაც დარღი შემოაწეა. მე-კი ცო-  
ტა ხანს სხვაგან უნდა წავიდე. ჩემ მოსვლა-  
მდე ავალმყოფობის მიზეზი გამოიკვლიერ. იმე-  
დი მაქვს, აქვე დამხვდებით.

**პოლინცევ.** თუ ღროზე წასვლა არ დამჭირდა (იუორ-  
სკი მიღის).

#### VI.

(ნატაშა აკვარიუმთან შიგა და დაჯდება. სვიბუჟსკი  
უპრავს და დამდებს).

**პოლინცევ.** ოჰ, ვერც-კი შევნიშნე! აქ მესამეც  
ყოფილა (სვიბუჟსკის) გამარჯობა! (ხელს აძლევს).

სვიბულსკი. ნუ მიშლით, მოგონებამ წამიღო.

პოლინცევ. ამაოდ განვლილ ცხოვრების მოგონებამ?

სვიბულსკი. სწორედ (უკრავს).

პოლინცევ. (ნატაშას გვერდით შიუჯდება) აბა, ახლა თქვენ-  
თან ვისაქმიანოთ.

ნატაშა. თევზებთან სჯობს. როგორ გვონიათ, ექიმო, ეს  
თევზები ამ ყუთში ბეღნიერნი არიან, თუ არა?

პოლინცევ. ექიმზე ბეღნიერი მაინც არიან, რომელიც  
მთელი დღე დაწანწალებს ავადმყოფებთან,  
რომ ლუკმა პური იშოვოს.

ნატაშა. უყურეთ, რა სევდიანად გამოიკირებიან.

პოლინცევ. (ნატაშას დააცქერდება) დღეს მარტო ეგენი არ  
გამოიყურებიან სევდიანად.

სვიბულსკი. მგონი, ჩემი მუსიკა თქვენზე ცუდად მოქმე-  
დობს.

პოლინცევ. ეგ მუსიკა მარტო თქვენზე მოქმედობს სა-  
სურველად. ეგ ციგნური რომანსები განვლილ  
ცხოვრების კვალზე გაყენებენ: „შავი თვალები,  
ეშხიანები“ — ბოშის გოგო შაშა... ამა და ამ  
წელს... ამდონი ათასი... „მე შემიყვარე,  
მომეალერსე“ — ცქრიალა პაშა... ამა და ამ  
წელს... ამდონი ათასი... და სხვა... არა?

სვიბულსკი. ჰეშმარიტად, ექიმო. სწორედ რომ კარგი  
დრო იყო!

პოლინცევ. მჯერა. ხოლო იმ დრომ კარგი ჯილდოც  
წაიყო.

(სვიბულსკი უკრავს).

ნატაშა. მე მგონია, ეს საკოდავები მარად ოცნებობენ,

აპა ეხლა-კი გვეღირსება ფართო ზღვა, მზის სხივი, თავისუფალი მოძრაობაო. მაგათ ხომ სივრცე სინათლე და ბრძოლა უყვართ და ენატრებათ.

**პოლინცევ.** რამ მოგაგონათ, ნატალია პეტროვნა, თევზების ფსიხოლოგია? აქაც საკმაოდ აქვთ წყალი, ბალახი, ქვები, საჭმელი...

**ნატაშა.** თქვენ გგონიათ, მაგის მეტი აღარა უნდათ-რა?

**პოლინცევ.** თევზს მეტი არა უნდა-რა.

**ნატაშა.** თევზს... ჰო შესაძლოა (დაფიქრდება).

**სვიბულსკი.** (უკრავს და დამდერს).

„ცვად ნუ მეტყვი— „მშვიდობით“,

ალერსით მითხარ— „ნახვამდის“ ...

და დამერწმუნე, ძვირფასო“...

ოჟ, რომ იცოდეთ, ამ რომანსმა რა დღე და-აყენა რამან ვლადიმიროვიჩს.

**ნატაშა.** რა მოხდა?

**სვიბულსკი.** ომ, ეს მთელი ისტორიაა (ადარ უკრავს).

ეს მოხდა ამ ხუთის წლის წინად. მაშინ ჩვენ ორნი ერთად ვმოღვაწეობდით და ჩვენს მოვალეობას მტკიცედ ვასრულებდით. ეს იყო მოსკოვში და მომეტებულად „სტრელნის“ ბაღში, თუმცა „იარსაც“ არას ვაკლებდით... იქ ბოშების დასში ერთი მომღერალი გოგო იყო— ლუშა. ამ რომანსს საოცრად მღეროდა. თითონაც საოცარი ქმნილება იყო. მისი თვალები—ზღვის უფსკრული. დიალ, და სწორედ ამ უფსკრულში კინაღამ ჩაირჩი ჩვენი საყვარელი გრაფი. ოთხი თვე არ მოშორებია. და

რავდენი დაახარჯა!..

ნატაშა. (წამოდგება და ცოტა გაბრაზებით) ეგ ხომ არავის-  
თვის საინტერესო არ არის.

სვიმუშსკი. (მიზედება) ოჰ, ბოლიშ ვიხდი... სრულიად,  
სრულიად არ მეგონა, თუ თქვენ გეწყინე-  
ბოდათ... მაპატიეთ, ღვთის გულისათვის.

ნატაშა. (თაფდაჭერით) მეწყინებოდა?.. სულაც არა. მე  
მხოლოდ მინდა ვიცოდე, აქ ეხლა, ჩემს  
ადგილს, სხვა ქალი რომ იყოს... მაგრამ თქვენ  
ვერ მიხვდებით... განაგრძეთ თქვენი სიმღე-  
რები.

სვიმუშსკი. (ხელს გაშლის, რავდენსამე ხანს დადის სცენის  
მარჯვნივ, მცენარეებს მოეფარება და წაფა).

## VII.

პოლინცევ. (თვალით ანიშნებს) თქვენ, მგონი, ამისთანა  
კაცები არ მოგწონთ?

ნატაშა: საცოდავია!.. თვით უბედურებაა, ლაშათიანად  
ჩაცმული!.. (კიცხვით) მაგრამ რამან ვლატი-  
როვიჩს, მგონი, უმაგისოდ ვერ გაუძლია...

პოლინცევ. ეჲ, ეგ წარსულის ძეგლია. გრაფის ადგილს  
რომ ვიყო, მაგას გრიმს გავუკეთებდი, წავ-  
თუთხნიდი როგორმე, თორემ ეხლა ყველის  
თვალში ეჩირება, როგორც ჯლაბნული წარ-  
წერა მშვენივრად მორთულ, მდიდარ მალა-  
ზიის შესავალზე.

ნატაშა. მაღაზიის როლს ვინათამაშობს? ნუთუ გრაფი?

**პოლინცევ.** მაცალეთ, მაცალეთ! ეგ რა ბძანეთ? და  
რა კილოთი... ჰმ... უნდა გამოვიკვლიოთ.  
გრაფი და დაცინვის კილო, თქვენს ბაგეთაგან  
გამოხატული... ეს ახალი ამბავია.

**ნატაშა.** (უფრო გაცხალებული) აქაც ხომ ყოველივე შშვე-  
ნივრად, არისტოკრატიულად არის მოწყობილ-  
შეფანდებული. მოხატულ-მოფერადებული კე-  
დლები, სურათები, მებელი, მდიდრული მო-  
რთულობა და თვით აქ მყოფნიც... დიალ,  
დიალ, განსაკუთრებით ეს ადამიანები... მათი  
ზრუნვა მხოლოდ ის არის, მათი სულის ძალა  
იმაზე იხარჯება, რომ ერთმანეთი არ შეაწუ-  
ხონ, ერთმანეთს ხელი. არაფერში არ შეუ-  
შალონ. ეს არას მათი ზნეობა, მათი კანონი,  
მათი სინიდისი.

**პოლინცევ.** ხოლო ერთი ვინმე მაგათ სიას უნდა გამო-  
აკლოთ.

**ნატაშა.** ვერც ერთს მაგისთანას ვერა ვხედავ.

**პოლინცევ.** როგორ? განა გრაფიც მაგათ სიაში მოჰყვა?

**ნატაშა.** (გაბრაზებით) ჰა, ჰა! გრაფი!.. ის უკეთესია?  
იმით ხომ არა, რომ სხვებს ისე უზომოდ არ  
უყვართ თავისი თავი, როგორც მაგას... რომ  
მაგას თავისი მყუდროება და სიამოვნება ყვე-  
ლას ურჩევნია? აბა მითხარით, თუ იცით,  
სხვაც უყვარს რამე? ჰა, ჰა! მითხარით!..

**პოლინცევ.** იცით რა, არ ვისურვებდი, რომ გრაფი ამ  
წუთს აქ იყოს!

**ნატაშა.** არც თუ მე ვინდომებდი... მისთვის.

(იჯთრსკი გამოჩნდება შშვენიერ თაიგულით).

VII.

**პოლინცევ.** (დაინახავს) ოპ, აგერ მოდის.. მაგრამ ხერხიც  
შოუგონია, რომ ოქვენ იარაღი აგყაროთ.

**თეორისკი.** ყვავილები შებრალებას გევედრებიან! (თაი-  
გულს მიართმევს) დეიდა ზინა შინ არ დამიხ-  
ვდა.

**ნატაშა.** (უფავილებს სინჯავს) ყვავილს არაოდეს უარი არ  
ეთქმის.

**თეორისკი.** მაშ მაპატიეთ? (ხელზე აკოცებს).

**პოლინცევ.** ჰმ!.. მე კი საშინელებას მოველოდი.

**ნატაშა.** იყო კიდეც. ვერა ნახეთ?

**თეორისკი.** შეც ეგრე შგონია. ნატალიძ ისეთის თვალით  
შემომხედა, რომ ქარიშხალზე საშინელი იყო.

**პოლინცევ.** გრაფ, მე თქვენ გიწვევთ წიგნთ-საცავში  
მოსალაპარაკებლად (უკან დაიწევს).

**ნატაშა.** ეჭრმო!

**პოლინცევ.** არ შემიძლიან, ეხლა გაცლა სჯობს (მიდის).

IX.

**ნატაშა.** (მხიარულად და ალერსიანად) მაინც-და-მაინც,  
კარგი კაცია, არა?

**თეორისკი.** რა მშვენიერი ჩარ! სახე გიბწყინავს, სიხა-  
რული გამოგვეივის! დილას კი შუბლ-შეკრუ-  
ლი იყავ. უნდა გითხრა, რომ მე თაყვან-ს-  
ჰქოებლი არა ფარ მაგგვარ სულის კვეთებისა.  
შენ დალვრემილი იყავი!

ნატაშა. ძალიან.

იუორსკი. ეხლა?

ნატაშა. ეხლა... ეხლა აღარ.

იუორსკი. (ალექსიანად მთებეგევა) სასიამოვნოა. მაგრამ მაინც მინდა, რომ არაოდეს მოწყენილი არიყო.

ნატაშა. რატომ?

იუორსკი. ოჲ, ისე... იმიტომ რომ მეც მაფიქრიანებს და მაწუხებს.

ნატაშა. და მყუდრობას გირლვევთ, რაც თქვენთვის მეტად ძვირფასია?

იუორსკი. დიალ, მართალია...

ნატაშა. მაშ არაოდეს მოწყენილი არ უნდა ვიყო, სულ უნდა ვიღიმებოდე, ვმხიარულობდე და ბეღნიერის სახე მქონდეს.

იუორსკი. და გიყვარდე, გიყვარდე, ნატაშა?

ნატაშა. მიყვარდე... ხოლო როგორ?

იუორსკი. ისე, უბრალოდ გიყვადე. აი, როგორც მე მიყვარხარ. როდესაც შენ გამიღიმებ, როცა ცქრიალა თვალებით დამაცქერდები, მაშინ კმაყოფილი ვარ, ბეღნიერი, ალტაცებული.

ნატაშა. და როცა ჩემი თვალი დაღვრემილებასა ხატავს, მაშინ გძულვარ.

იუორსკი. ოჲ, რას ამბობ, ნატაშა! განა შემიძლიან მოგიძულო?

ნატაშა. ჰო, იქნება, არ შეგეძლოთ. ეგ მეტის-მეტი იქნებოდა... არა მაშინ, თქვენ ჩემთან ყოფნა არ გინდათ.

იუორსკი. კმარა ნატაშა! მე რომ მიყვარხარ, ეჭვიც

ხომ არა გაქვს (ესვეგა). როცამე შენთანა ვარ,  
შენს ახლო, მაშინ უზომო ბედნიერებასა  
ვგრძნობ.

**ნატაშა.** (ცოტა მოშორდება) არა, არა, ეგ სიყვარული  
არ არის... ეგ ჩემდამი სიყვარული არ არის.  
თქვენ მხოლოდ თქვენი სიტკბოება გიყვართ.  
თქვენ ეძებთ ლიმილს, თქვენ ჩემში მხოლოდ  
სიყვარული გინდათ და საჭმე არა გაქვთ ჩემ  
სულთან, რომელიც ამ მდიდრულ სასახლეში  
უბედურია, მარტოდ-მარტო, დაობლებული  
(ცრემლებს იჰქენს). წადით, ჩქარა წადით აქე-  
დან, გრაფ, ვაი თუ ტირილი მომერიოს და  
თქვენ სიხარული დაგიჩრდილოთ.

**თუორსკი.** (ყინით) შენ ამ წუთს ისე მშვენიერი ხარ,  
რომ მაგ ცრემლებში ნახევარ სიცოცხლეს  
გავიღებდი.

**ნატაშა.** (ნერვებ-აშლილი) თქვენ შეგიძლიანთ ყველა-  
ფერს სიხარული გამოსწუროთ: სხვის სევდას,  
სხვის ტანჯვას! აპა, ინებეთ, დასტკბით ჩემის  
ცრემლით (ტირის).

**თუორსკი.** (შიგარდება და მოჟეკევა) ნატაშა, საყვარელო,  
ტურფავ! ნუ, ეგრე ნუ ხარ. შენ ვერ გაიგე,  
ვერ მიხვდი. მიყვარხარ მთლად, მიყვარს შენი  
სული და მინდა ისიც გავიცნო. მითხარ, რა  
გადარდებს, რა გაწუხებს? ნახავ, რომ ყვე-  
ლაფერს მოვხდები და გავიგებ.

**ნატაშა.** (თავს დაუშევებს იმის გულზე) შენ რომ გაგება  
შეგეძლოს!

იუორსკი. დამშვიდდი (დასხდებიან) გამენდე, მითხარ ყოველივე, არა დამიმალო-რა.

ნატაშა. მე დასამალი არა მაქვს-რა. მომისმინე... ვერ ვიტყვი, ვითომც უბედური ვარ... არა, მე ბედნიერი ვარ. ხოლო ჩემს ბედნიერებაში რაღაც არის გაუგებარი: თითქო გამარტოებული ვიყო, თითქო კედლით დამაშორეს იმ სიყვარულს, რომლითაც ქვეყანა სულდგმულობს. მაგრამ ამას რას ვამბობ... ვერ გამომიხატია ჩემი გრძნობა.

იუორსკი. (ცოტა ხუმრობით) ჰო, ხედავ, ვერ გამოგირკვევია. მე-კი მგონია, უმთავრესი მიზეზი სხვა რამ უნდა იყოს.

ნატაშა. ლიზ ცუდად მეპყრობა... რაღ? ყოველ დღე, ყოველ წუთს ველი, აი, ეხლა მაინც მოვამეთქი... ხომ უნდა მოვიდეს. უნახავი ხომ არ წავა, არ გამომეთხოვება?

იუორსკი. ოჳ, ლიზ... დიალ... რასაკვირველია... ის გამოგეთხოვება... როგორლაც ვერ ახერხებს-სულ ეგ იყო? გათავდა დაობლებულ სულის საჩივარი, თვალები კვალად გაბრწყინდებიან. მაშ რატომ არა ბრწყინავენ?

ნატაშა. მოგაწყინეთ განა!

იუორსკი. ო, სულაც არა. მე მზადა ვარ მარად გიყურო და დავსტკბე შენი საუბარით.

ნატაშა. მე უსაქმურობა მღალავს. არ მეტყობა, თუ ვცხოვრობ. ვგრძნობ, რომ ძალა მაქვს და ის მომწყვდებულია ჩემს სულში, როგორც ოქრო—ძუნწის სკივრებში. არა, თვით მეც ვერ

გამიგია ჩემი გრძნობა. იქნება, შენ დამეხმარო. იუორსკი. (ხურობით) ჰო, კარგი, კარგი. ჩვენ როდისმე სამაგისოთაც მოვისულით, პირობას გაძლევ... აბა, ნატაშა, მე რომ ყურადღებით ვისმინე შენი საჩივრები, ახლა ჯილდოს მოველი: ლიმილი! შენი კარგი ლიმილი, წმიდა, ულრუბლო, რომელიც ბედნიერებას მანიჭებს... ჯანდევნე თავიდან ყოველი აზრი, დაივიწყე ქვეყანაზე ყოველივე და დავსტკბეთ მხოლოდ ჩვენის გრძნობით! (ჟინით ეხვევა, ნატაშა წამთღებს) მოიცა, სად, სად მიხვალ? ჩემთან დარჩი! ნატაშა. არა, მომაგონდა, ეხლავ სხვაგან უნდა წავიდე. იუორსკი. (წულით) სად? რისთვის? რაღა იმ დროს, როცა შენთან ყოფნა მინდა?

ნატაშა. დილას ისეთი. წუთი იყო, რომ, მე მინდოდა თქვენთან ყოფნა.

იუორსკი. შენ ჯავრის ჩატანა გცოდნია. კარგი, მე დავაშვე. ნუ გადამიხდი... დარჩი, ნატაშა, ჩემო ძვირფასო! ჰა, გევედრები!

ნატაშა. არა, უნდა წავიდე... საქმეა... ნახევარ საათის შემდეგ აქ ვიქნები (მარცხენა კარისკენ შიდის).

იუორსკი. შენ კაპასიც ყოფილხარ.... შენ. გადახდა გცოდნია... დარჩი და...

ნატაშა. არა, მე გადახდა არ ვიცი... ვისწავლი-კი. მალე დავბრუნდები (გადის).

იუორსკი. (ბრაზით) ეს მართლა მოსაწყენია... (შემთდის ივანე) რა მოხდა?

ივან. იქ, თქვენობრწყინვალებავ, სტუდენტია, ბატონი ბაბროვი.

იუორსკი. სთხოვე!

ივან. ბატონი ბძანდებით (მიდის. მაჟე იშთლიტ შემთდის  
და უხერხულად თავს უკრავს.

## XI

იუორსკი. შ-რ ბაბროვ? ტიდად, დიდად მიხარიან. კარგა  
ხანია, მინდოდა თქვენი გაცნობა (ხელს უწვდის.  
იშთლიტ მთუხერხებლად ართმევს)

იპოლიტ. მე ჩემი დის სანახავად მოვედი...

იუორსკი. ის მალე მოვა. იმედი მაქვს ჩემთან დარჩე-  
ბით ცოტას ხანს?..

იპოლიტ. არა... მე... მაშ მერე (მოვალ თავს უკრავს და  
წასვლას პირადს).

იუორსკი. სად მიდიხართ? ჰო, მართლა..., ჩვენ მოსა-  
ლაპარაკებელი გვაქვს თარგმნის გამო. დიდი  
ხანია, მივიღე (მაგიდაზე წიგნს ეძებს), დაბძან-  
დით, ღვთის გულისათვის.

იპოლიტ: გმადლობთ, მაგრამ... მე წასვლა მირჩევნია...

იუორსკი. საკვირველია! თქვენ ისე გამოიყურებით,  
თითქო ჩემთან ყოფნა არა გსურთ...

იპოლიტ. არც თუ სულ ეგრეა.

იუორსკი. აა, თუ სულ არა, მაშ სანუგეშოა. მაგრამ  
რა მოხდა?

იპოლიტ. მე აქ გარკვეულის აზრით მოვედი და, აი,  
ერთბაშად სულ გაიფანტა.

იუორსკი. მაპატიეთ... მე არ მესმის...

იპოლიტ. ეს მოწყობილობა როგორლაც მჩაგრავს. ასე  
მგონია, ფეხს სწორედ ვერ ვაღგამ, ხელი ისე არ

მიჭირავს, სერთუკი უკულმა მაცვია, როგორც  
ჩიტი-რეკიას, ჩემი ხმაც-კი თითქმ ყურსა.  
მჭრის... ეს ხომ სისულელეა. რავდენიმე  
ოთახი გამოვიარე და ასე მეგონა, აი, ჩემის  
ფეხის გადაღგმით შეკუცევიან, ჭალები  
და სურათები ჩამოცვივიან...

**იუორსკი.** დამშვიდდით და გულახდილად მითხარით,  
დალაგებით, რის თქმაც გინდათ.

**იპოლიტ.** არა, ეხლა სასაცილო იქნება.

**იუორსკი.** (გავეირევებული) ჰო? მაშ როგორც გნებავთ...  
მერო იყოს... მართლა, აი წიგნი (გადაშლის)  
ხოლო აქ თქვენი თარგმანი არა სჩანს. ხომ  
არ დამეკარგა... მაგრამ სულ ერთია, ჩვენ ისეც  
შეგვიძლიან ვიანგარიშოთ. არა?

**იპოლიტ.** მაპატიეთ, გრაფ, ჩვენ საანგარიშო არა გვაქვს-  
რა. მე არ მითარგმნია?

**იუორსკი.** რატომ? დრო არა გქონდათ?

**იპოლიტ.** არა. ნახევრად კიდეც გადავთარგმნე. მაგრამ  
შემდეგ, რო გავიგე, როცა შევიტყე... ერ-  
თის სიტყვით... მაშინვე დაგიბრუნეთ წიგნი...  
მგონი, მიხვდებით... მე ხომ ძმა ვარ ჩემის  
დისა...

**იუორსკი.** (მაგიდაზე დასდებს წიგნს, შებლს შეიკრავს და  
ციფად) დიალ. თუ თქვენ მაგ შეხედულობისა  
ხართ, რასაკვირველია. მაშ, იქნება, გნებავთ,  
პასუხი მომთხოვოთ?

**იპოლიტ.** რა პასუხი! ისეც ყოველივე ცხადია. ჩვეულე-  
ბრივი ამბავი მოხდა, რაც თითქმის ყოველ  
დღე ხდება. ძველ მოთხრობის დასაწყისია,

კარამზინის „უბელურ ლიზას“ შინაგვარი. აქ  
სალაპარაკოც არა არის-რა.

**იუორსკი.** (გაბრაზებითა და აშაჟად) მაშ თუ ეგრეა...  
კარგი... იქნება, ხმალში მიწვევთ?

**იპოლიტ.** მე იარაღის ხმარება არ ვიცი და, რო მომ-  
კლათ კიდეც, მაგით თქვენს სიმარდეს დაამ-  
ტკიცებთ და არა სიმართლეს.

**იუორსკი.** (ძალიან გაჯავრებული) დამეთანხმეთ, რომ  
უხერხულ მდგომარეობაში მაყენებთ.

**იპოლიტ.** ჩემ მოსვლამდეც მაგ მდგომარეობაში უნდა  
ყოფილიყავით, გრაფ. მე ხომ არა შევცვალე-  
რა.

**იუორსკი.** (გაცხარებული) მაშ რა ბრალსა მდებთ? გამა-  
გებინეთ. ეს აუტანელია!

**იპოლიტ.** ხომ არ გეგონათ, გრაფ, რომ სამადლობელი  
ადრესი უნდა მომერთმია ჩემის დედა — ნათე-  
სავების სახლით!.. ეჭ, მართლა ისე არა  
ვლაპარაკობ, როგორც რიგია. გამოტეხილი  
გითხრათ, აქ რო მოვდიოდი, შეურაცხყოფა  
უნდა მომეყენებინა .. აქ-კი უმნიშვნელო  
სიტყვებსა ვხარჯავ... უმჯობესია, გავბრუნდე  
და წავიდე... (წასვლას აჰირობს):

**იუორსკი.** მოითმინეთ. ეგრე წასვლა არ შეიძლება.  
იქნება, მართლაც, დამნაშავე ვარ. ხოლო  
თქვენ, არ უნდა წახვიდეთ. მაგით ნატაშას  
აწყევინებთ... უნდა ინახულოთ. მე მხოლოდ  
ერთისა მეშინიან, ვაი თუ დაც არ დაინდოთ  
და სასტიკად გაჰკიცხოთ.

**იპოლიტ.** დახ? საკვირველია, რომ მაგას თქვენ ამბობთ!

რისთვის უნდა გავკიცხო ჩემი დად! რომ ის-  
გამოუცდელია, ყველას ენდობა? ეს ხომ ისე-  
თი თვისებაა, რომ დანაშაულობა სხვას უნდა-  
ედებოდეს და არა იმას. არა, მე არავითარი-  
უფლება არა მაქვს, ჩემს დას მცირედაც-კი-  
ვუსაყველრო.

**იუორსკი.** ეგ კი მოსაწონია. ხოლო, მგონია, ჩვენც შე-  
საფერ ნიადაგს ვიპოვით, რომელიც მშვიდო-  
ბიანობას დაამყარებს ჩვენ შორის.

**იპოლიტ.** არა მგონია, გრაფ. მე პირდაპირ გიცხადებთ,  
რომ მე ჩემი თავი თქვენს მტრად დამისახავს  
და ისეც ვიმოქმედებ, როგორც თქვენი მტე-  
რის.

**იუორსკი.** მერე, მტრობამ რაში უნდა იჩინოს თავი?

**იპოლიტ.** არც ერთ შემთხვევას ისე არ ჩაგატარებ; რომ-  
ნატაშას თქვენ წინააღმდეგ არ ველაპარაკო,  
და ვეცდები, ვურჩევ, თქვენი სახლი მია-  
ტოვოს.

**იუორსკი.** ეგრეა საქმე? მაშ უნდა ვძლარაჯო. (შიგნით  
იუურება) ა, აგერ ნატაშაც დაბრუნებულია-  
ხედავთ, რა მალე! (შიდის და ნატაშას ხელზე  
აკოცებს) შენ ეხლა საამურად გაოცდები! (ში-  
ჭეავს ავანსცენაზე) ნახე, ვინ გესტუმრა! (იპოლი-  
ტეს უჩვენებს).

## XII

**ნატაშა.** (ჩქარა შოტრიალდება) იპოლიტ? (გახარებუ-  
ლი გაექნება და ორთავ ხელს ჩამოართმევს)

ძალიან, ძალიან გამახარე, რომ მნახე! აქედ  
მოდი... გრაფ. ეხლა ჩემთვის აღარ არსებობთ  
(იპოლიტებს ხელსა ჭყიდებს და აფანსცენაზე მის  
ჭუავს შარცხნიდეს).

**თუორსკი.** პო, კარგი, მე მაინც ეჭიმი მელოდება...  
(გადის).

### XIII

**ნატაშა.** იპოლიტ! (დასყაჩს და დაჯდება) აბა, მითხარ,  
იქ, თქვენსა, რა ამბავია. როგორ არიან, რას  
აკეთებენ? ეს სულ სიზმარი მგონია.

**იპოლიტ.** დედა სასოწარკვეთილებას მიეცა და, როცა  
გაიგო, რომ აქა ხარ...

**ნატაშა.** დამშვიდდა?

**იპოლიტ.** არა, პირიქით...

**ნატაშა.** რად? რა დაემართა?

**იპოლიტ.** (უფეხანით) ისე... მოულოდნელი იყო.

**ნატაშა.** როგორ გაიგეთ, რომ აქა ვარ?

**იპოლიტ.** მივხვდით. მერე, ხომ იცი, კლეოპატრას ბევ-  
რი ნაცნობები ჰყავს—მეგასალებე, მოახლე  
და ლაქიები. იმან შეგვატყობინა.

**ნატაშა.** მერე, რა სთქვით?

**იპოლიტ.** აბა, რა გითხრა! პირველად სულ თავზარი  
რაგვეცა, არ ვიცოდით, რა გვექნა. მეტად  
მოულოდნელი იყო. მერე მოველაპარაკეთ  
ჩვენს მარჩიელ-ორაკულს, ნარკიზ გავრილო-  
ვის, და ეხლა დედას შენი ნახვა უნდა და  
გრაფსაც უნდა მოელაპარაკოს.

ნატაშა. გრაფს? იმასთან სალაპარაკო რა აქვს?

იპოლიტ. არ ვიცი. იმათვან ხომ ვერას გაიგებ. მე დიდ-ხანს ვეწინააღმდეგებოდი და, რომ ვერა-გავაწყე-რა, თავი მივანებე. . .

ნატაშა. შენ ჩემს მხარეს იჭერდი, განა?

იპოლიტ. დიალ. შენ ნება გაქვს ისე იცხოვრო, რო-გორც მოგწონს. მაგრამ შენი გემოვნება მე-არ მომწონს, ნატაშა.

ნატაშა. გატყობ და მიზეზიც გამაგებინე.

იპოლიტ. შემიძლიან მაგაზე აცდა-ოთხ საათს გელა-პარაკო განუწყვეტლივ, მაგრამ აქ... აქ რო-გორლაც არ მქერხება... აქ შებოჯილი ვარ.

ნატაშა. არა, სთქვი, სთქვი! მინდა გავიგო.

იპოლიტ. ბევრის თქმა მინდა, მაგრამ უწინარეს ერთს გეტყვი: თუმცა აქ ფუფუნებაში ხარ, მაგრამ ბეღნიერ აღამიანად არ გამოიყურები.

ნატაშა. (ჩაფიქრდება) ეგრე გვინდა?

იპოლიტ. დიალ. კარგი ცხოვრება-კი გაქვს, ეს ნამდვი-ლია. მაგრამ შენი კეთილი ცხოვრება სხვის გრძნობაზეა დამყურებული — შენ. უყვარხარ და კარგი გამყოფებენ. შენი ბეღი შენ ხელთ არ არის, არამედ სხვის ხელშია... თუ აღარ ეყვარები, უთუოდ დაიღუპები, რაღან შენ საკუთარი პიროვნება არა გაქვს... არა გაქვს ბრძოლით მოპოებული და დაპყრობილი ადგილი... გაიგე, რაც გითხარი?

ნატაშა. ჰო, ჰო, გავიგე.. ვიბრძოლო... თვით მე გავი-კვლიო გზა... დამოუკიდებელი აღამიანი შევი-

ქნე... მაგრამ ამას ოოგორ მოახერხებს ის,  
ვისაც არა შეუძლიან-რა? საშინელებაა!..

**იპოლიტ.** ოჰ, ნატაშა, მერწმუნე ისე ძნელი არ არის,  
ოოგორც გვინია. შიში ცხოვრების წინაშე  
მხდალ და სუსტ აღამიანებმა მოიგონეს. იმის-  
თვის-კი, ვინც ნამდვილად იბრძვის, ეს სიტყვა არ  
არსებობს!.. ის ვერ იტყვის: არ „შემიძლიან“.  
არის მხოლოდ ერთი: „მე მინდა, მინდა!“ (გამო-  
ჩნდებიან იურისკი და პოლინცევა, რომელებიც დაბლა  
ლაშარაკობენ. იპოლიტ დაინახავს და წამოდგება)  
ესე, ამჟამად ჩვენი ლაპარაკი შესწყდა...

**ნატაშა.** მიღიხარ? მე-კი მინდოდა დიდხანს, დიდხანს  
მელაპარაკნა შენთან...

**იპოლიტ.** კვლავ, ნატაშა, მშვიდობით (ხელს ჩამოართმევა  
და წავა. იურისკისა და პოლინცევის რომ გაუვლის,  
ციფად თავს დაუკრავს. იურისკი და პოლინცევი  
გამოდიან.).

## XIV.

**პოლინცევ.** ოოგორ არა გრცხვენიათ, ნატალია პეტრო-  
ვნა, ომ თქვენი ძმა არ გამაცანით.

**ნატაშა.** მაპატიეთ... ეჩქარებოდა.

## XV.

(გამოჩნდება სვიბულსკი).

**სვიბულსკი.** (შროიდან) აქა ყოფილხარ, რამან? მე-კი  
დაგეხებ.

სუორსკი. რაში დაგჭირდი?

სვიბულსკი. იცი რა... Pardon, ექიმო... Pardon, ნატალია  
ჰეტროვნა! (იურსკის განზე გაიყვანს) დღეს  
პაწაწინა ვექსილი წარადგინეს... სულ უბრალო  
რამეა... J'espere, mon ami...

სუორსკი. ბა, ეს მიშელია! რასაკვირველია, შეიძლება.  
მიშელ!

(სვიბულსკი შემთდის).

## XVI.

სბრუევ. Bon Jour... (მიგა ნატაშასთან და ხელზე აკლცებს).

იუორსკი. (სბრუევს) მარტო ხარ?

სბრუევ. არა, ლიზიც აქ არის... შენ კაბინეტში  
გელის.

ნატაშა. (აღელვებული) ლიზ კაბინეტშია? რატომ აქარ მოვა?

სბრუევ. ისე, ვითომ... მერწმუნეთ, არ ვიცი. დედა-  
კაცის სულიო... C'est un mystère... vous  
savez...

ნატაშა. მე მგონია, თუ ლიზს ჩემს წინააღმდეგ აქვს  
რამე, შეუძლიან პირდაპირ მითხრას.

იუორსკი. აბა რა სისულელეა! ლიზს რა უნდა ჰქონდეს  
შენს წინააღმდეგ. იმას ჩემთან ექნება საქმე და  
აქ, ხალხში, ვერ უთქვაშს. ბატონებო, მაპა-  
ტიეთ ხუთის წუთით ..

სვიბულსკი. თუნდა ათით... ხოლო... (ახლა მიგა) N'oublie  
pas que c'est pour moi une question d'honneur!..

პოლინცევ. (სვიბულსკის) შეგიძლიანთ არ განაგრძოთ,  
ისეც გავიგეთ...

**იუორსკი.** კაბინეტში მოდი, არყადი, მერე... (მიღის) სვიბულსკი. Mersi!

## XVII.

**ნატაშა.** (ნეფრებაშვილი) რას გაჩუმდით, ბატონებო? თუ ჩემთან მოგწყინდათ, შეგიძლიანთ სხვა საზოგადოება მონახოთ.

**სბრუევ.** რა ბძანებაა? მოწყენას რა ხელი აქვს მომხიბლავ არსებასთან? ეგ ხომ მძიმე დანაშაული იქნებოდა, რომლისთვისაც სისხლის ჭამართალში მიგვცემენ.

**ნატაშა.** ძალიან სამწუხაროა, რომ უშვერ სიტყვების გამოც არ აძლევენ სისხლის სამართალში.

**სბრუევ.** ეჰე? გამოტეხილი მოგახსენოთ, არ მოველოდი!.. მაშკაბინეტში შევივლი. Abieu! (მიღის).

## XVIII

**ნატაშა.** მიკვირს; სხვები როგორ ითქვენენ ისეთ ადამიანის სიახლოვეს, რომლის შეხებაც — კი საზიზღარია...

**სვიბულსკი.** ა, აქ ნერვების ქარიშხალის ნიშანია... ჰაერს ჭექა-ჭუხილის სუნი ასდის. თავს უნდა ვუშველო. ნახვამდის, ნატალია, პეტროვნა! მშვიდობით, ექიმო (თავს უგრავს).

**პოლინცევ.** ვშიშობ, ვაი თუ კაბინეტში გავლა დაგავიწყდეთ.

**სვიბულსკი.** Jamais de ma vie! მაგისტანა რამე ჩემს დღეში არ დამვიწყებია (მიღის)..

## XIX

**პოლინცევ.** (ნატაშასთან შევა, რომელიც დაფურუმილია, და  
ხელს დაუჭირს) რაო, საბრალო ჩიტუნია? მთელი  
დილა მხიარულათ იჭიკვიქეთ და უეცრად ხმა  
ჩაგიწყდათ? ნერვებია განა?

**ნატაშა.** ექიმო, ტირილის გუნებაზე ვარ.

**პოლინცევ.** იტირეთ, იტირეთ, ჩემო კარგო, გარგებთ  
მაგრამ რა იყო, რა მოხდა?

**ნატაშა.** ლიზ ცივად რად მეპყრობა? ინსტიტუტში  
ჩვენ ორნი განუშორებლნი ვიყავით, ეხლა-კი  
ერთი წამიც ვერ მოუხელებია, რომ მნახოს.  
ამას შემდეგ მეგობრობა სანდოა?

**პოლინცევ.** აი, ეხლავ დასკვნაც მიაყოლეთ ოჯ, ოჯ,  
ოჯ! პაწაწა თავი გაქვთ, მაგრამ ჰკუით სავსე,  
თუმცა მაინც ქალის თავია (საჩქაროდ იუთო-  
სეი შემთდის).

## XX

**იუორსკი.** აი, ხომ ხედავ, ნატალი, შენ ტყუილად ენ-  
დურებოდი ლიზს. იმას მხოლოთ საქმე ჰქონ-  
და ჩემთან, ეგლა-კი შენთან მოვა.

**ნატაშა.** (ცოცხლად) ჰო? მართლა?

**იუორსკი.** მართლა, მაგრამ ძალიან-კი ეჩქარება. დიდ-  
ხანს ნუ დაიჭირ. ხომ იცი, დღეს სწრაფ მა-  
ტარებლით მიდის. ათიოდ ადგილს აქვს კი-

დევ გასავლელი აი, მოღის კიდეც...  
მაშ, ნატალი, აპატიეთ, ყოველი წუთი ეხლა  
ძვირად უღირს.

(შემოდის ეჭიზავეტა ვლადიმიროვნა. მარცხნივ. უპან  
სბრუევი მოსდევს).

## XXI

ნატაშა. (მისკენ გაიწევს) ლიზ!

ელიზავეტა. (გარს ცოტად გამოსცდება) გამარჯობა, ნატა-  
ლი! (ნელა მივა და სელს ჩამოართშევს).

ნატაშა. (გაცემებით უუურებს და გაუბედავად სელს აძლევს.  
დაბალის ხმით) გამარჯობა..

ელიზავეტა. ბოდიშს ვიხდი, ნატალი. მცირეს ზანს  
მოვედი, რომ გამოგეთხოვო და ხელი ჩამო-  
გართვა. დღეს დიდიდედასთან მივღივარ ტვერს  
და ძალიან ვჩქარობ.

ნატაშა. (წინანდებულად) ეგ გრაფმაც მითხრა...

ელიზავეტა. ჰო? მაშ ეგრე... ნახვამდის, ნატალი...  
(სელს უწოდებს).

ნატაშა. (არც უუურებს და არც სელს აძლევს) ნახვამდის...

ელიზავეტა. (კარისკენ მიდის).

იუორსკი. მიდიხარ, ლიზ?

ელიზავეტა. ღიაღ. საღვურზე მნახავთ (შოლინცევს ოდნავ  
თავს უკრავს და მიდის. სბრუევი შინდევს. სიჩუმეა):

პოლინცევა. (საათს იღებს). ეჭ, საუზმემდე ერთი ვიზიტი  
ეაინც. მოვასწრო (შლიაპას იღებს. იუორ-  
სკის თავს უკრავს და მიდის).

XXII

**თუორსკი.** იმედი მაქვს, ნატალი, შენ წინააღმდეგი არა  
ხარ, რომ ექიმი საუზმეზე მოვიპატიუე. (სიჩუ-  
მეა, სცენაზე დადის) შენმა ძმამ კარგი შთაბე-  
ჭდილება მოახდინა ჩემზე. დიდი ორიგინალი  
უნდა იყოს, არა? (სიჩუმეა) იმედი მაქვს,  
მალიმალ გამოგივლის. შენ წომ გინდა?

**ნატაშა.** (თითქმის ტირის). მე მინდა, რომ ყველამ,  
ყველამ თავი დამანებოთ. და მარტოდ-მარტო  
ვიყო დედამიწაზე... (ტირის).

**თუორსკი.** (მივარდება) კარგი, ნატალი... შენ აზვიადებ.  
ლიზს თავის შეხედულობა აქვს. ჩვენ რა გვე-  
საქმება!

**ნატაშა.** (ეჭვით). რა შეხედულობა?

**თუორსკი.** აბა, მე რა ვიცი... მე საერთოდ ვამბობ.

**ნატაშა.** (ბძანებით). მე გთხოვთ — გამაგებინოთ! ეგრე  
სიტყვების სროლა შეუძლებელია, გრაფ!

**თუორსკი.** ოჯ, ღმერთო ჩემო, განა არ არის ისეთი სა-  
განი, რომელსაც ყველა ძალიან კარგად ხე-  
დავს, მაგრამ თავს კი არიდებს.

**ნატაშა.** ეგ რაღაც გაუგებარია.

**თუორსკი.** ამაზე ცხადად ლაპარაკი მე არ შემიძლიან.

**ნატაშა.** (მკაფრად და ზიზღით) დიალ, მართალია... იმი-  
ტომ რომ თქვენ ყველანი იმას არ ამბობთ,  
რასაც ჰყიქრობთ. თქვენი უაღრესი ხარისხი  
გავალებთ, თქვენი გრძნობა დაჩქმალოთ. მე  
ეგ არ შემიძლიან. მე ლიზ ძალიან მიყვარ-  
და... მის ნახვას ვნატრობდა... ეხლა-კი

მძულს... გესმით? ის მე მეჯავრება! ეგრე უთ-  
ხარით... მაგრამ არა, თქვენ ვერ ეტყვით-  
თქვენ ფაქიზ სიტყვებს შეურჩევთ... ოკ, რა  
რიგ მინდა გავაგებინო, რომ იმანჩემი გრძნო-  
ბა სრულიად შესცვალა.

**იუორსკი.** რას ემართლები, ნატალი...

**ნატაშა.** მაშ გამაგებინეთ, დამარწმუნეთ ცხადის სიტვე-  
ბით!..

**იუორსკი.** როგორ ვერ მიმხვდარხარ, რომ მაგაების  
ახსნა სამძიმოა და შემაწუხებელი.

**ნატაშა.** ჩემთვის შეიწუხეთ თავი! მართლა ისე ხომ არ  
შეიძლება, რომ ყველა ტვირთი მუდამ მსუბუქი-  
სატარებელი და სასიამოვნო იყოს...

**იუორსკი.** შენ კარგა იცი, რომ ლიზ გულკეთილი ქა-  
ლია, მაგრამ ის მაღალ საზოგადოებას ეკუთ-  
ვნის. ის შვილია იმ საზოგადოებისა და ამი-  
ტომ ძალა-უნებურად უნდა ფთხილობდეს  
და თავდაჭერილი იყოს...

**ნატაშა.** თქვენ?.. თქვენც ხომ შვილი ხართ იმ საზო-  
გადოებისა?

**იუორსკი.** მე სულ სხვა თვალით ვუყურებ ცხოვრებას-  
ლიზის გარემოება-კი სხვანაირია. და არ შე-  
მიძლიან მეც არ დავეთანხმო. ლიზ დანიშ-  
ნულია: მისი საქმრო მაღალ საზოგადოების  
წევრია და შეუმჩნეველი არაოდეს არა რჩება-  
დანარჩენს შენ თითონ მიხვდები..

**ნატაშა.** ჰო, ეხლა-კი ვიცი, ყველაფერი ვიცი!

**იუორსკი.** ცხოვრებას ბევრი რამ როდი უნდა მოსთხოვო,  
ჩემო მეგობარო, და უბრალო რამეც როდი

უნდა გააზვადაო. აბა, გამოიდარე, ნატალი! (ხელს დაუჭირს).

**ნატაშა.** (ხელს წაართმევს) არა, თავი დამანებეთ...

**თუორსკი.** ოპ, რა მოსაწყენია! (იფანე შემოვა).

**თვან.** იქ ქალბატონი ბაბროვა არის და მასთან ერთი ბატონი.

**თუორსკი.** იმედი მაქვს, ნატალი, დამშვიდლები: ისინი უნდა მივიღო.

**ნატაშა.** (პარზე ხელს იფარებს) არა, არა, მე არავის ნახვა არ მინდა! ეხლა კარგა ვერავის დავუხვდები. თუ ღმერთი გწამთ, მომაშორეთ როგორმე (საჩქარდ მიდის მარჯვნივ).

**თუორსკი.** (მისძახებს) მაშ მე უნდა მივიღო. ივან, სთხოვე მობძანდნენ (იფანე წაჟა. იურისკი აშვოთებული თმას იბუსძგნის) ოპ, სწორედ ის მოხდა, რასაც ჩემს სიცოცხლეში ყოველთვის ვერიდებოდი. ჩემი თავისუფლება, თავისუფლება! (შემთდიან ტატიანა ვლასევნა და სედობის).

### XXIII.

**თუორსკი.** გთხოვთ!.. ნატალია პეტროვნა ბოდიშს იხდის, ცოტა უქეიფოდ არის. დაბძანდით, გთხოვთ! (ტატიანა ვლასევნა და სედობინ დასხედიან) ყველაფერს გადავცემ ნატალია პეტროვნას, რასაც მიბძანებთ.

**ტატიანა.** (ტირის) აბა, რაღა უნდა ვთქვა? სათქმელიც არა არის-რა... ყოველივე ისე მოხდა, რომ ჩემ მტერსაც აშოროს ღმერთმა..

**სედობინ.** უნდა მოგახსენოთ, გრაფ, მე ნატალია პეტროვნას მზრუნველი ვარ. ამიტომ მოვალეობა

მაბედვინებს გკითხოთ: რა სახელით არის  
ნატალია პეტროვნა თქვენს სისხლში? სწავ-  
არაფერი.

იუორსკი. თქვენი კითხვა კარგა ვერ გამიგია:

სედობინ. აქ გაუგებარი რა არის? ოჯახში რომ სცხო-  
რობდეს, ვთქვათ, ბავშვებთან, ანუ სხვა თანა-  
მდებობით, მაშინ სახელი რამ ექნებოდა-  
და რადგან თქვენ, გრაფ, უცოლშვილო ბძან-  
დებით, აქ სულ სხვა საქმე გამოდის.

იუორსკი. მაგით რა უნდა სთქვათ!

სედობინ. არაფერი ჩვეულებრივი საქმეა, და ნატალია-  
პეტროვნა თვითონ არის დამნაშავე. თქვენ  
ხომ არ მისულხართ იმასთან, ის თავის ფეხით  
მოვიდა თქვენთან... მაგრამ, გრაფ, ამისთანა-  
შემთხვევაში სულ სხვა ნაირად უნდა მოიქცეს  
რიგიანი კაცი.

იუორსკი. როგორ?

სედობინ. აი, როგორ? უნდა აგელოთ და ისევ თავის-  
შობლის სახლში მიგეყვანათ.

იუორსკი. სადაც სტანჯავდნენ, აწვალებდნენ!

ტატიანა. ოჟ, ღმერთო ჩემო, ვინ სტანჯავდა, ვინ აწვა-  
ლებდა?

სედობინ. საქმე მანდ არ არის, სტანჯავდნენ თუ აწა-  
მებდნენ. ეგ საშინაო, საოჯახო საქმეა. აშ-  
შემთხვევაში-კი, ბოდიშს ვიხდი, გრაფ, გასა-  
თხოვარ ქალის გაჭირებით ყველა არ ისარ-  
გებლებდა.

იუორსკი. როგორ თუ ისარგებლებდა?

სედობინ. ისე, მაპატიეთ... როგორც თქვენ...

**ტატიანა.** ნარკიზ გავრილოვიჩ... ეგეთი ლაპარაკი რო-  
გორ შეიძლება?

**სედობინ.** მე კარგად მესმის, რასაც ვამბობ.

**იუორსკი.** (წამოდგება) სამწუხაროდ, ეს ლაპარაკი უნდა  
შევწყვიტო.

**სედობინ.** (აღგება) სხვანაირად ლაპარაკი არც შეიძლება.

**იუორსკი.** (გაჯავრებით) მაშ მითხარით, თუ ლმერთი  
გწამთ, რისთვის გარჯილხართ?

**სედობინ.** მოსვლის მიზეზი აღვილი მისახვედრია. ნატა-  
ლია პეტროვნა, თუმცა ლარიბია, მაგრამ  
კეთილშობილ ოჯახის ქალია. მისი მამა  
ჩინოსანი იყო.. როგორც მოგეხსენებათ, ქალი  
ინსტიტუტში აღიზარდა ხაზინის ხარჯით.  
მაჟასადამე, ის არაფრით სხვაზე ნაკლები არ  
არის. რასაკვირველია, თქვენ მაღალ საზოგა-  
დებას ეკუთვნით, ხოლო, რადგან. თავი უკვე  
დაიმდაბლეთ და მასთან გათანაბრება იყადრეთ,  
ეხლა ისე უნდა მოეპყრათ, როგორც კეთილ-  
შობილ გასათხოვარ ქალს.

**იუორსკი.** (გაბრაზებით) ეს ჩვენ ორს შეგვეხება და სხვა  
არავის.

**ტატიანა.** ნუ გავიწყდებათ, გრაფ, რომ მე დედა ვარ...

**იუორსკი.** დიალ, კარგა მახსოვს: დედა, რომელსაც  
შვილი გამოექცა.

**სედობინ.** მას შემდეგ, გრაფ, როდესაც თქვენ გნა-  
ხათ, — ესეც არ დაივიწყოთ.

**იუორსკი.** რაო? ეგ რაღა მოსატანია?

**სედობინ.** მგონი, ცხადია. ვიღრე თქვენ გნახავდათ,  
შინ სცხოვრობდა. ავად იყო თუ კარგად, მა-

ინც სცხოვრობდა. და რაწამს თქვენ დაგინახათ, მაშინვე თქვენი გზა მონახა... ამას ჰქვიან, გრაფ...

**იუორსკი:** რა ჰქვიან?

**ტატიანა.** გაჩუმდით, ნარკიზ გავრიღლოვიჩ. ისეთ რამეს წამოროშავთ. რომ... ღმერთმა გვაშოროს!

**სედობინ.** არა, მე. სრულ ჰეშმარიტებას ვიტყვი. მაგას ჰქვიან გასათხოვარ ქალის გამოტყუილება და გაუბატიურება, თქვენო ბრწყინვალებავ... ახლა კი ჩვენ აქ საქმე აღარა გვაქვს. წავიდეთ, ტატიანა ვლასევნა! (იუორსკი გაშტერებულია) მის ბრწყინვალებას, ეტყობა, არ მოეხსენება, რომ უკადრისი საქციელი ყოველთვის დაუსჯელად არ ჩაივლის. მშვიდობით! (ტატიანა ვლასევნას ხელს უჭირს).

**ტატიანა.** (ხმა-ჩამწუდარი) მშვიდობით, გრაფ! (დრივენი გავვლენ).

**იუორსკი.** (მეშტებს იქნებს) ეს მუქარაა! სისაძაგლეს მწამებენ! ეს რასა ჰგავს? ეგრე ხომ ყველა დამნაშავედ იქნება ცნობილი... (აწეარუნებს. იგანეშემოგა).

## XXIV

**ივან.** რას მიბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალებავ?

**იუორსკი.** სთხოვე, ეხლავ აქ მობრძანდეს... მაგრამ... არა, არაფერი... წადი!..

**ივან.** ბატონი ბძანდებით (მიღის).

(იუორსკი აღელვებული დადის).

(შემოდის პოლინცევა)

## XXV

პოლინცევ. რა ამბავია? თქვენც ნერვები აგშლიათ?  
ოჲ, დღეს საუცხოვო პრაქტიკა მაქვს! ნათე-  
სავები გეწვივნენ?

იუორსკი. ოჲ, ისეთი ჭუჭყი, ისეთი ჭუჭყი...

პოლინცევ. რა სათქმელია! ეტყობა, თქვენ ერთმანე-  
თისა ვერა გაგიგიათ-რა, რადგან სხვადასხვა  
ჯურისა და ჯგუფისანი ხართ...

იუორსკი. აქ ჯგუფი რა მოსატანია?.. ნება მომეტით  
გკითხოთ: განა თქვენს საზოგადოებაში კაცი  
გაურბის იმ ქალს, რომელიც მოსწონს? მე  
მგონია, ყველა საზოგადოებაში ერთგვარად  
უნდა იყოს...

პოლინცევ. ჩვენს საზოგადოებაში, გრაფ, როცა კაცს  
ქალის დაახლოვება უნდა, ჯერ იქორწინებს.

იუორსკი. განა იქ კი გატაცება და თავდაუჭერელი ნა-  
ბიჯი შეუძლებელია?

პოლინცევ. არა, ეგეც იშვიათი არ არის. მაგრამ ეგ  
უბედურებად მიაჩნიათ და ჩქარობენ — ქორწი-  
ნებით დაპფარონ. შეცდომა, თუ რომ პატიო-  
სან კაცის სახელის ტარება უნდათ... ხანდისხან,  
მართალია, ქორწინება არ ხერხდება, მაგრამ  
საზოგადოება ამისთანა საქციელს ჰკიცხავს.

იუორსკი. ქორწინება!.. თქვენ ისე ადვილად ამბობთ,  
თითქმ ეს მთელ სიცოცხლეს არ შეეხებოდეს.

პოლინცევ. მთელ სიცოცხლეს! უჲ, რა ძვირფასი რა-  
მეა თქვენი და ჩემი სიცოცხლე! გავკალნიერ-  
დები და ერთ რამეს გკითხავთ: ნატალია პე-  
ტროვნა გიყვარო?

**იუორსკი.** მგონი... განა შესაძლოა არ მიყვარდეს? ის  
ისე კეკლუცია...

**პოლინცევ.** ჰო, კეკლუცია! სხვა არაფერი?

**იუორსკი.** ოჲ, რაც უნდა იყოს, ისე ჭიუას ვერ-  
დამაკარგვინებს, რომ დედაკაცს ფეხქვეშ გა-  
ვეშალო. თუ მაგისთანა ნიჭი ღცის წლის ჭაბუკა-  
არა მქონდა, ეხლა ხომ სასაცილოდაც არა-  
კმარა... მაგრამ ამჟამად ისე ამეშალა ნერვე-  
ბი, რომ მსჯელობამაც მიღალატა.

**პოლინცევ.** მაშ, აი, რა: ისე მაინც დამემორჩილეთ, რო-  
გორც ავალმყოფი ექიმს. მოდით, საუზმის წინ  
ცოტა გავისეირნოთ ზღვის პირს. სეირნობა-  
მადასაც მოგვირით და ნერვებსაც დაგიმშვი-  
დებთ.

**იუორსკი.** Mersi, ექიმო! ეგ მართალია. მე სუფთა ჰა-  
რი მარგებს. რა საშინელებაა, როდესაც ერ-  
თბაშად ამდონი ძალ-ლონე გეხარჯება! მთლად  
აგებულება შემერყა, მომეშალა. (ორიგენი-  
შიდიან მარცხნივ).

## XXVI

(შემთდიან მარჯვნივ ნატაშა, ჭანსკაია და სტიორა).

**ნატაშა.** ეგრე მალე რად მიღიხარ, მაშა? დარჩი კიდევ,  
ძალიან მინდა, აქ იყო...

**ლანსკაია.** არა მცალიან, ნატაშა... კარასოვი გამომივ-  
ლის და ერთად უნდა წავიდეთ ლექციაზე.

**ნატაშა.** უჸ, სულ ლექცია, ლექცია! მაგდონს როგორ-  
სწავლობ? (ახლა მივა) გამაგებინე, მაშა!.. მე  
არ გიჭერ, მხოლოდ უნდა გითხრა, რომ არა-

ლდეს ისე ძალიან არ მდომებია შენთან ყოფნა, როგორც ეხლა.

**ლანსკარა.** რა მიზეზია, ნატაშა?

**ნატაშა.** არ ვიცი, რა მიზეზია. დღეს ისე მარტოობასა ვგრძნობ, ისე დასევდიანებული ვარ... მგონია, გარს სულ უცხოები მახვევიან.

**სტიპა.** ნატალია პეტროვნა, მე რომ შველა შემეძლოს, არას დავზოგავდი...

**ნატაშა.** (ხელს აძლევს) ეგ შეუძლებელია, სტიპა. მაგრამ მაინც მადლობელი ვარ კეთილ სურვილისათვის.

**სტიპა.** (ხელს შაგრა უჭერს) ნატალია პეტროვნა!.. მე არ ვიცი... აი, ამ წუთს ბედნიერი ვარ... ეჭ, ნატალია პეტროვნა, შინ დაბრუნდით, ჩვენთან. უთქვენოთ ისე მოწყენილი და დალვრემილი ვართ, რომ...

**ლანსკარა.** სტიპა, ჩემო ტრედო, არ შეგიძლიან კარა-სოვს გაუარო და ბარათი გადასცე?

**სტიპა.** დიდის სიამოვნებით, მარია გრიგორევნა.

**ნატაშა.** რას აპირობდ?

**ლანსკარა.** მივწერ, ალარ გამომიაროს, და შენთან დავრჩები.

**ნატაშა.** რას ამბობ, მაშა? კარასოვი ჭომ შენი საქმროა, შენ ის გიყვარს!

**ლანსკარა.** ეგ არაფერი. ის ისევ საქმროდ დარჩება და მაგით სიყვარულიც არ მოისპობა (ხედავს მაგიდაზე საწერ-კალამსა და ქადალდს, დაჭდება და დასწერს) აი, (სტიპას აძლევს) სტიპა, ჩქარა-კიწაულე! (სტიპა წაფა).

## XXVII.

**ნატაშა.** (დანსკაიასთან მიერ) ჩემთვის შსხვერპლი რაღ უნდა  
გაიღო, მაშა?

**ლანსკაია.** ოჲ, ნატაშა... მე ხომ ძალიან, ისე ძალიან  
მიყვარხარ... (გატაცებით ეხვევიან ერთმანეთს).

**ნატაშა.** (ხელი-ხელს უჭირავთ) მეც. აი, ეხლა განმიახლდა  
გრძნობა... როგორც მაშინ, ბავშვები რომ  
ვიყავით... რა მეგობრობა გვქონდა მე და  
შენ? და როგორლაც ეს გრძნობა მიჰქრა. რვა  
წევრმა, მაშა, ნისლი გადააფარა ჩემს თვალებს.  
ეხლა-კი სულ ცხადად წარმომიდგა, თითქო  
გუშინდელი ამბავიაო... და უეცრად ისე კარ-  
გად გავხდი რომ არაფრისა აღარ მეშინია.  
**ლანსკაია.** რისა უნდა გეშინოდეს, ნატაშა? აქ ყველა  
თავს გევლება, უყვარხარ.

**ნატაშა.** ჰო, ვუყვარვარ. მხოლოდ ეგ... მაგრამ ეგ ის  
არ არის... ის არ არის...

(გარედან ელიზავეტა ვლადიმიროვნის ხმა ისმის:  
”ებ უპეთესი... მე ერთს წუთს“).

**ნატაშა.** (შეკრთება) გრაფის დაა. შენ დარჩი (ძალად მხიას  
რული). ოჲ, რა მხიარულადა ვარ, მაშა! სი-  
ცილი მინდა, ხტუნაობა, მღერა... შენ სიმ-  
ლერები გიყვარს? მე ხომ ინსტიტუტის დასში  
სოლისტი ვიყავ, ვინდა ვიმღერო რამე? (და-  
ჯდება როდენობა, უკრავს და დამჯერს. შემოდის  
ელიზავეტა ვლადიმიროვნა).

## XXVIII.

ელიზავეტა. აქა ხარ, ნატაშა? მე ორიოდე სიტყვა  
მაქვს სათქმელი.

ნატაშა. (უკავს) მითხარ, თუ გინდა.

ელიზავეტა. შენ მარტო არა ყოფილხარ...

ნატაშა. ეს ჩემი საუკეთესო, გულწრფელი და უერთ-  
გულერ მეგობარია. შეგიძლიან თავისუფლად  
მელაპარაკო (დამდეკს).

ელიზავეტა. ჰო? მაგრამ შენ ისე მხიარული ხარ, რომ  
ვერც-კი მომისმენ...

ნატაშა. განა საჭიროა მოწყენილი ვიყო?

ელიზავეტა. რა გუნებაზე ხარ, ვერ გამიგია!

ნატაშა. (აღარ უკავს) ძალიან კარგ გუნებაზე ვარ! შე-  
და მაშამ მოვიგონეთ დიდის ხნის, ძალიან  
დიდის ხნის წარსული, როდესაც ჩვენი ბავ-  
შური გულები ერთს დიდს გულს უდრიდა...  
დიალ, დიდს, დიდს გულს, რადგან იმას ათ-  
ბობდა უანგაროდა უსაზღვრო სიყვარული, —  
ისეთი სიყვარული, რომელიც არ ერიდება  
გარემოებას, ჭკუას და დაბრკოლებას. ისეთი  
სიყვარული, რომელიც რვა წლის შემდეგაც,  
ჩვენის დაშორების შემდეგ, ისევ ისე ალის-  
ფერად გუგუნებს, როგორც წინად... მაგრამ  
შენ ხომ რაღაც უნდა გეთქვა.

ელიზავეტა. არა, კვლავ იყოს...

ნატაშა. გამიგონე... გახსოვს, მაშა, ჩვენსა რომ სტუ-  
დენტი ცხოვრობდა, რომელსაც მგელს ვეძა-

ხდით? სასაკილო რამ იყო — თმას არ იკრეჭ-  
და, წვერებს არ იპარსავდა და, მგონი, პირსაც  
არ იბანდა. მაგრამ კეთილი, მეტად კეთილი  
იყო. მოგვიჯდებოდა და. სიმღერას შემოს-  
ძახებდა. სხვანაირი სიმღერები-კი იცოდა...  
სევდიანი, გულსაკლავი. თითონაც-კი თვალი  
კრემლით ევსებოდა... ან ლექსი წაგვიკით-  
ხავდა ისეთის ხმით, თითქო მკერდიდან მო-  
ისმისო. ერთი ლექსი ეხლაც მახსოვს, აბა,  
ყური დაუვდე:

სუნთქვა მეხუთვის უღონოს,  
სიცოცხლე გამჭარებულსა;  
ტანჯვის ფიალა ამეგსო  
ბნელ ღამეს, უთენებელსა.

წყვდიადით მოცულ ქვეყანას,  
ქარო, შენ მაინც დაჰბერე,  
ხალხისა სევდა-ვაება  
მოჰკვიჯე, გაანადგურე...

(ამ ლექსის წაკითხვის დროს შემთდიან იუთისკი  
და პრეზიდენტი, განერდებიან. მერე იუთისკი. მიე-  
პარება ნატაშას და თავში აკოცებს).

## XXIX.

**პოლინცევ.** ვაშა, ვაშა! რა გრძნობითა და ეშიოთ  
იყო! რა ცეცხლით!.. თქვენი ადგილი სცენაა,  
დიდი ნიჭი გქონიათ!

**იუთისკი.** ღრუბელმა გადაგიარა? ნერვები-დაგიწყნარდა?  
აი, ეხლა მშვენიერი ხარ... აი, ეხლა. ჩემის  
გემოვნებისა ხარ!

ნატაშა. დიალ, ვიცი თქვენი გემოვნება.

იუორსკი. რის თქმა გინდა?.. მოდი, დღესქალაქ გარედ  
წავიდეთ, ვიმხიარულოთ! ამედი მაქვს, ექიმო,  
თქვენც წამოგვყვებით! ციგნების სიმღერები  
მოვისმინოთ... ნატაშა, შენ ხომ ციგნების  
სიმღერები ჯერ არ გაგიგონია!.. ძალიან საი-  
ნტერესოა, ძალიან!

ნატაშა. ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა! რა საუცხოვო აზრია!  
თქვენ გინდათ, თქვენს წარსულს შემაკავში-  
როთ... ძალიან კარგი...

იუორსკი. ეგ რას ნიშნავს, ნატაშა?

ნატაშა. როგორ არის, ექიმო? — განვლილ ცხოვრების  
კვალი... „შავი თვალები, ეშხიანები“ — ბო-  
შის გოგო მაშა... ამა და ამ წელს, ამდონი  
ათასი... „მე შემიყვარე, მომეალერსე“ —  
ცქრიალა პაშა... ოჯ, უკაცრავად... დამავი-  
წყდა, რომ ლიზ აქ არის... და ეს სახელს გა-  
უტეხს...

იუორსკი. ლიზ? (დაინახავს ეჭიზავეტა გლადიმიროვნას)  
მართლა! აქ რა გინდა, ლიზ? ჩვენ არა  
ვსთქვით...

ნატაშა. (სიტყვას აწევეტინებს) ო, აპატიეთ! ისე, გზა  
აერია... თქვენ კაბინეტისკერ მოდიოდა და აქ  
კი გაჩნდა, მერე მეც დამინახა... მაგრამ, იმე-  
დი მაქვს, მაღალი და მრისხანე საზოგადოება.  
აპატიებს ამ უნებლიერ შეცდომას...

იუორსკი. სწორედ გითხრა, ნატაშა, ეგ შენი კილო  
მეუცხოვება... და მგონი უმჯობესი იქნება

მოვსპოთ ეს უხერხული და მოსაწყენი ლა-  
პარაკი..

**ნატაშა.** განა მოწყენითა ბძანდებით? მე შემიძლიან  
გავ ღიმო. მე სამხიარულო რამეს დავუკრავ ..  
ამის მეტი ხომ არა გინდათ-რა! აი,  
ყური დაუგდეთ (უკრავს) გამხიარულდით?  
ჯერ არა? ახლა ვიმღერ... (უკრავს და დამღე-  
რის) ტრა-ლა-ლა-ლა-ლა... (ერთბაშად შესწევი-  
ტავს) რატომ არ იცინით? ჩემს სიმღერაში  
ცრემლის ხმა ხომ არ მოგესმათ? აკი ვიღიმე-  
ბოდი? ეს ღიმილი თქვენთვის იყო. თქვენ  
ცუდ გუნებაზე იყავით, და მთელი ქვეყანა  
გლოვობდა თქვენს სიხარულს. თქვენ რომ გა-  
ისეირნეთ, სუფთა ჰაერი ჰყლაპეთ, გაერთეთ  
და ნერვები დაიმშვიდეთ, ეხლა, აი, მთელი  
ქვეყანაც იღიმება, ყველა საცეკვაოდ ემზა-  
დება, სამღერლად, საქეიფოდ, ქალაქ გარედ  
და ციგნების სიმღერების სასმენლად...

**იუორსეკი.** იცი, ნატაშა, გირჩევ შეჩერდე... შენ უნდა  
გესმოდეს, რომ საზღვარს არ უნდა გადაა-  
ბიჯო.

**ნატაშა.** დაგეხმარებით, გრაფ, და თქვენ სიტყვას  
განვაგრძობ: საზღვარს თვალთმაცულისას, რო-  
მელზედაც დამყარებულია თქვენი ურთიერ-  
თობა სხვა აღამიანებთან, რომლითაც გაეღლენ-  
თილია თქვენი გრძნობა-გონება... (იუორსეკი  
სიტყვის გაწევეტას აჲირდის) ნუ, ნურას  
იტევით... ვიცი, რაც უნდა სთქვათ!..  
რომ აქ მარტონი არა ვართ, რომ აქ უცხო-

ნიც არიან. მე რა მესაქმება, თუ ჩემი გული  
სავსეა სიმრთლით! რისთვის მოახერხეთ ეს  
თვალთმაქცური შეხვედრა თქვენს დასთან!  
იმისთვის რომ უფრო ნათლად დაგენახვებინათ  
განსხვავება ჩვენის მდგომარეობისა? რომ მის-  
თვის მიგეცათ შემთხვევა გამომიცხადოს თვი-  
სი კიცხვა—მძულვარება, რაც... არა, არა,  
მაგის სიძულვილი მე არაფრით არ დავიმსა-  
ხურე.

**ელიზავეტა.** შენ სცდები, ნატალი!

**ნატაშა.** არა, არა ვცდები... თქვენ ეხლც სცრულობთ!  
(ელიზ. ვდადიმიროვნა იმისკენ ფეხს წასდგამს, შე-  
ჩერდება და პირზე ხელებს იფარებს. იურისკის)  
თქვენ გაბედულება შემოგაკლდათ და თქვენი  
აზრი—შეხედულობა ვერ გამაგებინეთ. მოი-  
ფიქრეთ და დამშვიდებით მოიგონეთ ეს სასტი-  
კი, აუტანელი ოპერაცია ჩემის სულისა... მე-  
რეკი არხეინად მობძანდით ჩემის ღიმილის  
სანახავად და სიხარულსა მთხოვთ, რომელმაც  
თქვენ უნდა გაგართოთ და გასიამოვნოთ...  
(სულიერებება) არა, თქვენ არავითარი ნება არა  
გაქვთ დამამდაბლოთ და დამამციროთ... არა  
გაქვთ ნება, არა!.. მხოლოდ მე, თვითონ მე შე-  
მიძლიან მოვიძულო ჩემი თავი და მძულს კი-  
დეც... მე ჩემი თავი მეზიზლება, იმიტომ რომ  
პირველადვე ვერ გიცანით, როდესაც შეგ-  
ხვდით... იმიტომ რომ ამ საცბიერო შუქს ჩე-  
მი თვალები დავაბრმავებინე... მე მეზიზლება  
ჩემი თავი, იმიტომ რომ მე თვითონ ვარ

დამნაშავე და მიზეზი ჩემის დამცირებისა...  
იმიტომ რომ მე აქა ვარ... თქვენთან... იმი-  
ტომ რომ...

(პარბაცებს. ლანსკაია სეჭს მოხვევს. პოლინცევი  
წუალს მოარბენინებს. ლანსკაია კრესლოზე დასვამს.  
ეჭიზუავეტა ვლადიმიროვნა მოშორებითა დგას, გა-  
უბედავად).

თვარდა.

## მოქმედება მეოთხე.

სასტუმრო ოთახი იუორსკის სასახლეში. მაყურებლების პირ-  
ლაპირ შუშაბანდია და შუაზე შემოსასვლელი, უკარო. იქით საზამ-  
თრო ბალი მოჩანს. მარჯვნივ ნატაშას ოთახის კარია, მარცნივ—  
გრაფისა. დარბაზი გაჩაღებულია.

### I.

**ლანსკარი.** (სცენაზე ვიდასაც უცდის).

(მარცხნივ საჩქაროდ შემთდის იუორსკი.)

**იუორსკი.** (ხელს ართმევს). ნატაშა მალე დაბრუნდება.

ის ექიმს გაჰყენა ივალმყოფებთან... .

**ლანსკარი.** ეხლა ხომ უკედ არის?

**იუორსკი.** ცოტად. იმ საშინელ სცენის შემდეგ, აგრ  
ორი თვეა, თავის ჯანზე ველარ დადგა... რა-  
ლაც ემართება... მე სასოწარკვეთილებას ვეძ-  
ლევი... თქვენ ელაპარაკეთ, იქნება, გამოჰ-  
კითხოთ მიზეზი და ჩააგონოთ რამე.

**ლანსკარი.** მეც რიგიანად ყურს აღარ მიგდებს... ისეთი  
სახე აქვს, თითქო მძიმე რაღაცა აქვს გადა-  
საწყვეტი...

(გამიჩნდებიან ნატაშა, შოლინცევ და ივანე).

**ივანე.** (კარს უკან). კარგა ხანია, გელიან...

(შემთვეული ნატაშა და შოლინცევ.)

II

**იუორსკი.** (ნატაშასევენ გაექანება და ალექსით ხელზე აკოცებს). რაო, ჩემო კარგო, ისეირნე? ხომ კარგა ხარ?

**ნატაშა.** (ზერმაცად) ჰო, უკედ ვარ (იუორსკი ხელს ართმევს ჰილინცევს და ჩუმად ელაპარაკება ნატაშას შესახებ). ღიღად გამახარე, რომ მნახე, მაშა! (ჭყოცნის).

**ლანსკარი.** შენც ავადმყოფებთან იყავ?

**ნატაშა.** ღიაღ. სევდის განქარვება და ნერვების ღაწუნარება ავადმყოფების ღახმარებით,— ეს ხომ საზიზღორობაა... მაპატიეთ, ექიმო!.. მეტადრე მაშინ, როდესაც ისინი— კი არა, შენი თავი უფრო შესაბრალისია..

**ლანსკარი.** შენ ისევ მოშლილი ხარ?

**ნატაშა.** ძალიან.

**ლანსკარი.** რაღ? რა ღაგმართვია?

**ნატაშა.** არ ვიცი... არ ვიცი... ეგეთი შოარული თუ გაჩენილა. აი გრაფი, მაგასაც ნერვები აშლილი აქვს.

**იუორსკი.** ოო, სულაც არა. პირიქით, დღეს ჩემს თავს მეტს ღონეს ვატყობ. მართლა, ნატაშა, დღეს შენთან მოსალაპარაკებელი მაქვს ფრიად ღიღმიშვნელოვან საქმის გამო. შემდეგ, რასკვირველია. ეხლა სტუმრები გვყავს.

**ნატაშა.** ჰო, კარგი, მერე... მაშა, წამო ჩემთან, ჩაის მოგართმევ... თქვენ არ გეპატიუებით, ექიმო, ისეც საქმაოდ მოგაბეზრეთ.

**პოლინცევი.** (თავს უკრავს). მერსი!

(ნატაშა და ლანსკარი მიდიან მარცხნივ).

### III

**იუორსკი.** (აღელვებული). ექიმო, მანუგეშეთ, მითხარით,  
დამარწმუნეთ, რომ ნატაშა ჯანზე არის.

**პოლინცევ.** რაკი გნებავთ, დამამშვიდებელ წამლით განუ-  
გეშებთ ხოლო მისი ჯანი ამით არ გამთელ-  
დება.

**იუორსკი.** ნუ თუ? მაშ სამძიმო ავადმყოფობაა?

**პოლინცევ.** ეგ სიტყვა არ მომწონს. მძიმე ავადმყო-  
ფობა იმასა ჰქვიან, რომელიც კაცს თან გა-  
დიტანს. ნატაშას ავადმყოფობა-კი ასეთია,  
რომ, შესაძლოა, ორმოცდა-ათ წელიწადსაც  
აცოცხლოს.. ხოლო ისიც შესაძლოა, რომ  
ერთს დღეში გაათაოს.

**იუორსკი.** გამოცანებით ლაპარაკი რა საჭიროა.

**პოლინცევ.** მაგას ზნეობრივი სენი სჭიროს. იქნება, გა-  
რემოების, მდგომარეობის შეცვლამ არგოს.  
თითონაც კი მოწალინებულია, უხლანდელი  
მდგომარეობა შეიცვალოს და სულ სხვანაი-  
რად იცხოვროს. მაგრამ ჯერ ვერა გამოურ-  
კვევია-რა: ამ, ეს არის მისი სენი.

**იუორსკი.** სხვა გარემოება... ძალიან კარგი. სასლვარ  
გარედ წავიყვან.

**პოლინცევ.** მე ბევრი რამ მიცდია ჩემს ავადმყოფებზე  
და ბევრი საოცარი შემთხვევაც მქონია. ერთი  
მაღალ წოდების ქალი ნერვებით ავადმყოფობ-  
და. მე ვურჩიე, მის ოთაჭში მუქი შპალიერი  
მომხიარულო ქალალდით შეეცვალათ. ეს საკ-

მარისი იყო, ავაღმყოფი მორჩა. მაგრამ აქ  
სულ სხვა აგებულებასთან გვაქვს საქმე.

**იუორსკი.** ექიმო, იცით, ლამის გავგიჟდე, ნატაშა ჩემ-  
თვის ისე ძვირფასია, ისე ძვირფასი...

**პოლინცევ.** ჰო? მაშ, ეყტობა, „ისე კეკლუცი“ აღარ  
ყოფილა?

**იუორსკი.** არა. ეს მას შემდეგ დამემართა, თქვენ რომ  
მომელაპარაკეთ, გახსოვთ, ზღვის პირს რომ  
დავსეირნობდით?

**პოლინცევ.** ვშიშობ, ვაი თუ ძალიან გვიან დაგემართათ...

**იუორსკი.** ეგ რას ნიშნავს?

**პოლინცევ.** ბევრს არაფერს, მაგრამ... ისე ლაპარაკში  
დავატყე... რაღაც უცნაური ჰანგი შევნიშნე...

**იუორსკი.** თუ ღმერთი გწამთ, ექიმო, ნათლად გამა-  
გებინეთ!

**პოლინცევ.** დიალ, უცნაური ჰანგი, გრაფ: „ყველას,  
გავექცე... მთელ ქვეყანას დავემალო“. აქ მე  
და თქვენთვის, გრაფ, სანუგეშო არა არის-  
რა...

**იუორსკი.** გაუვლის, ვიცი, გაუვლის... ერთი განზრახვა  
მაქვს... იქნება თქვენ გაიოცოთ, მაგრამ...  
(გამოჩენდება სბუქრევი) მიშელთან ამაზე ლაპა-  
რაკი არ შეიძლება.  
(სბრუქრევი შემოვა მოწყენილი).

#### IV.

**იუორსკი.** ა, მიშელ, გამარჯობა! (სბრუქრევი სეჭი გაუ-  
შეცნს).

**პოლინცევ.** (სბრუევს ხელს ართმევს) ღმერთო ჩემო, თქვენი სახე რაღასაც მოასწავებს.

**სბრუევ.** ნუ მუტყვით. მეც, მგონი, მალე მოვალ თქვენთან საექიმოდ. ეს უკანასკნელი ნაბიჯი იქნება ჩემის დაქვეითებისა.

**პოლინცევ.** რა დაგჭირთათ?

**სბრუევ.** ისეთი ჯოჯოხეთური სევდა მაწევს! აბა რა ვარ? თქვენ მაინც მითხარით. მას შემდეგ, რაც ცოლის შერთვა გადავწყვიტე, სრულიად შეიცვალა ჩემი ცხოვრება. ეხლა ლიზ თავის დიდედასთან არის. ორი თვეა, აქედ აღარ იხედება. ქორწილი გვიანდება. მე ეხლა ლიზის საქრმო ვარ—აი ჩემი აწინდელი სახელი საზოგადოებაში. ამჟამად მე არავითარი ცხოვრება არა მაქვს, არც შინ და არც გარედ.

**პოლინცევ.** დიალ, ცუდია, თუ არავითარი ცხოვრება არა გაქვთ. მაგრამ ხომ შეგიძლიანთ თქვენს წინანდელ ცხოვრებას ცალი ბავალი მოჰკრათ,— ისე, რაღა, როგორც მოყვარული, ჩუმად, პირბადით! ჰა?

**სბრუევ.** ლიზს სიტუა მივეცი, თავდაჭრით ვიყო.

**პოლინცევ.** ძალიან გაუფთხილებლად მოქცეულხართ.

**სბრუევ.** მართალია, მეტად გაუფთხილებლობა მომივიდა.

**პოლინცევ.** (საათს უუურებს) მე, გრაფ, ორი აუცილებელი, ვიზიტი მაქვს... გავრბივარ!

**იუორსკი.** (ხელს ართმევს) ვიზიტების შემდეგ-კი პირდა-პირ აქ უნდა მოხვიდეთ. მინდა, დღეს ჩვენთან იყოთ, უთუოდ, უთუოდ.

**პოლინცევ.** ოპო, რაღაც იმედს მაძლევთ,

**იუორსკი.** დიალ, დიალ, გაიგებთ.

**პოლინცევი.** რა ჰქენით, თქვენი წიგნი დაასრულეთ?

**იუორსკი.** წიგნი!.. ჰო, ვიცი... სწორედ გითხრაა, წიგნი-  
სთვის ვეღარ მოვიცალე... კაბინეტში მოუ-  
რავი მელის... შენ, მიშელ, ცოტას ხანს აქ  
მოიცდი?

**სბურევი.** ოჳ, ჩემთვის სულ ერთია, ჟაცა უნდა ვიყო.  
ყველგან სევდა მაწევს.

**იუორსკი.** სადილად დარჩი. ჩვენ ერთმანეთს არ ვეთხო-  
ვებით, ექიმო. (მარცხნივ გაფა).

## V.

**სბურევი.** კარგი.

**პოლინცევი.** აბა მშვიდობით, ჩემო მოსალოდნელო  
ავადმყოფო! (ხელს ართმევს).

**სბრუევი.** მშვიდობით!.. იცით, ექიმო, მე შევნიშნე,  
რომ ამ სახლში მარტო ექიმობას არ მოჰყავ-  
სართ... ჰა?

**პოლინცევი.** საშიში მეთვალყურე ყოფილხართ.

**სბრუევი.** მაშ რა გეგონათ? მე ვერას გამომაპარებთ.  
თქვენ ნატალის ევლებით... ჰა, რაო? დაგი-  
ჭირეთ? ჰა, ჰა, ჰა! გაწითლდით? არა უშავს-  
რა, თქვენი გემოვნება მომწონს. ის მაღიანია:  
ერთ-ორ თვეს გაგართობს... იცით, რა გით-  
ხრათ... მგონი მეც ლიზის მოლოდინშიცოტა,  
თვალს გავახელ... ჩვენი საყვარელი გრაფი  
იმას მობეზრდა კიდეც. უჰ, ძალიან მობეზრ-  
და. ესე ეტყობა, მე არა გამომეპარება-რა.

**პოლინცევ.** (გაბრაზებულია მაგრამ თავდაჭერით) აი, რა უნდა მოგახსენოთ. მე ისეთ კაცს ვიცნობ, რომელიც, გრაფის სახლში რომ არ იყოთ, მაგ სიტყვებისთვის გვერდებს კარგა დაგირბილებდათ... (მიდის).

**სბრუევ.** რას ამბობს? რა სიტყვებს ისერის! გვერდები რა მოსატანია! მაგრამ... ეჰ, მალ ესვე და სხვა არაფერი... არც-კი ღირს დავუფიქრდე... მოწყენილობა, მოწყენილობა, მოწყენილობა! (კრესლობი გადაწყება, თავს უქან გადიგდებს და ამბობს). აჰ, აჰ, აჰ!..

„კლარა რომ დავინაწე,  
სიგარა შევინახე;  
ძილი გაქრა, მაღაცა,  
დამაჭიწყდა ყავაცა“.

(შემოდის ნატაშა, სბურუები გასწორდება) აა, თქვენა ბრძანდებით! რა მიხარიან!

**ნატაშა.** რამან ვლადიმიროვიჩ აქ არ არის?

**სბრუევ.** კაბინეტშია, მოურავი მოსვლია.

**ნატაშა.** გმაღლობთ (მარცხნივ კარისკენ მიდის).

**სბრუევ.** მანდ ნუ მიღიხართ... აბა, რა გინდათ? მანდ მოწყენილობაა. მე-კი საყურადლებო რომ უნდა გითხრათ.

**ნატაშა.** საყურადლებო განა თქვენც გაგაჩნიათ?

**სბრუევ.** აი, რა თვალით მიყურებთ! მე-კი თქვენდამი უნაზესი გრძნობა მიღვივის გულში.

**ნატაშა.** თქვენ? (დაჯდება) მართლა საყურადლებოა.

**სბრუევ.** დიალ, დიალ. მე მაშინ ვცოცხლდები, როცა თქვენ გხედავთ. თქვენ ისეთი ტანადი ხართ,

შოყვანილი... ისეთი მომხიბლავი, ერთის  
სიტყვით, თქვენ ჩემზედ მოქმედობთ...

ნატაშა. მართლა!

სბრუევ. განწმუნებთ... ტყუილი რა საკადრისია... რა  
გაეწყობა, გრძნობისთვის ხომ კაცი არ დაის-  
ჯება.

ნატაშა. მაშ ლიზს ალარ ირთავთ?

სბრუევ. როგორ? რატომ? ეგ სულ სხვა საქმეა. ლიზ-  
თან ქორწინება, საღლესასწაულო ოქმია სა-  
ზოგადოების თვალის ასახვევად. არ ვიტყვი,  
რომ მხოლოდ ანგარიშის საქმეა. რასაკვირვე-  
ლია, მე ლიზ მიყვარს, იმასაც ცოტაოდენად  
ვუყვარვარ. მაგრამ უმთავრესი მიზეზი ჩვენის  
კავშირისა ეს არ არის. მე მინდა გრაფ იურ-  
ასკებს დავუახლოვდე, ლიზს-კი... ხომ მო-  
გეხრენებათ, გრაფინია-დედა თავდაუჭერელად  
ცხოვრობდა საზღვარს გარედ და საკმაოდ შე-  
არყია თავისი ქონება... რაც ეხლა რამან  
ვლადიმიროვიჩსა აქვს, სულ ბიძის მემკვიდ-  
რეობაა... მე კი რაღაც სასწაულით ორ  
მილიონაშედე შემჩრა. იცით, ჩემს წინაპრებს  
დავიწყებიათ ან გაღარიბება ვერ მოუსწვრი-  
ათ... ჰა, ჰა, ჰა! აი, ჩვენი ქორწინება მაგათ  
საქმეს გამოაკეთებს.

ნატაშა. სულ უბრალო საქმე ყოფილა.

სბრუევ. დიალ, დიალ, უბრალო. ყველა ასე იქცევა.  
გამიგონეთ, მაღმუაზელ ნატალი, ერთი აზრი-  
მომივიდა. თქვენ ხომ მოწყენილი ხართ? ეს  
ცხადად სჩანს, რომ მოწყენილი ხართ. მოა-

დით, კუნძულებზე გავისეირნოთ, ცოტას ხანს  
ერთად ვისიამოვნოთ. პა?.. ეგრე რად მიყუ-  
რებთ?

ნატაშა. (სიბრაზეს არ იმჩნევს) თქვენ რამან ვლადი-  
მიროვიჩის მეგობარი ხართ?

სბრუევ. აბა, რა თქმა უნდა! ჩვენ დიდის ხნის მეგო-  
ბრები ვართ.

ნატაშა. და ლიზის საქმრო?

სარუევ. ჰო. რაო მერე?.. რა გულუბრყვილოდა სჯით!  
რამანი და მე! საიდგან საღაო? რა შესადა-  
რებელი ვართ! რამან სათქვენო სრულიად არ  
არის. ეს მე წინადვე გავიფიქრე. იმან გან-  
ვლო, დალია თავისი დრო. და ცხოვრება...  
ძალიან კი ჩქარობდა.... თავისი მხვედრი მი-  
იღო კიდეც... რაც ლიზს შეეხება, ჩემი რა  
ბრალია, რომ წაკიდა და ორ თვეს ტვერში-  
დარჩა დიდედასთან. მე-კი აქ მარტო დამ-  
ტოვა, მოწყენილი. ან მაინცა-და-მაინც გა-  
საკვირველი რა არის? მცირე გატაცება; პა-  
ტარა დღესასწაული გულისა!.. ჰა, მაღმუაზელ-  
ნატალი, რას იტყვით, წავიდეთ? გრაფი ნე-  
ბას მოგცემს გავისეირნოთ, მე მენდობა. (მი-  
უახლოდება) თორემ, ღმერთმანი, თავს ჩამო-  
ვირჩობ, ისე მოწყენილი ვარ.

ნატაშა. (თვალები აენთება, მაგრამ თავდაჭერილად). ეხლავ  
გაბძანდით აქედან!

სბრუევ. აი, აი, აბა რას ამბობთ?

ნატაშა. (უფრო მაღლა). საზოგარო!

სბრუევ. Mais Ecoutez donc...

ნატაშა. (სიბრაზით თრთის). ეხლავ გაეთერით!

სბრუევ. ხელს გაშლის, მშვიდ სახეს მიიღებს, შლიაპას ა-  
ღებს და ფეხ-აკრებით გავა მარცხნივ).

ნატაშა. (კრესლოში დაქვება და პირზე ხელებს მიიფარებს.  
შერე ადგება, რაღასაც გადასწყვეტს და გამედულად  
მიღის მარცხენა კარისკენ, მაგრამ ერთბაშად, თით-  
ქო შესუსტდათ, შეწერდება და უილაჭოდ კრესლოში  
დაქვება). ღმერთო!.. განა ამას შემდეგ კიდე  
უნდა ვიცოცხლო! (სიჩუმე).

## VII.

(პოლინცევი შემოდის გაჩქარებით. ადელვებულია).

პოლინცევ. მარტო ხართ, ნატალია პეტროვნა? მეც  
ეგრე მეგონა, რომ მარტო იქნებოდით, და  
იმიტომ დავბრუნდი. მაგრამ რა დაგმართნიათ,  
ღმერთო ჩემო? რალაც ამბავი მომხდარა, ამ  
წუთში?

ნატაშა. (თავს აქნევს) არაფერი.

პოლინცევ. საშინელი ფერი გაძევთ! თქვენ იტანჯებით!

ჰო, დიდი. ხანია გემჩევათ, რომ იტანჯებით.  
და ვერ წარმოიდგენთ, როგორ მაწუხებს თქვენი  
მდგომარეობა, ნატალია პეტროვნა (ადელვებული  
დადის. სიჩუმე). მე გაგაოცებთ ნატალია  
პეტროვნა! მაგრამ სწორედ ეგრეც იყოს... და  
რასაც მე გეტყვით: სულ შეუსაბამოდ გეჩვე-  
ნებათ... მაინც კი უნდა ვსთქვა... ოჯ, ჩემი  
აზრები დახტუნავენ! დავჯდები... იცით, როცა  
დავჯდები, . აზრებიც თითქო უფრო დალაგ-  
დებიან (ჯდება), საჭმე ის არის, რომ მე...

ერთის სიტყვით, მიყვარხართ. (ნატაშა შეკრთება) ..  
აი, შეკრთით კიდეც. ეტყობა, გწყინთ... მაგ-  
რამ დავიწყე და გავათავებ. შეც არ ვიცი,  
როგორ მოხდა, კარგა ხანი კია მას შემდეგ  
(ნატაშა გავვირებით შესცექის, ლმერთო, რა-  
გაოცებით მიყურებთ! თითქო ავკაცობა ჩამე-  
დინოს. . . ყველას უყვარს, ყველას. მე-კი ჯერ  
არ მყვარებია და, აი, ეხლა რაღაც დამემართა.  
სხვა არაფერი: მაგრამ რა გამაბედვინებდა?  
მოკრძალებით მიყვარხართ. მხოლოდ ერთს.  
ვიტყვი: თქვენი მდგომარეობა ამ სახლში არ-  
მომწონს. იქნება, საუკეთესოდ შეიცვალოს...  
ნეტავი, ეგრე! გამეხარდება კიდეც ხოლო.  
მე რომ... ერთის სიტყვით, ერთხელ და სამუ-  
დამოდ გიცხადებთ, როგორც ამბობენ: აი,  
ჩემი ხელი, ჩემი სახელი, მთლად მე მარად.  
თქვენი ვარ... უჰ, რომ იცოდეთ, როგორ-  
მიმძიმდა ამის თქმა... თქვენ-კი გაჩუმებული-  
ხართ! არა უშავს-რა. მე ხომ პასუხს არც  
მოველოდი. მხოლოდ თქმა მინდოდა და ვთქვი-  
კიდეც ახლა... (საათს იღებს). ორ ვიზიტს-  
კიდევ მოვასწრობ, სადილად-კი აქ ვიქნები;  
უთუოდ მოვალ, გრაფს. რაღასთვისაც დავჭირ-  
დი... კარგი, ნუ ჯავრობთ, ნუ ჯავრობთ!...  
უკეთესი კი იქნება, აილოთ და დაივიწყოთ.  
ლმერთმანი, არ მეწყინება. წარმოიდგინეთ,  
რომ სიზმარში იყო. ცუდი სიზმრები განა არ-  
არის. მაინც-და-მაინც ჩვენ წინანდებულად  
მეგობრები ვართ. არა? (ტელი უნდა დაუჭიროს).

ნატაშა, თითქმ — შეშინებული, უკან დაიწევს). ოჭ, უმჯობესი იქნებოდა, ენა დამდუმებოდა... (იპოვიტე შემთვა). იპოლიტ პეტროვიჩ! (ხელს ართმევს). გამარჯობა და მშვიდობით! (წაფა).

### VIII.

**იპოლიტ.** გამარჯობა, ნატაშა! თქვენს სახლში ნათესავების კრება თუ არის? აი, ეხლა კარეტა გაჩერდა. მგონი, გრაფის დაა... დედაც მალე მოვა. გრაფმა მოიწვია... საერთოდ, რაღაც დიდი ამბავია... შენ-კი დღეს სადღესასწაულო სახე არა გაქვს. ავად ხომ არა ხარ?

**ნატაშა.** მე კარგა ვარ... (ფიქრობს და შერე რადაც აზარებს იშორებს). უკაცრავად, იპოლიტ, მაპატიე, რომ ესე უგულოდ დაგიხვდი. გმადლობ ნახვისთვის. მაშა იქ არის, ჩემს ოთახში. ჩაი ხომ არ გინდა?

**იპოლიტ.** არა, ჩაი არ მინდა. შენთან მოლაპარაკება კი ძალიანა მსურს.

**ნატაშა.** რაზე, იპოლიტ?

**იპოლიტ.** შენზე.

**ნატაშა.** (მოუსვებრად) ჩემზე?

**იპოლიტ.** ჰო, ნატაშა, შენზე... ნებას მომცემ? მაგრამ ნებაც რომ არ მომცე, მაინც მე ჩემსას ვიტყვი, რადგან საჭიროა. (დაჯდება. ნატაშა მოუსვებრად უკრს შგდებს). აი, რა: გიყურებ და ვხედავ ყველაფერს. და იცი, რა მეჩვენება? როცა შენ შემოგხედავ, მეჩვენება კაცი,

მოულოდნელად წყალში ჩაგარდნილი, რომელიც  
უღონოდ ხელფეხსა პარკყავს, ფთხრიალებს, ნა-  
პირის დანახვა ენატრება, მაგრამ თვალიც კი  
ვერ მოუკრავს.

**ნატაშა.** (ზეტის უურადღებით). იპოლიტ, ეგრეა, სწორედ  
ეგრეა!

**იპოლიტ.** ჰო, ეგრეა, ნატაშა, ეგრე... და მარტო შენ  
ხომ არა ხარ მაგ გარემოებაში. შენსავით  
მრავალი ფთხრიალებს. დიდხანს ვფიქრობდი,  
ესე რად არის, და მივხვდი: იმიტომ, ნატა-  
შა, რომ ის ადამიანები ძაფით მიჰკოწიწე-  
ბიან სხვის ცხოვრებას, თითონ-კი არარა  
არიან!

**ნატაშა.** (დაფიქრებული) და იმათ თავისი პიროვნება არა  
აქვთ...

**იპოლიტ.** დიალ, დიალ... ჩვენი წინანდელი ლაპარაკი  
ხომ არ დაგვიწყებია?

**ატაშა.** არა, არა მავიწყდება-რა... სულ ვფიქრობდი.  
დიალ, ყოველივე მარტივა და მასთან მართა-  
ლიც. ის საზიზლარიც, ისიც მართალია...  
დიალ, დიალ... ლიზიც მართალია. ყველანი  
მართალნი არიან! ასი და ათასი ადამიანი ყო-  
ფილა ჩემს გარემოებაში და იმათი პატივის-  
ცემა არავის ჰქონია. მე რაღად უნდა ვიყო  
პატივცემული? (თვალები გაუნათლდება).

**იპოლიტ.** საოცარი თვალები გაქვს, ნატაშა...

**ნატაშა.** საოცარი თვალები... დიალ. კაცს, რომელიც  
დაეხეტებოდა, ყოყმანობდა... და ბოლოს  
მიხვდა, გადასწყვიტა... საბოლოოდ გადას-

წყვიტა... საოცარი თვალები უნდა ჰქონდეს...  
(მტკიცედ) დიალ, ნამდვილია... ეგრე უნდა...  
მართალია... სწორეა, სწორე...

**იპოლიტ.** შენ რაღაც გადასწყვიტე?

**ნატაშა.** განა ვერ ხედავ! არ ვიცი, როგორ, მაგრამ  
უცებ-კი დამებადა გრძნობა განთავისუფლე-  
ბისა. აი, მიყურე, როგორ ვდგევარ შენ  
წინაშე! მე ის ალარა ვარ, რაც წინად ვიყავ...  
არ ვიცოდი, რისთვის მომევლო ხელი, რო-  
გორ გამენთავისუფლებინა ჩემი თავი... შენ  
ხომ არა იცი-რა, იპოლიტ... მე საშინელი,  
შეურაცხყოფა მომაყენეს და მეგონა—ვიღუ-  
პებოდი... მაგრამ... ხომ ხედავ... საჭიროა,  
საკმარისია მხოლოდ გადასწყვიტო... გადას-  
წყვიტო მთელის გულით, როგორც მე გადა-  
ვწყვიტე... ოკ, საჩქაროდ უნდა ვნახო გრაფი.

**იპოლიტ.** (შეშინებული) რა გინდა ჩაიღინო, ნატაშა?

**ნატაშა.** არა, არა, ნუ მკითხავ... იქ წადი, მაშასთან  
და უთხარ... (მარცხნივ შემთდის ელიზავეტა  
ელადიმიროვნა) ა, ლიზ... შენ დაბრუნდი...  
(იპოლიტეს) დიალ, იპოლიტ, მაშ წადი იქ...  
მალე მოვალ...  
(იპოლიტე ელიზავეტა ელადიმიროვნას თავს უკრავს  
და მარჯვნივ გავა).

## IX.

**ელიზავეტა.** ჩემი ძმა სადღაც წასულა. არ მინდოდა  
შემეწუხებინე.

ნატაშა. არა, ლიზ, შენ სწორედ კარგ, დროს მოხვედი.

ელიზავეტა. არა მგონია, შენთან დროზე მომესვ-  
ლებოდეს (ჯდება) იმ საშინელ სცენის შემდეგ...

ნატაშა. ის სცენა სხვა სცენას მოჰყვა... ჩვენ მხოლოდ  
ანგარიში გავასწორეთ... მე მინდოდა შენ-  
თვის ერთი რამ მეთქვა... რასაკვერველია,  
ჩვენში წინანდელი ურთიერთობა შეუძლებე-  
ლია, მაგრამ რვა წლის განმავლობაში ჩვენ  
ერთად იმდონი საუკეთესო წამი გვქონია,  
რომ დასავიწყი არ არის

ელიზავეტა. მართალია... მაგრამ, საუბედუროდ, ნა-  
ტაშა, ცხოვრებას თავისი მოთხოვნილება აქვს  
და მე, თუმცა შენი მეგობარი ვარ, ველარა  
გნახავ. შენ ხომ მიხვდი, რასაც ვამბობ...

ნატაშა. (მოუსვენრად). ჰო, მივხვდი... მაგრამ შენ რაღად  
მეუბნები მაგას? (ეჭიზ. ვლადიმიროვნაშ რაღაც  
უნდა სთქვას). არა, არა, ნუ იტყვი. მეშინიან,  
უკანასკნელი გრძნობაც არ დამიხშო და შენი  
სიბრალულიც არ ამომიფხვრა გულიდან.

ელიზავეტა. ჩემი სიბრალული?

ნატაშა. დიალ, მებრალები და უნდა გაგაფთხილო...  
შენ სბრუევს უნდა მისთხოვდე... და... მაპატიე  
ეს კითხვა: გიყვარს?

ელიზავეტა. ეგ რა საკითხია?

ნატაშა. (ციფად) ჰო, ეგ მართალია, უადგილოა... და ეს  
ლაპარაკიც მეტია.

ელიზავეტა. არა, რაკი ეგრეა, სთქვი! უნდა სთქვა!

ნატაშა. მე არათრის მოვალე არა ვარ... მაგრამ გეტყვი

მხოლოდ იმიტომ, რომ შენ თვალი გაახილო—  
ერთის საათის წინად შენ მოსვლამდე სბრუე—  
ვი აქ იყო... და... ისეთი საზიზრობა...  
პირდაპირ მიწვევდა, კუნძულებზე ვიქეიფოთო...

**ელიზავეტა.** (გაბრაზებული). უნდა გითხრა, ნატაშა,  
რომ მაგისთანა რამეს ყველა ჭალს არ ეტყ—  
ვიან (უფრო ბრაზით). დიალ, ყველას არა, მხო—  
ლოდ იმას, რომელიც... ფულით იშოვება.

**ნატაშა.** აჲ, ლიზ, ლიზ, რა ბოროტი ხარ! ნუ თუ არ  
შეგრცხვება, როცა გაიგებ, რომ შენ მართა—  
ლი არა ხარ, სცდები. ხოლო გაიგებ... და  
მალე გაიგებ, დღესვე... მე და... ფულით! მე  
არაოდეს ფულზე არ მიფიქრია. შენს ძმასთან  
რამ დამაახლოვა—ეს შენ არ შეგეხება. და  
არც თუ ეს არის თავი-და-თავი. მე კი მარ—  
თალს გეტყვი: მე-კი არა, შენ განზრახ მის—  
დევ სბრუევს ფულის გამო. ის არც გიყვარს  
და არც შეგიყვარდება, რადგან უზნეო და  
ფუქსავატია. შენ იმიტომ ეძლევი, რომ დედა—  
შენის საქმე გამოასწორო.

**ელიზავეტა.** ტყუილია!

**ნატაშა.** არა, მართალია, თვით შენმა საქრმომ სბრუ—  
ევმა მითხრა.

**ელიზავეტა.** (შეკრთება). იმან გითხრა? ნუ-თუ? არა,  
არა... შენ.., შენ ხუმრობ .. მაგრამ... (ტირას)  
იქნება... შესაძლოა .. Maman დამარწმუნა,  
ეგრე უნდაო, საჭიროა, აუცილებელიაო  
რამანიც და ყველანი მირჩვდნენ... Maman  
მითხრა, გრაფ იუორსკები არ უნდა გაღატა

დნენო, და მიშელზე მიმითითა .. ოჰ, რა  
მეძნელებოდა იმასთან და ხლოვება! მთელი  
ჩემი არსება მეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ჩემს  
თავს ძალა დავატანე და... შევეჩვიე. ნატაშა,  
მირთლა შესაბრალი ვარ...

**ნატაშა.** (მივარდება და ხელს დაუჭირს). კარგი, მაპატიე...  
მებრალები... რა თქმა უნდა, ლიზ, მეცოდები,  
რადგან ბევრს ტანჯვას გამოივლი, საბრალო!  
**ელიზავეტა.** (ეხვევა და ეკვრის). ნატაშა, ნატაშა, მაგას  
შენ მეუბნები!

**ნატაშა.** 1 დამშვიდლი, ცრემლი შეიშრე, მაკოცე! (ჰქოც-  
ნიან ერთმანერთს). სულ დაივიშყე? ჩვენ ისევ  
მეგობრები ვიქნებით?

**ელიზავეტა.** (წამოდგება). ეს წამები არაოდეს არ და-  
მავიწყდება ეხლა არავისი ნახვა აღარ მინდა.  
მშვიდობით! (ეხვევა).

**ნატაშა.** მშვიდობით, ლიზ! (ეჭიზ. ჭავადიმიროვნა გავა).  
(მიდის მარცხენა კარასკენ. იქიდან გამოდიან ჭან.  
სკაია და იპოლიტ). მე თქვენთან მოვდიოდი...  
ეხლა-კი შინ წადიოთ და მარტო დამტოვეთ.  
(მარცხნივ შემოდის ტატიანა ვლასევნა, გახარებულია).

## XI

**ტატიანა.** ოჰ, ნატაშა-ჯან, რა ზღილობიანად მომე-  
ბყრა გრაფი! (ჰქოცნის ნატაშას). იმას შენთან  
მოლაპარაკება უნდა. ფრიად დიდი საქმე აქვს.  
მე მითხრა, მაგრამ მთხოვა, ჯერ არ გავამუ-

ლავნო. თითონ გრაფი გეტუვის... ისეთ რამეს  
აპირობს გრაფი...

**ნატაშა.** ის ეხლა ისეთ რამეს ველარ დაპირობს.

**ტატიანა.** არა, არა, ნატაშა-ჯან, შენ ვერც-კი წარ-  
მოიდგენ... ისეთი ბეღნიერებაა საერთოდ  
ჩვენთვის! ოჯ, ნეტა სიტყა არ მიმეტა.

**ნატაშა.** კარგი, დედა, ხომ გავიგებ. ეხლა-კი გთხოვ-  
შინ მიბრძანდეთ... (ლანსკაიას ჩემად) წაიყვანე,  
ჩემო კარგო მაშა, აქ დიდი უსიამოვნება-  
მოელის.

**ლანსკაია.** კარგი.

**ნატაშა.** დედა, მაშა გაგაცილებთ.

**ტატიანა.** თუ შენ ეგრე გინდა, ნატაშა... მაგრამ,  
მგონი... მე სულ ალარა მესმის-რა...

**ლანსკაია.** წავიდეთ, ტატიანა ვლასევნა.

**ტატიანა.** კარგი, მოვდივარ, მოვდივარ... ოჯ, ტვინი-  
სულ ამერია.

(ლანსკაია და ტატ: ვლასევნა გავლენ).

## XII.

**შატაშა.** (იპოლიტს ხელს დაუჭერს). იპოლიტ, მე მეტად  
მძიმე საქმე მომელის, მაგრამ მაინც დავამთავ-  
რებ. თუ ეს გრაფია, დაგვტოვე.  
(შემდის იურისკი)

## XIII.

**იუორსკი.** მე შენთან მოლაპარაკება მინდა, ნატაშა  
(იპოლიტს) იმედი მაქვს, არ გამიწყრებით,

ათის წუთით რო დად მოგტაცოთ, და უარსაც  
არ გვეტყვით, ჩვენთან ისაღილებთ.

**იპოლიტ.** მაპატიეთ, გრაფ, ვერ დავრჩები.

**იუორსკი.** რატომ? ეგ სწორედ საწყენია...

**იპოლიტ.** მოვალეობა მაწევს, არ შემიძლიან დავრჩე,  
გრაფ.

**იუორსკი.** ძალიან, ძალიან გულს მაკლია... მაშ ნახ-  
ვამდის!

(იპოლიტ თავს უქრავს და გაფა).

## XIV

**იუორსკი.** რას ნიშნავს, ნატაშა? რად წავიდა?

**ნატაშა.** თქვენ რალაც სათქმელი გქონდათ...

**იუორსკი.** ნატაშა! რასაც მე გეტყვი, მაგისთანა სახით  
არ უნდა მოისმინო. შენ ცივად მიყურებ,  
მრისხანედ.. მე კარგა მოვიფიქრე ჩემი წი-  
ნადადება...

**ნატაშა.** წინადადება?

**იუორსკი.** რაც გინდა, ის უწოდე... ერთი სიტყვით,  
გადავწყვიტე, ვიქორწინოთ.

**ნატაშა.** თქვენა გსურთ, რომ მე თქვენი ცოლი ვიყო.  
მე რომ ვერ დავთანხმდები...

**იუორსკი.** ხუმრობ, ნატაშა! ხუმრობთ განა?

**ნატაშა.** არა, გრაფ... მტკიცედ გეუბნებით: მე თქვე-  
ნი ცოლობა არ შემიძლიან.

**იუორსკი.** რას ამბობ? რა მიზეზია?

**ნატაშა:** ოჰ, მიზეზი: სულ მარტივია: არ მიყვარხართ!

**იუორსკი.** (ნატაშას ხელს დაუშვებს) ჰო?.. ნამდვილია?..

დიალ, მიზეზი ისე მარტივი ყოფილა, როგორც სრულიად ახალი ჩემთვის... მაშ თქვენ უსიყვარულოდ დამიახლოვეთ?

**ნატაშა.** არა .. მაშინ მიყვარდით... იმ ღამეს, მე რომ დაღალულ-დაქანული და სასოწარკვეთილებამდე თავ-გზა-არეული თქვენთან მოვედი, და თქვენ ისე თავდაბლად, მეგობრულად მიმიღეთ... თქვენ სახლში რომ სითბო, სიმშვიდე და მოსვენება ვპოვე, რაც ჩემთვის იმ დროს მეტად საჭირო იყო... თქვენდამი განუსაზღვრელი ნდობა ვიგრძენ და შემიყვარდით... ოჯ, თქვენ მარად მეყვარებოდით, მთელს ჩემს სიცოცხლეს ..

**იუორსკი.** ნატაშა!

**ნატაშა.** რად მაიძულებთ — ის დრო მოვიგონო? ის გრძნობა მენანება... ისეთი სანეტარო იყო... მაგრამ შემდეგ... ის გრძნობა თქვენ თვითონ ამომგლიჯეთ გულიდან და მის მაგიერ დამიტოვეთ სინანული .. მაგრამ არა, მე არა ვნანობ — თქვენ ბევრი რამ მასწავლეთ... თქვენ ამიხილეთ თვალი და ცხოვრება დამანახეთ იმ სახით, როგორიც არის ნადვილად.

**იუორსკი.** თქვენ მართალი ხართ, ათასჯერ მართალი მე ისე ვიქცეოდი, როგორც უკიდურესი ეგო-ისტი, თქვენი ნდობა ბოროტად ვიხმარე, მხოლოდ ჩემს, თავზე ვფიქრობდი, ჩემი სულის სიმშვიდესა და ჩემ დაწყევლილ თავისუფლებაზე, რომელიც ეხლა ჩემთვის სულ გამოუსადეგარია. ჩემის სიახლოვით, რომელსაც გრძნობა

არ წინაუძღვდა, ჩირქი მოგაკარეთ... ეს ყოველივე ვიცი, ვიცი... ხოლო ნუთუ თქვენში სულგრძელობა არ მოიპოვება, რომელიც მაპატიებს ჩემს დანაშაულს აწინდელ ჩემი წრფელ სიყვარულისათვის!.. გევედრებით, ნატაშა .. გევედრებით!.. მთელ ჩემს ცხოვრებაში ერთად-ერთი არსება ხართ, რომელმაც ნამდვილი გრძნობა შთამინერგა! უსალზეროდ მიყვარხართ, ნატაშა! ეს სიყვარული სულ შემცვლის, სრულიად ახალ კაცად გარდა-მქნის... დარჩით ჩემთან, დარჩით!

**ნატაშა.** არ შემიძლიან. სიყვარული აღმოიფხვრა... უსიყვარულოდ-კი არ შემიძლიან.

**იუორსკი.** დავიმსახურებ... შენს გულს მოწყალებას გამოვითხოვ... სიყვარული ახლად აგუზგუზდება.

**ნატაშა.** არა, არა... სიყვარული ამაყია, ის აღარ ეწვევა იმ ადგილს, საიდანაც განდევნეს (ცრემლით). ის არაოდეს აღარ გაიღვიძებს, ის ჩაქრა სამუდამოდ...

**იუორსკი.** (ხელს მოჭკიდებს) ცრემლი!.. ოჯ, ეგ არის ჩემი მანუგეშებელი, ჩემი იმედი!

**ნატაშა.** (თავისთავად) რა საოცნებო საღამო იყო... ბუხარში ცეცხლი გუგუნებდა... ის საიდუმლო ნაპერწკლები... სითბო... მყუდროება... თქვენ გმირის ზღაპარს მიამბობდით, რომელსაც რკინის გული ჰქონდა... რარიგ მხიბლავდა ჩემი საოცნებო ზღაპარი!.. მაგრამ ზღაპარი გათავდა და იწყება ნამდვილი ცხოვრე-

გა, ფხიზელი, შეუბრალებელი, საშინელი...  
(ერთაშემდეგ გამხნევდება) არა, არა! მე ცხოვრე-  
ბისა არ მეშინიან! არ დავიღუპები! ის დრო  
მომცილდა, როდესაც ჩემისთანები უთუოდ  
იღუპებიან. სხვები თავდაუჭერელ ცხოვრებას.  
ჰყვებოდნენ, შამპანის ღვინოს ეჩვეოდნენ  
და თანდათან დაბლა მძსრიალებდნენ... მე  
შამპანის ღვინოს არ დავლევ, გრაფ!.. მე  
ვიშრომებ... .

**იუორსკი.** თქვენ?! თქვენ?

**ნატაშა.** დიალ, სამართლიანი ეჭვი გაქვთ. შრომისა მე  
არა გამეგება-რა. მაგრამ ვისწავლი, მივეჩვევი,  
იმიტომ რომ მე მინდა, მსურს!

**იუორსკი.** მაშ თქვენ ისევ იმას უნდა დაუბრუნდეთ,  
რასაც გამოექეცით... და გინდათ ერთბაშად  
გადასწყვიტოთ, უეცრივ...

**ნატაშა.** ყველაფრის გადაწყვეტა მე უეცრად ვიცი..  
სახლიდგან გაქცევა, უეცრად გადავწყვიტე.  
თქვენთან უეცრად მოვედი. უეცრად შეგიყვა-  
რეთ. და, აი, უეცრად...

**იუორსკი.** (ნერვებ—აშლილი, დაცინვით) ჰა, ჰა, ჰა ჰა,  
ჰა! მესმის! თქვენ ახალ რამეს გინდათ გამო-  
უდგეთ... თქვენი აგებულება ერთგვარობას  
ვერ იტანს. დიალ, მართალია. ეს ხომ ახალი  
ხილი. იქნება: შრომა, დამოუკიდებლობა;  
სკოლა... თქვენ, რასაკვირველია, სკოლას  
დაიარსებთ... დიალ, სწორედ სათქვენო საქ-  
მეა. ქალბატონ ლანსკაიას გვირგვინი თქვენ  
ძილს გიკარგავთ! ჰა, ჰა, ჰა! შემდეგ კიდევ

ახალი ხილი მოგინდებათ და, შესაძლოა, სკოლიტან პირდაპირ სცენაზე ახტეთ, ან ცირკში იჯირითოთ .. რა საუცხოვო მომავალია! ჰა, ჰა, ჰა, ჰა!..

**ნატაშა.** შეგიძლიანთ დამცინოთ. ოქვენი სიცილი დავიმსახურე... მით უმეტეს საჭიროა, მალე გავშორდეთ ერთმანეთს.

**იუორსკი.** (გონის მოვა). მოითმინეთ! მაპატიეთ! ეს ხომ სიცილი არ არის, — სასოწარკვეთილებაა. ღვთის გულისათვის... უკანასკნელი ვედრება... ვხედავ, ოქვენს სიმტკიცეს ვერ შევარყევ. იმედი მაინც დამიტოვეთ, ნება მომეცით, ოდესმე მაინც მოგნახოთ. იქნება მაშინ ხელი გამომიწოდოთ... მართალია, მე ოქვენი ღირსი არავარ, მაგრამ დავიმსახურებ... მანუგეშეთ... (საჩქარდ შემთდას შოლინცევი. ნატაშა შეჩერდება).

## XV

**პოლინცევ.** საშინლად ვჩქარობდი, კინალამ ჩემი ავადმყოფებიც მივატოვე (დატენდეს იმათ მდგრადარებას). რა ამბავია? ოქვენ ორივეს ისეთი ფერი გაძევთ, რომ სამხიარულო სადილს სულაც არ შეეფერება.

**იუორსკი.** ნატალია პეტროვნა შეუბრალებელია — მტოვებს.

**პოლინცევ.** როგორ თუ გტოვებს?

**იუორსკი.** სულ, სამუდამოდ...

(შოლინცევი ეჭვით უუურებს ნატაშას).

ნატაშა. დიალ, ექიმო, მივდივარ.

პოლინცევ. მაშ... იქნება, ნება მომცეთ სახლამდე მი-  
გაცილოთ. ოქვენი მარტო წასვლა შეუძლე-  
ბელია. ავადმყოფობის შემდეგ ვერ მოღო-  
ნიერდით... სუსტადა ხართ ..

ნატაშა. გრა მე სუსტი აღარა ვარ. იცით, ექიმო, ხან-  
დისხან სუსტი, პატარა, უღლონო აღამიანი  
ერთბაშად, ერთს წუთში ტანს აიყრის, წელში  
გასწორდება და მძლავრად გადაიქცევა... მე  
არავის, შველა არ მინდა, მშვიდობით! (ჩქარა  
წაფა).

(სცენას იქით სვიბულსკი ციგნურ ჭანგს უკრავს და  
დამდენს: „ნუ მეტაშვი ცივად—მშვიდობით!“)

იუორსკი. (ხელს გაიშვერს). აი, აგერ ჩემი წარსული...  
აი, ჩემი, ცხოვრების განუშორებელი თანა-  
მგზავრი... ოჰ, გაჩუმდი, გაჩუმდი! უთხარით  
ჩაჩუმდეს!

პოლინცევ. თავს ამაოდ იწუხებთ, გრაფ... სულ ერ-  
თია, წარსული არაოდეს არ ჩაჩუმდება.

იუორსკი. (კრესლოში დაეშვება). ეგ მართალია! მართა-  
ლია!

1383 გ  
1905

სააოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ი ვ ე რ ი პ“

1905 წ.

გამოდის ყოველ-დღე.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის-მომწერლებს

## პრემიაზ 12 ჭიგნე

საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო ობზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთის ფასი: 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდის 4 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც. შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлісъ, Редакція газеты „Иверія“.